# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 9 მაისი 2002 №82 (1604) | ფასი 50 თეთრი


UEFA CUP

## გერმანიის კაპიტულაცია როტერდამში







პიერ ვან ჰოიდონკმა (№9) ბურთი გერმანულ კედელსაც გადაატარა და მეორეც გაიტანა



## მანჩესტერი უშანსოა, ქუთაისი შანსიანი

### ფრანგმა მწვრთნელებმა ბრიტანელებს ცხოვრება გაუმწარეს

### ტორპედო ჩამოამესამეს



გუშინ „ეროვნულზე“. „დინამო“ — „ბათუმი“ 3:0. თბილისელ ლადო ბურდულს პენალტიდან გატანა არ გასჭირვებია



არსენ ვენგერმა „არსენალი“ მეორედ გააჩემპიონა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 7 ტური

## I—VI ადგილები

# საჩემპიონო ცნობის ფურცელი

## ლოკომოტივი რიონის სადგურს გასცდა

თბილისი. სინათლე. 8 მაისი. 17.30 საათი. 800 (ტევადობა 3 000)

### მერანი 0:1 ლოკომოტივი

0:1 ჯანაშია (67)

მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ხიზანიშვილი, დევიძე, გ. ილურიძე, გაბიდაური, ბაჯელიძე (გრიგორიევი 35), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (საბაშვილი 78), ი. შენგელია
სათადარიგონი: გ. გაბელია, კაკაშვილი, დარსანია, კ. მეტრეველი, გ. ასათიანი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ლოკომოტივი: ივარდავა, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი, ლაცაბიძე, გელა ქორიძე, ჭიჭვეიშვილი (სირაძე 70), კ. გოგიჩაიშვილი (დათვაძე 52), დავითაშვილი (მანჩხავა 78), ზ. ჯანაშია
სათადარიგონი: ლომაია, მორჩილაძე, რუსია, ბერელიძე
მწვრთნელები: კოტრიკაძე, ჯიშკარიანი

გაფრთხილება: დავითაშვილი (54)

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე, მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 12-17; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 4-9; კარში დარტყმა: 0-4; თამაშგარე: 1-3



კობა ინასარიძე

**„ლოკომოტივის“** ფეხბურთელ-ხელმძღვანელობა „მერანთან“ გატანილ ერთადერთ გოლს ისე არ გაუხარებია, როგორც „სინათლეზე“ დამთავრებული მატჩის შემდეგ ფოთიდან მიღებულ ცნობას, „ტორპედომ“ ორი ქულა დაკარგაო. აბა, რა გასაკვირი იყო რკინიგზელთა ყიჟინა, მათ ხომ ფოთის შედეგმა საჩემპიონოდ ერთობ კარგი შანსი მისცა, დაამარცხონ 12 მაისს „ლოკომოტივზე“ „დინამო“ და... საქმე თუ მართლაც საქმეზე მიდგა, ნაკლებ მოსალოდნელია, თბილისელებმა დარჩენილ ორ მატჩში, იმავე ფოთში და შინ „ბათუმთან“ ქულები დაკარგონ.

— კვირას, თასის ფინალამდე ფინალი გველის — „დინამო“ უნდა დავამარცხოთ, ეს ჩვენთვის საჩემპიონო მატჩი იქნება — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თავისი ფეხბურთელებით კმაყოფილმა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გია ჯიშკარიანმა.

არადა, მატჩი „სინათლეზე“ მასპინძელთა რეალური, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი მომენტით დაიწყო. სტუმართა მცველების უხეში შეცდომით ვერ ისარგებლა კაპიტანმა დევიძემ და ივარდავასთან პირისპირ დარჩენილმა კარისკენ მოუზომლად და საკმაოდ არაზუსტად დაარტყა.

ეს იყო და ეს, „მერანი“ მეტჯერ აღარც მიახლოებია რკინიგზელთა კარს. მასპინძლებს მეტოქის კარში ერთხელაც არ დაურტყამთ.

შესვენებამდე მაინცდამაინც არც სტუმრებს გამოუდიათ თავი. ეგ იყო, 28-ე წუთზე მარჯვნიდან ჯანაშიას ჩაწოდებულ ბურთს დავითაშვილმა დაარტყა, მაგრამ ნაჭყეპიამ არ გაატანინა.

მეორე ტაიმის პირველი მესამედი კი „ლოკომოტივის“ აშკარა უპირატესობით წარიმართა. მასპინძლები საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ბავშვურად ცდებოდნენ და რკინიგზელებსაც, უფრო სწორად, ყოფილთ მერანელ დავითაშვილს რამდენჯერმე ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდა. ათიოდ მეტრიდან დარტყმული იყო თუ მეტრნახევრიდან, დავითაშვილმა ყველაფერი ქარს გაატანა, ბოლოს კი თაღლითობისთვის არბიტრს ყვითელი ბარათიც გამოსტყუა. „მერანი“ ამ დროს უმაქნისი გახლდათ და საცაა გოლიც უნდა გასულიყო. გავიდა კიდეც. რკინიგზელებმა კუთხური ზედიზედ მეორედ რომ ჩააწოდეს, ჯანაშიამ იყოჩაღა, ბურთს თავი შეუშვირა და... როგორც აღმოჩნდა, გამარჯვებისა შეაგდო.

*გია ჯიშკარიანი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*

— ამ მატჩს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქუთაისში გამარჯვების შემდეგ „ლოკომოტივს“ კვლავ გაუჩნდა ჩემპიონობის შანსი და კარგია, დღევანდელი სამი ქულით ეს შანსი რომ გაგვიუმჯობესდა. ეს, რა თქმა უნდა, გუნდის ყოფილი მწვრთნელის კახა ცხადაძისა და ზაურ სვანაძის დამსახურებაც არის. დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჯანაშია, როგორ ფორმაშიც უნდა იყოს, საქართველოს ჩემპიონატში გამოსადეგი ფეხბურთელია.

*ოთარ გაბელია, „მერანის“ მწვრთნელი:*

— მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის სათამაშოდ ელემენტარული პირობებიც არ გვაქვს, შემიძლია, ვთქვა, „მერანი“ არავის დაეჩაგვრინება და თუ წავაგებთ, მხოლოდ ნაღდ ბრძოლაში. ვფიქრობ, „ლოკომოტივს“ დღესაც ძალიან გაუჭირდა. სტუმრებს უკეთესი შემსრულებლები ჰყავდათ. ვულოცავ „ლოკომოტივს“ ამ სამ ქულას და ჩემპიონობისთვის მებრძოლ სამივე გუნდს ვუსურვებ, ნაღდი, ვაჟკაცური თამაშით მიაღწიონ პირველობას.



ზაზა ჯანაშიამ (№11) შანსი ხელიდან არ გაუშვა: „ლოკომოტივი“ სამი ქულით გამდიდრა

ფოთი. ფაზისი. 8 მაისი. 17.30 საათი. 1 000 (ტევადობა 6 500)

### კოლხეთი 0:0 ტორპედო

კოლხეთი: მ. გვასალია, ნარსია, მ. ქობულაძე, ახვლედიანი (ქუტიძე 76), ფანჩულიძე, გურუა (გოროზია 86), კვეტენაძე, დავუშვილი (ტორჩინავა 36), კვირკველია, ე. გვასალია, ნიჟნიკაძე
სათადარიგონი: ქვაჩახია, ჭანტურიძე, ნადარაია, დ. ოდიკაძე
მწვრთნელი: სოსო ფილია

ტორპედო: სტურუა, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე (გამეზარდაშვილი 63), თოდუა, დიდავა (ახალკაცი 82), პოროშინი (შ. ბაბუნაშვილი 29), გ. კვარაცხელია, მ. ასათიანი, ზ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, აკოფიანი, იონანიძე, ძამაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: ქემოკლიძე (9), ფანჩულიძე (42), ნიჟნიკაძე (83), მ. გვასალია (84)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 22-24; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 7-10; კარში დარტყმა: 3-4; თამაშგარე: 2-11

# შაშიაშვილის მთავრობა ფოთშია

## ტორპედოს ქუთაისურად შეუტიეს

იუზა კაციტაძე ფოთიდან

**რაღა დარჩა,** ორი კვირა და მეცამეტე ეროვნული დასრულდება. ახლა ის დროა, გუნდები დასახული მიზნისკენ გაორკეცებული ძალით მიისწრაფოდნენ. ჰოდა, ზოგი ამას ახერხებს, წინ მიიწევს, ზოგიც ვერა და პოზიციებს თმობს. ამ უკანასკნელთა რიცხვს ქვეყნის ორგზის ჩემპიონი „ტორპედოც“ მიეკუთვნება. სულ ცოტა ხნის წინ ქუთაისური გუნდის მესამედ გაჩემპიონება თითქოს ეჭვს არ იწვევდა. ტორპედოელები შვიდი ქულით უსწრებდნენ მთავარ კონკურენტებს, მაგრამ მათგანვე მარცხნაგემებმა სხვაობა ქულამდე დაიყვანეს. გუშინ ერთხელაც წაიფორხილეს — უპრინციპულეს მატჩში ჰაერივით საჭირო გამარჯვების ნაცვლად ფრესლა გამორჩნენ და აწი მამაზეციერმა თუ უწყის, მოექცევიან თუ არა კიდევ გათამაშების ცხილის სათავეში. ადვილი შესაძლებელია, „ტორპედოს“ დარჩენილ სამ ტურში ქულათა მაქსიმუმის მოპოვებითაც ველარ ეშველოს.

გეხსომებათ, „კოლხეთი“ და „ტორპედო“ შემოდგომაზე გარიგებულ თამაშში ამხილა ფედერაციამ. ფოთელებმა ფაქტობრივად იმ მოგებით შეალწიეს ზედა ექვსეულში და ისე გამოდიოდა, მეორე ეტაპზე ქუთაისელებს უნდა დახმარებოდნენ. კოლხებმა კი ამის შემდეგ დიდი ბრძოლა გაუმართეს „ტორპედოს“. ქუთაისში მასპინძლებს გვარიანი ოფლისღვრის ფასად ერგოთ სამი ქულა, „ფაზისზე“ კი „ტორპედო“ ალბათ საჩემპიონო ქულებს შეელია. აკი იქადნებოდა კოლხთა დამრიგებელი სოსო ფილია, ვნახავთ, ფოთიდან „ტორპედოს“ რასაც გავატანთო. თამაშს სიმძაფრე თავიდანვე დაეტყო. მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. მოედნის ყოველ მონაკვეთზე იბრძოდნენ და როგორც კი შანსი მიეცემოდათ, შეტევაზე გადადიოდნენ. პირველი საგოლე მასპინძელთა კართან შეიქმნა, როცა დიდავამ კარგად გაუჭრა საჯარიმოში ქუთათელაძეს და ამანაც არ დაახანა — ძლიერად გაგზავნა კარისკენ, ოღონდ ხარიხას გადააცილა. ამის შემდეგ ელდარ გვასალიამ ორჯერ დაარტყა საშუალო მანძილიდან, ორჯერვე სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. 25-ე წუთზე კოლხთა საჯარიმოში შეჭრილ ქუთათელაძეს მცველმა ბოლოწამს აართვა ფეხიდან ბურთი. საპასუხო შეტევაში კი მასპინძლებს დაწინაურების კარგი შანსი მიეცათ. ფანჩულიძემ მარცხენა ფლანგიდან, დაახლოებით 40 მეტრიდან ტყვიასავით გაისროლა და სტურუამ სასწაულებრივ მოიგერია — ბურთი ცხრიანიდან გამოაძრო. გადმოვარდნილზე წივწივაძემ გაიწია, მაგრამ აბრამიძემაც იმარჯვა და ვითარება განმუხტა. ამას უმალ ქუთაისელთა მწვავე იერიში მოჰყვა. პოროშინის შემცვლელმა შოთა ბაბუნაშვილმა მახვილაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულს საჯარიმოს გვერდითი ხაზიდან სახიფათო დარტყმა მიაყოლა, ოღონდ მიზანში ვერ მოახვედრა. ტაიმის მიწურულს ფანჩულიძის გარჯით მასპინძლებმა ორჯერაც დააფრთხეს „ტორპედოს“ დაცვა და მეკარე. გელამ ჯერ თავად დაჰკრა საჯარიმოს წინა ხაზიდან და მცირედით ააცილა, მერე კი მის ფლანგურ გადაცემას ქუთაისელთა კართან ახლოს ახვლედიანი გამოეხმაურა, თუმც არაზუსტი თავურით. აი, ასე ორმხრივ შეტევებში გაილია მატჩის პირველი ნახევარი.

თამაშის განახლების შემდეგ დაცვაში პირველად ტორპედოელები შეცდნენ და ეს კინაღამ ძვირადაც დაუჯდათ. ახვლედიანმა მარჯვნიდან შეუტია და ათი მეტრიდან დაურტყა სტურუას. მეკარემ ამ ეპიზოდშიც იყოჩაღა. აქედან მოყოლებული უპირატესობას უკვე ქუთაისელები ფლობდნენ. 65-ე წუთზე მათ გატანის ყველაზე რეალური შანსი მიეცათ — ბაბუნაშვილმა მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა, კოლხთა საჯარიმოში ბურთს დიდავა შეწვდა. მართალია, კარში ვერ დაარტყა, მაგრამ ბურთი იქვე ახლოს, სამეკარეოსთან დავარდა და ასათიანმაც უმალ დაამატა. ეგ იყო ხარიხას გაარტყა, ამასობაში მოედანზე ვნებათაღელვამაც იმატა, მეტოქეები უხეშობასაც აღარ ერიდებოდნენ. ერთ ეპიზოდში ფანჩულიძემ და აბრამიძემ გაიწიეს ერთმანეთისკენ. ბოლო 15 წუთი ტორპედოელები შორეული დარტყმებით ცდილობდნენ მამუკა გვასალიას კარის დალაშქვრას, ოღონდ არაფერი გამოუვიდათ. ქუთაისელებმა ვერც არბიტრის მიერ წამატებულ 4 წუთში იხეირეს. მატჩიც მორჩა და ერთი გაწევ-გამოწევაც შეიქნა, თუმც წესრიგის დამცველებმაც დროულად დააშორეს მოქიშპენი.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ქუთაისელთა თავკაცმა **რევაზ ძოძუაშვილმა** მოკლედ მოგვიჭრა — აქამდე ხომ სულ იმას წერდით, რომ „კოლხეთი“ და „ტორპედო“ შეკრულები არიანო. ახლაც იტყვით? არავითარი გარიგება მაშინ ჩვენს შორის არ ყოფილა. აფიოტაჟის ატეხვა ვიღაცას „ზევით“ აწყობდა.

*სოსო ფილია, „კოლხეთის“ მწვრთნელი:*

დღეს რომ თამაში წაგვეგო, დაგვაბრალებდნენ, შეგნებულად დათმეთო. რომ წაგვეგო, გადავლგებოდი. ჩვენ ინტერტოტოს საგზურისთვის ვიბრძვით. ბიჭებმა მაქსიმალური მონდომებით ითამაშეს და შრომაც დაგვიფასდა.

გულმოკლულ „ტორპედოს“ ქომაგებზე რომ არ ვთქვათ, არ იქნება — ისინი ჯერ კიდევ სტადიონთან აპირებდნენ საკუთარი გუნდის შეხურებას და იმერეთის გუბერნატორის დასაწყნარებელნი შეიქნენ (თემურ შაშიაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე დასწრებას, „ტორპედოს“ ქომაგობა არჩია). მერე ფანებმა ფოთიდან რამდენიმე კილომეტრში „ტორპედოს“ კუთვნილ „რაფს“ გადაუღობეს გზა და ისიც მათგან ორას მეტრში კარგა ხანს იდგა უძრავად. მერე საიდანღაც ომონელები გაჩნდნენ და ფანები ავტობუსებში შერეკეს. ერთ-ორს ხელკეტიც მოხვდა.

# დინამო მეხუთეთი მიჰქრის

თბილისი. ეროვნული. 8 მაისი. 17.30 საათი. 1 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:0 ბათუმი

1:0 არჩვაძე (10ა.გ.), 2:0 ბურდული (35წ), 3:0 ბობოხიძე (70)

დინამო: ზოიძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, კარლოსი, ა. სახვაძე (ბიზანიშვილი 80), ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, ბურდული (მანჯგავა 72), დარასელია, ანჩაბაძე (გ.მ. მიქაძე 77), მ. ბობოხიძე
სათადარიგონი: გვარამაძე, მელაძე, მაზიაშვილი, შავგულიძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

ბათუმი: ჭანტურია, ჩიჩუა, მინდაძე, არჩვაძე (ბაბარაძე 42), გვაზავა, ქიქავა, ხუჯაძე, რომანაძე (კუნჭულია 72), დარჩიძე, ტუღუში (ბეჟანიძე 76), აფხაზავა
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ოილამიძე
მწვრთნელი: ახლან ბალაძე

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიავაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ძნიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 10-8; კუთხური: 12-1; დარტყმა: 5-1; კარში დარტყმა: 12-1; ოფსაიდი: 3-2



„ბათუმის" კარში პირველი გოლი ბათუმელმა ზურაბ არჩვაძემ გაიტანა, მესამე დინამოელმა მიხეილ ბობოხიძემ



## შუშაკი ჯერ მხოლოდ გაზის სატერფულს სწვდება

დავით თავართქილაძე

**სტატისტიკით** დაიწყო მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია ივო შუშაკმა. საშემოდგომო ეტაპზე გუნდს 18 თამაშიდან 28 ქულა ჰქონდა, გაზაფხულზე კი 13-დან 32 დააგროვაო, თქვა ხორვატმა სპეციალისტმა და ჩვენ იმასლა დავუმატებთ, რომ პლეი ოფში მისმა გაწვრთნილმა „დინამომ" ჯერჯერობით ყველა მატჩი მოიგო და გოლიც არ გაუშვია.

გუშინ „ბათუმმა" მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შექმნა „დინამოს" კართან, როცა არჩილ რომანაძის ჩაწოდებულზე შალვა აფხაზავამ კარგად ვერ დაარტყა და ირაკლი ზოიძემაც ხელებში გააქვავა ბურთი.

„დინამომ" კი პირველივე წუთებიდან შმაგად შეუტია და დარასელიას კუთხურზე ამისულაშვილმა თავით დაუგდო ბურთი ბობოხიძეს, რომლის თავურიც ზღვისპირელთა კარის ძელმა აისხლიტა.

დარასელიას მომდევნო კუთხური კი გოლით დასრულდა — გია ჭანტურია გამოსვლაზე შეცდა, ბურთი შალვა ხუჯაძეს მოხვდა და კარისკენ წავიდა, სადაც ზურაბ არჩვაძე შეეცადა მის მოგერიებას, მაგრამ ამაოდ — ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

11-მეტრიანი კარლოს ალბერტო და როჩამ მოინადირა არჩვაძესთან ორთაბრძოლისას და ლადო ბურდულმაც ძლიერად, ზუსტად დაურტყა მიმართულების გამომცნობ ჭანტურიას.

ბათუმელთა მეკარემ გაშვებულ პენალტამდე ივაჟკაცა, როცა გოგობერიშვილს აულო დაბალი ბურთი, დამატებაზე კი ჯერ ბობოხიძეს, მერე დარასელიას არ დაანება გოლის გატანა.

ასეთი სუსტი, უნიათო „ბათუმი" ჯერ არ გვინახავს. ცხადია, დინამოელებს გარჯას არ ვუკარგავთ, მაგრამ სტუმრებისგან ნაღდად უფრო მეტს ველოდით.

დინამოელთაგან კარლოსს და ალეკო გოგობერიშვილს გამოვარჩევდით. მონდომებული იყო მიხეილ ბობოხიძე, რომელსაც შუშაკმა შანსი მისცა და გიორგი მიქაძის ნაცვლად დააყენა სასტარტოში.

ბობოხიძე მეორე ტაიმშიც გამორჩა ძელსგარტყმულ ბურთს და ისევ დარასელიას კუთხურისას, მაგრამ, როცა ილია კანდელაკი ჩაერთო შეტევაში და მისგან მიიღო პასი, ბობოხიძემ ბურთის ერთი შეხებით ოსტატურად „მოტეხა" მცველი და ჭანტურიას კარის ბადეში ააფართხალა ბურთი.

ბობოხიძეს კარლოსის და სახვაძის ჩაწოდებულებზეც შეეძლო გატანა, მიქაძემ კი გოგობერიშვილის დარტყმის შემდეგ დამატებაზე ვერ იხეირა — ბათუმელები მესამედ იხსნა ძელმა.

ბურდულს შეეძლო, მეორე გოლიც მიეთვალა ამ მატჩში, მაგრამ ანჩაბაძის პასის შემდეგ ოდნავ მახვილი კუთხიდან პირისპირ მყოფ ჭანტურიას ისე დაურტყა, რომ მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი კუთხურზე.

აი, ასე იყო საქმე, რომლის მერეც „დინამო" პირველად გალიდერდა მე-13 ეროვნულში.

### მატჩის შემდეგ

*ივო შუშაკი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*

— ველოდი, რომ ადრე თუ გვიან პირველ ადგილზე აღმოვჩნდებოდით. დაცვაში მაღალ დონეზე ვთამაშობთ და ესეც ბევრს ნიშნავს. არ არის ადვილი, სულ რომ ვიგებთ, მაგრამ სამხიარულოდ დიდი დრო არ გვაქვს, უკვე მომდევნო თამაშზე ვფიქრობთ. ჩვენი გუნდი ახლა მაქსიმალურად მაღალ გაზზე მუშაობს. მომდევნო მატჩამდე კარგად უნდა დავისვენოთ, „ლოკომოტივთან" სეზონში ყველაზე კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ. ახლა, ასე ვთქვათ, მეხუთე სიჩქარეში გვაქვს ჩაგდებული და ისე მივდივართ. რა თქმა უნდა, ამით ვიღლებით, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით, კიდევ ერთხელ მოვიკრიფოთ ძალა.

— რაც შეეხება გოგობერიშვილს, მას ხომ, ფაქტობრივად, სამი თვე არ უთამაშია და წინა მატჩებში ვერ ამჟღავნებდა თავის შესაძლებლობებს. დღეს კი მან მშვენიერი ფეხბურთი გვიჩვენა და „ლოკომოტივთან" მატჩისთვის მისგან იგივეს ველი.

*ახლან ბალაძე, „ბათუმის" მთავარი მწვრთნელი:*

— ჩემმა გუნდმა თამაში დაკარგა. „ბათუმს" აქამდე ასე არ ჩაუგდია მატჩი. გუნდი ნამდვილად ვერ გამოდგა ისეთი კოლექტივი, როგორიც მეგონა. ზოგიერთ ფეხბურთელს დიდი პრეტენზიები აქვს. ალბათ, ჩემი ბრალიცაა ვიღაც-ვიღაცეებს თავზე რომ გადავუსვი ხელი. გუნდს ბევრი ფეხბურთელი დატოვებს. ცუდი სიმპტომები გადამდებია და ეს ახალგაზრდებზეც მოქმედებს



ივო შუშაკი: შვიდიდან შვიდი

— ხარი ხართან რომ დააბა, ხომ იცით.

— ჭანტურიაზე იმას ვიტყოდი, რომ მეკარე კონკურენციას უნდა გრძნობდეს. ჩემი შვილი, ირაკლი კი ჯერ 17 წლისაა. მსურდა ზურაბ ბათიაშვილის მოწვევა, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა. სამომავლოდ კი ძალიან მინდა, კარგი მეკარე მოვიყვანო. მეკარემ ერთი თამაში მაინც ხომ უნდა მოიგოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 10:0 | 40 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 10:4 | 40 |
| ტორპედო | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 39 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:8 | 25 |
| ბათუმი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:12 | 22 |
| მერანი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:10 | 20 |



ბრაზილიელმა კარლოსმა ბათუმელი ზურაბ მინდაძე შეავიწროვა

## VII–XII ადგილები

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 8 მაისი. 17.30 საათი. 100 (ტევადობა 18 000)

### გურია 0:3 მეტალურგი

0:1 გეწაძე (30პ), 0:2 კობესაშვილი (43), 0:3 გურეშიძე (79)

გურია: ჭაფოძე, ქიქავა, განჯვი, კოტრიკაძე, ფაცურია, ხუნაშვილი (გ. ჟვანია 46), კაკაჩიაშვილი, სულაქველიძე, ჩაჩუნაძე, გურამ იმნაიშვილი, ნაროუშვილი
სათადარიგონი: ა. ჩოხაძე, გელოვანი, ჩხარტიშვილი
მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი

მეტალურგი: მერკვილაშვილი, მაღლაკელიძე, ბაქრაძე, გაბრიჭიძე, კობესაშვილი (ჭოხონელიძე 46), გეწაძე (ლ. მერებაშვილი 46), სულაკაძე, კაციაშვილი, ქარდავაშვილი (გურეშიძე 65), ენდელაძე
სათადარიგონი: ა. ლაბაძე, ორმოცაძე, ცნობილაძე, მეზარნიშვილი
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

გაფრთხილება: მერკვილაშვილი (60)

მსაჯები: კ. მესხი, ლ. კვარაცხელია (ორივე ზუგდიდი), კ. თბილელი (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. რუხაძე

ჯარიმა: 14-15; კუთხური: 2-9; კარისკენ დარტყმა: 3-8; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 7-8

## ჩვენი კარი ღიაა

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

**გუშინ** ლანჩხუთში უჩვეულო არაფერი მომხდარა. როგორც წესი, სტუმრებმა იმარჯვეს და დაგეგმილი სამი ქულა გაიყოლეს იმერეთში. გურულების მორიგი მარცხი კი იმით იყო გამორჩეული, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, უკვე იურიდიულად გაფორმდა მათი უმაღლესი ლიგიდან გავარდნა. კარგა ხანია, „ევგრაფი შევარდნაძეზე" მასპინძლები ინერციითღა რომ აგორებენ ბურთს, ამის დასტური ეს შეხვედრაც გახლდათ, რომელიც მართლაც გაუსაძლისი საცქერი გამოდგა. მსაჯის პირველი სასტვენისთანავე მეტალურგები როგორც ჩასახლდნენ მეტოქის ნახევარზე, ისე დაასრულეს შეხვედრა. წინააღმდეგობის გაწევის მცდელობაც კი არ შეიმჩნეოდა მასპინძელთა მოქმედებაში და იმერლებს მოჭარბებული ინერტულობით რომ არ ებურთავათ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ რა მოხდებოდა.

როცა სტუმრები ასე თუ ისე გატანას ლამობდნენ, გურულებმა პირველ ტაიმში სულ ორჯერ გადალახეს შუახაზი, შედეგად ერთი უნაყოფო კუთხური და ერთიც კარის ჩარჩოში მოხვედრილი და მეკარისთვის იოლ ლუკმად ქცეული დარტყმა მოიმკეს. ჩუბინიძის სამწყსომ პირველი ტაიმის დიდი უპირატესობა ორ გოლში გამოხატა. ჯერ იყო და ფაცურიამ ენდელაძის წაქცევისთვის პენალტი „აიკიდა", რის შედეგად მესხი შეუვალი, ხოლო გეწაძე პენალტის უნაკლოდ შემსრულებელი გამოდგა. მეორე გოლი კი ტაიმის ბოლოსკენ გამოცხვა და ერთგვარად კურიოზულ ვითარებაში. ხუნაშვილმა ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ ამის ნაცვლად კობესაშვილის ფეხიდან საკუთარ კარში იხილა.

შესვენების შემდეგ „გურიას" გამოცოცხლება კი დაეტყო, მაგრამ ეს მხოლოდ „მეტალურგის" პასიურობის ფონზე. მასპინძელთაგან ყველაზე მონდომებული ნაროუშვილი ჩანდა და გატანის ორი შანსიც შეიქმნა — პირველად კარის ბადე ოდენ გარედან შეარხია, მეორედ ცოცხალ კედელს გადავლებული საჯარიმოდან მერკვილიშვილმა არ გაატანინა. „მეტალურგი" კი მშვიდად აგორებდა ბურთს და ერთი გოლის გატანაც მოახერხა. შეცვლაზე შესულმა გურეშიძემ უგოლოდ გარჩილი ენდელაძის პასი შეიფერა და ჭაფოძეც უშანსოდ დატოვა. ეს იყო და ეს ასეთი გამოდგა „გურიას" მორიგი ღია კარის დღე.

თბილისი. მუშტაიდი. 8 მაისი. 17.30 საათი. 100 მაყურებელი

## გორდა 3:0 სიონი

1:0 ჯელაძე (17), 2:0 გ. კილასონია (62), 3:0 ვ. კილასონია (68)

გორდა: ბათიაშვილი, დ. ბერიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ლაშა სილაგაძე, კუჭულაშვილი, ზვ. ლაბაძე, კ. ალადაშვილი, გ. კილასონია, ბუკია (პეტრიაშვილი 46), ა. ჯელაძე (ვ. კილასონია 46), დ. გოდერძიშვილი (ხუროძე 59)
სათადარიგონი: ბეჟიაშვილი; მელაძე, ებრალიძე, ლ. ხმალაძე
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

სიონი: დალაქიშვილი, ა. ბურნაძე, შაკიაშვილი (ბარნოვი 44), ლ. აბზიძე, კარიაული (ბ. შენგელია 64), მინდიაშვილი, გაბისკირია, ხუტუა, მოსეშვილი, გიორგი ქორიძე (ისიანი 46), მინაშვილი
სათადარიგონი: ყოლბაია; კ. გოდერძიშვილი, ნინუა
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ჯარიმა: 12-8; კუთხური 4-3; კარისკენ დარტყმა 8-6; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 3-5

# ისე ვართ, როგორც ყველი და პური

## ვალერი კილასონიამ სამწვრთნელო დებიუტი გოლით აღნიშნა

ვაჟა ხუციშვილი

**ქვემოქართლური** დერბი მუშტაიდში გაიმართა, მაგრამ ჩემპიონატში მომრავლებული მუშტიკრივის ელემენტები არ ახლდა. ამ კოხტა სტადიონზე „გორდა" და „სიონი" რუსთაველთა პრობლემებმა შეჰყარა. მათი შინაური მინდვრის საფარი, მოგეხსენებათ, გადახალისების პროცესშია. ამიტომაცაა მთელი სეზონი გარე-გარე ბურთაობაში რომ გაატარეს. მუშტაიდის კოპწია გაზონზე კი აბიბინებული ბალახი ალაგ-ალაგ ყვავილებითაც იყო გაჯერებული. ერთი ეგაა, უცხო თვალი მოთამაშე გუნდების ვინაობას ვერ გაარკვევდა იმიტომ, რომ არსად იყო აფიშირებული. ვერც კანტიკუნტად მოსული მაყურებელი გაიგებდა ფეხბურთელთა ვინაობას, რადგან არავის უცნობებია საჯაროდ. ჰოდა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ესა და ეს ნომერი რა გვარიაო.

მწვრთნელის რანგში ვარლამ კილასონიას დებიუტი შედგა, ხოლო ძმა მისი, გიორგი, გუნდს კაპიტნობდა.

სანამ ახალი მწვრთნელი პირველი წუთებიდან თამაშის დალაგებას მინდვრის კიდიდან ლამობდა, გიორგი ქორიძემ ორჯერ იძალა და ბათიაშვილი მინიდუელში გამოიწვია. მეკარემ ორჯერვე მიიწება ბოლნისელის დარტყმული.

„გორდას" სამი ქულა სჭირდებოდა საპირველლიგო ყულფიდან თავის დასაძვრენად და მინდორს შიგან მყოფმა კილასონიამ საამისოდ იწყო შრომა. რუსთაველთა შეტევების უმრავლესობა კაპიტნის სამკლავურზე გადადიოდა, თუმცა საგოლედ მოქოქილ ჯელაძე-გოდერძიშვილს ზამბარას სწრაფად გაშლა უჭირდათ.

ორმხრივად ისე რა მობურთალთა შორის პირველი კუთხურის ჩაწოდება „გორდას" ერგო. ალექსანდრე ბუკიას ცაციით საჯარიმოში ჩაქშუტუნებული ბურთი ჰაერში წამოწოლილმა ჯელაძემ კარისკენ აბრუნა. ბურნაძემ ერთი კი ამოუჭირა ბურთს, მაგრამ ის უკვე კარში იყო. გოლს დიდი ალიაქოთი „დაფდაფებით და ბუკითა" არ მოჰყოლია, თუმცა სამი ქულის პირველი ნაწილი მასპინძელთა ჯიბეში იდო.

პირველ ტაიმში კიდევ ორჯერ დადგა ჰაერში გოლის სუნი. ჯერ გაბისკირიამ ჰკრა მუხანათურად ბათიაშვილის ჩარჩოში, მაგრამ მეკარე სურათივით არ გაშეშებულა — თითქმის გამოუძრობელი გამოაძვრინა, მერე ბუკიამ დასცა ბურთს თავზარი, როცა მისი გასროლილი ხარიხამ რახარუხით გაისტუმრა. ეს იყო და ეს პირველ ტაიმში.

შესვენებაზე გასახდელში არავინ წასულა, მაგრამ არც შესვენება გაგრძელებულა თხუთმეტი წუთი. სირბილით და დაუნდობელი ბრძოლით, ალბათ, არავინ დაღლილა, ამიტომაც მეორე ტაიმი დროზე adრეც დაიწყო.

ვარლამ კილასონიამ ჯელაძე შეცვალა და ძმასა თვისსა შეუწყვილდა. მალე ძმურმა კავშირმა დალაქიშვილს ბურთი კარიდან ორჯერ კიდევ გამოატანინა. გიორგიმ მახვილი კუთხიდან მახვილი თვალით და ძლიერი დაბრახუნებულით გააორა, ხოლო ვარლამმა საჯარიმოს გარედან გაასამა.

ბოლნისელებს, რომელთაც მთელი მატჩის განმავლობაში თამაში რატომღაც არ გამოსდიოდათ, 0:3-ზე 3-4 ბურთის გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ ზურაბ ბათიაშვილის კარი გოლზე აცრილი იყო კარგი ექიმის მიერ.

მატჩის ბოლოს ერთ დიალოგს მოვკარი ყური. „დინამო" — „ბათუმის" თამაშიდან მოსული ფოტორეპორტიორი გაოცებული იყო, მგონი, ჯერ არ უნდა დამთავრებულიყო შეხვედრაო, ეუბნებოდა ნაცნობს და საათზე გაკვირვებული იყურებოდა. ნაცნობმა ღიმილით მიუგო, ხალხს დასვენება სჭირდება, ალბათ, უეფას თასის ფინალის საყურებლად ეჩქარებათო.



საბერძნეთიდან მობრუნებული დავით პეტრიაშვილი (მარჯვნივ) გუშინ „გორდას" წაეშველა

# საქორწილო საჩუქარი

## ხუნდაძემ თავით გააკეთა

კახა შალამბერიძე წყალტუბოდან

წყალტუბო. 26 მაისი. 8 მაისი. 17.30 საათი. 300 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ხუნდაძე (35), 2:0 დარსაძე (38), 2:1 ადამია (62)

სამგურალი: ბოდოკია, ფრანგიშვილი, შეყრილაძე, დ. ქელიძე, კიკვიძე, ი. ხაჭაპურიძე, შ. ლონდაძე, კ. ჯანაშია, კობალიანი (მ. ჯინჭარაძე 60), დარსაძე (ლ. ქობულაძე 81), ხუნდაძე (ვაჩიბერაძე 75)
სათადარიგონი: ო. ბობოხიძე, ფხაკაძე, ნებიერიძე, ბანძელაძე
მწვრთნელი: გია გიგატაძე

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კვაბაძე, კობიაშვილი (მ. ცქიფურიშვილი 46), მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმულაშვილი, დ. დოლიძე, გველესიანი (ფეიქრიშვილი 27), ადამია, წუწუნავა, მელქაძე (თედორაძე 46)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, სანიკიძე
მწვრთნელი: ჯანი კარნეველი

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. სილაგაძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); გ. კოპაძეიშვილი (ქუთაისი)

სფფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ჯარიმა: 8-16; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 0-1

**შაბათს** წყალტუბოს „სამგურალის" ვიცე-პრეზიდენტ მამუკა სალარეიშვილის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ამჟამად ქალაქის საკრებულოს მდივანი, რომელიც მოახლოებულ არჩევნებშიც კენჭს იყრის, ქორწინდება. ჰოდა, ბიჭებმაც მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს — „ვიტ ჯორჯია" წააქციეს და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა შემატეს მარაგს. თუმც ამ დღეს „26 მაისზე" მამუკა სალარეიშვილზე უფრო ბედნიერი ადამიანიც დაიბადებდა. მისი მოსახელე, 35 წლის ხუნდაძე დიდი ოფლისღვრის შემდეგ, როგორც იქნა, ასიანთა კლუბში „გაწევრიანდა"... ფეხბურთელმაც შვებით ამოისუნთქა — ამ მომენტს ხომ რა ხანია ელოდა. მილოცვები და გამამხნევებელი შეძახილებიც არ დაჰკლებია და გუნდსაც ასე საჭირო სამი ქულის მოპოვებაში დაეხმარა.

თასის ნახევარფინალში დამარცხებით „ვიტ ჯორჯიას" ყველანაირი მიზანი ამოეწურა ამ სეზონში და ვეტერინარებიც გატეხილნი ჩანდნენ. თუმც ყოვლად უმოტივაციო გუნდისთვის მთელი ძალების მობილიზებით თამაში რთული რომ არის, ესეც სათქმელია.

მატჩის წინ წყალტუბოში გვარიანად იწვიმა. მოედანიც ერთობ დამძიმებული იყო, რამაც დიდი დაღი დაასვა სანახაობრივ მხარეს. თუმც ეს პირველ ტაიმზე უფრო ითქმის. გუნდები სახეიროს ვერაფერს აკეთებდნენ და „26 მაისზე" ამინდივით მოღუშული ბურთაობა გაჩაღდა.

მატჩის ბედი „სამგურალის" სამწუთიანმა აფეთქებამ გადაწყვიტა. 35-ე წუთზე ირაკლი ხაჭაპურიძემ მარცხენა ფლანგზე ბურთი მოიგდო, წინ წაიწია და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთმა უმეთვალყურეოდ დარჩენილი მამუკა ხუნდაძე მოძებნა. ვეტერანმა მეგოლემ თავით შორეულ კუთხეში დაარტყა, ჭურაძე მოძრაობაზე დაიჭირა და ანგარიში გახსნა — 1:0. ხუნდაძეს ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი მეასე გოლით ხეირიანად არ გაეხარა, როცა უკვე თანაგუნდელ შოთა დარსაძეს ულოცავდა „ვიტ ჯორჯიას" კარში მეორე ბურთის გატანას. მეკარესთან პირისპირ გასულმა ნიკა კიკვიძემ არ იძუნწა, უკეთეს მდგომარეობაში მყოფ დარსაძეს გადააწოდა და მასაც თავის გამოჩენა არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში „სამგურალმა" უკან დაიხია და „ვიტ ჯორჯიამაც" რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა მოახერხა. ჯერ გიორგი ფეიქრიშვილის პასი, რომელიც კახა წუწუნავამ ეშმაკურად გაატარა, ვეტერინართა კაპიტანმა ლაშა ნოზაძემ მოიგდო და კარის გასწვრივ დაარტყა, თუმც ბურთს სტუმართაგან არავინ გამოეხმაურა. მალე „ვიტ ჯორჯიას" კიდევ ერთი რეალური შანსი მიეცა გოლის გასატანად, როცა წუწუნავამ გიორგი ადამია დატოვა მეკარესთან პირისპირ. გიორგიმ კარში დარტყმა კი შეძლო, მაგრამ შეყრილაძემ თავგანწირვით ითამაშა და ბურთს კარის ხაზი არ გადააკვეთინა.

„სამგურალი" თამაშის მეტოქის მოედანზე გადატანა უჭირდა, რამაც „შედეგი" მალევე გამოიღო. 62-ე წუთზე ადამია კიდევ ერთხელ გავიდა პირისპირ (ფეიქრიშვილის პასით), მეკარეც იოლად მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

ვეტერინარებს ამის შემდეგაც შეეძლოთ გოლის გატანა, თუმც ვერ ივარგეს. მალე „სამგურალმაც" გამოიხედა თვალში და მეტოქეს იქეთ შეუტია, მაგრამ ამას არაფერი მოუტანია.

მატჩის დასრულებას წყალტუბოელთა უზომო სიხარული მოჰყვა. „ვიტ ჯორჯიამ" კი მშვიდად დატოვა „26 მაისი". ან კი რა აქვთ უმოტივაციო და სამშვიდობოს თავდაგულებულ ვეტერინარებს სადარდებელი?..



მამუკა ხუნდაძე (მარჯვნივ) ასიანელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 30 |
| სამგურალი | 7 | 5 | 0 | 2 | 10:5 | 22 |
| მეტალურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:10 | 22 |
| სიონი | 7 | 3 | 0 | 4 | 13:11 | 22 |
| გორდა | 7 | 4 | 1 | 2 | 15:11 | 20 |
| გურია | 7 | 0 | 0 | 7 | 3:20 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 15 - პოროშინი | ტორპედო |
| 14 - დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 12 - ფიფია | კოლხეთი |
| 11 - ზ. ქუთათელაძე | ტორპედო |
| ენდელაძე | მეტალურგი |

## 100 გოლიანები

| | |
|---|---|
| ზურაბ იონანიძე | 142 |
| ლევან ხომერიკი | 129 |
| მიხეილ აშვეთია | 121 |
| დავით ჯანაშია | 120 |
| ოთარ კორღალიძე | 105 |
| გიორგი დარასელია | 105 |
| მერაბ მეგრელაძე | 104 |
| პაატა მაჭუტაძე | 104 |
| ზვიად ენდელაძე | 103 |
| ივანე ჯულელი | 102 |
| დავით მახარაძე | 101 |
| მამუკა ხუნდაძე | 101 |


## იყიდება

გაზ-2107 თეთრი ფერის, 1990 წლის გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00); 69-89-56 (საღამოს) კახა



საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

# 7 ტური

## I–VI ადგილები

# გიორგი კანდელაკმა ექვსამდე დათვალა

გორი. ცენტრალური. 8 მაისი
17.30 საათი. 2 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:3 მილანი**

0:1 მედოევი (5), 1:1 ხორგუაშვილი (19), 2:1 ხმალაძე (36), 2:2 სამხარაძე (58), 2:3 მედოევი (74), 3:3 ჯობაძე (80)
დილა: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ლ. გორჩაშვილი, საყვარელიძე (მ. ბურნაძე 61), ხორგუაშვილი, ფეხუაშვილი, ა. ხმალაძე, ჯობაძე (თაყაძე 86), რევაზიშვილი
სათადარიგონი: ნასყიდაშვილი, ალ. ლაბაძე, მ. სოხიაშვილი, რაზმაძე, დ. მანსურაძე
მილანი: ნაყოფია, დიმიტრიშვილი, ტარუღაშვილი, ბარამიძე (გ. ჩიტაური 90), მეტონიძე, მ. სამხარაძე, როსტიაშვილი (მებონია 52), მოსიაშვილი, ჭალიაშვილი, გამცემლიძე, მედოევი
სათადარიგონი: გრძელიძე, ეგაძე, ყარამაშვილი, ქარჩავა
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); ჰ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ქელიძე
ჯარიმა: 22-1; კუთხური 3-1; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 6-4; ოფსაიდი 6-5

**პაატა კვანტალიანი** გორიდან

**გორში** ბევრი მასპინძელთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ მატჩმა აჩვენა, რომ საომრად ჩასულიყო „მილანი" „დილასთან". ომიც გვარიანი გამოდგა და კარგი იქნებოდა, თუკი მოედანზევე დაესრულებოდა წერტილი, მაგრამ...

არა მგონია, ფეხბურთელებს გიორგი კანდელაკის ხათრით გამოედოთ თავი ნამატჩევს. გუშინ „ცენტრალურზე" ფეხბურთის სანახავად მისულმა მსოფლიოს ჩემპიონმა კრივიც იხილა, კრივი წესების გარეშე...

„დილას" უპირობო გამარჯვება სჭირდებოდა, რაკილა „ქობულეთის" და თსუ-ს სუნთქვას გრძნობდა ზურგსუკან და გააფთრებით ეკვეთნენ ქართლელები კახელებს, მაგრამ მალე თავში საცემად გაუხდათ საქმე. ზაზა მედოევმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია პირველ ლიგაში. მეხუთე წუთი იყო, მილანელმა ოცდაათიოდე მეტრიდან ეფექტურად რომ გაუტანა კარის ხაზზე გაშეშებულ ილურიძეს ბურთი. იმ ეპიზოდში ყველას ეგონა, რომ მედოევი საჯარიმოში ჩააწვედიდა. გოლმა „დილა" თამაშის იმპაზე მოიყვანა და მძლავრად შეუტიეს მასპინძლებმა. გორელთა ერთ-ერთი შეტევისას „მილანის" მეკარე ნაყოფია შეცდა გამოსვლაზე, წინ დაუვარდა ბურთი, რომელთანაც ყველაზე ადრე ამირან ხმალაძე გაჩნდა. მეკარის და თავდამსხმელის შეჯახებისას, მეშკოვმა პირველის მხრიდან წესების დარღვევა დააფიქსირა. პენალტი უნაკლოდ შეასრულა გამოცდილმა ხორგუაშვილმა. ხმალაძის მონდომებას მოჰყვა მასპინძელთა მეორე გოლიც. სწრაფმა ამირანმა ხორგუაშვილის პასისას ორ მეტოქეს ჩაურბინა და ნაყოფიასაც მოხდენილად გადაუგდო თავზე ბურთი. ტაიმის ბოლომდე „დილამ" ერთი-ორი საგოლე მომენტის გაფლანგვა მოასწრო, ერთხელ კი „მილანსაც" ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შეჭრილ ჭალიაშვილს გაუცუდდა გადამწყვეტი დარტყმა.

მეორე ტაიმში მოსაგებად შემართულ მასპინძლებს წნორელებმა დაუმტკიცეს, რომ შემთხვევით არ იმყოფებიან სატურნირო ცხრილის სათავეში. „მილანმა" ორჯერვე ტრადიციული მოკლეპასა კონტრშეტევებით იხეირა, ჯერ ბარამიძის უნაკლო გადაცემა შეირგო მირზა სამხარაძემ, ეფექტური დარტყმით შორეულ კუთხეში რომ ჩაუჭედა ბურთი ილურიძეს, მერე კი გადამწყვეტი სიტყვა ჯერაც ტრავმამოუშუშებელმა მედოევმა თქვა. ზაზამ 74-ე წუთზე მეტეორივით ჩაუქროლა მასპინძელთა მარჯვენაფლანგელებს, საჯარიმოში შესულმა მეკარეც მოხდენილად მოატყუა და მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

მარცხი გორელებს სავალალო დღეში აგდებდა და უკანმოუხედავად შეუტია „დილამ". ქართლელებს ხარიძის იღბლიანი გადაწყვეტილებაც წაადგათ — მურთაზ ბურნაძე კარგად შევიდა შეცვლაზე. ბურნაძე სტუმართა დაწინაურებამდეც რიგიანად ირჯებოდა და მერეც ლომის წილი დაიდო ანგარიშის გათანაბრებაში. სულაც მატჩის გმირი გახდებოდა, 87-ე წუთზე მისი თავური ხარიხას რომ არ მოხვედროდა. ამ დროისთვის ანგარიში 3:3 იყო, ჯობაძემ მახვილი კუთხიდან საჯარიმო დარტყმით იმედი გაუჩინა მასპინძლებს. მატჩის ბოლომდე მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ ყველაფრის დამთავრება, მაგრამ ორჯერვე სასწაულებრივ იხსნა ნაყოფიამ კარი. ჯერ ხორგუაშვილს აულო „მკვდარი ბურთი" სამიოდე მეტრიდან, მერე კი ხმალაძის თავურს გადაუხტა დროულად.

კრივი კი მეშკოვის ორი წუთით დაგვიანებულ საფინალო სასტვენს მოჰყვა. გასახდელის გზაზე ფეხბურთელებმა ემოციები ვერ მოთოკეს, თუმც ჯგუფური ჩხუბი დროულად აღკვეთეს წესრიგის დამცველებმა.

# არმაზზე თერთმეტი მეტრი მაინც გაიზომა

მცხეთა. არმაზი. 8 მაისი
17.30 საათი. 100 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:0 ქობულეთი**

1:0 მერებაშვილი (86პ)
თსუ: გუგუნავა, ქირაშვილი (ჯოჯუა 73), იაკობიძე, ბერიანიძე, დათუნაიშვილი, ჩოხელი, გ. მერებაშვილი, მესხი (ლობჟანიძე 89), დემეტრაძე (კვარაცხელია 37), ქუხილავა, გ. ა. მიქაძე
სათადარიგონი: ჭრიკიშვილი, ბ. ნოზაძე, სოხაძე, ბერიოშვილი
ქობულეთი: გაბუნია, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ოქროპირიძე, ბეგლარ თედორაძე, სიხარულიძე, ჯ. ბერიძე (დ. ჯინჭარაძე 88), კალანდაძე, თალაკვაძე (კვირკველია 62), ბაღუნაშვილი, კაკალაძე
სათადარიგონი: გოგუა, ცილიჩავა, ჩახუნაშვილი, გოგმაჩაძე, ჯინჯიხაძე
გაფრთხილება: ბაღუნაშვილი (85)
მსაჯები: ი. კახიანი; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
ჯარიმა: 13-23; კუთხური 9-0; კარისკენ დარტყმა 3-2; კარში დარტყმა 4-1; თამაშგარე 2-0

**მამუკა კვანტალიანი** მცხეთიდან

**თბილისურმა** თსუ-მ მცხეთაში ნაწვევ ქობულეთს თამაშის ბოლოს პენალტიდან გატანილი კინკილა გოლით და მოუგო და უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსი შეინარჩუნა.

პენალტი ისეთი იყო, მსაჯები მასპინძლებისთვის რომ არასდროს დაინანებენ, სტუმრებს კი არ აღირსებენ. თსუ-ს ერთ-ერთი ბოლო ნაჩქარევი შეტევისას სტუდენტებმა სტუმართა საჯარიმოში ჩააგდეს ბურთი. იქ ყველას ჩოხელმა დაასწრო, მეტოქის კარისკენ გაიწია და წაიქცა. ბაღუნაშვილმა მეტოქეს ფეხი ამოჰკრა თუ არა, ტრიბუნიდან არ ჩანდა, თუმც კახიანმა ჩასტვინა და სტუმრებსაც „გული გაუხეთქა".

ქობულეთელებს დიდხანს არც უკამათიათ. ხელი ჩაიქნიეს და თსუ-ს უპირველეს მეგოლეს შემოეცალნენ. მერებაშვილს ფეხი არ აჰკანკალებია, გაბუნია მარცხნივ გადაახტუნა, ბურთი კი მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

ნაღდი პენალტი სტუდენტებს თამაშის დასაწყისშივე ეკუთვნოდათ, როცა სტუმართა მცველმა საჯარიმოდან ბურთი ხელით გამოიტანა, მაგრამ ეტყობა, ეს მსაჯისთვის შეუმჩნევლად გააკეთა და შერჩა კიდეც.

გოლამდე კი თსუ უტევდა. დიდ უპირატესობასაც ფლობდნენ სტუდენტები, მაგრამ გატანას ვერ ახერხებდნენ. „ქობულეთი" გამოცდილი გეგეშიძის მეცადინეობით ორგანიზებულად იცავდა თავს. პირველად დათუნაიშვილმა შეაწუხა სტუმრები. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ჯვარედინს მოხვდა. მერე მესხს აულო ახლოდან გაბუნიამ. ქობულეთელთა მეკარემ პირველი ტაიმის ბოლოსაც გამოიჩინა თავი და ქუხილავა გააწბილა. მეორე ტაიმში ჩოხელმა მოარტყა ბურთი ხარიხას. ყველაფერი კი დასაწყისში ნახსენები პენალტით დასრულდა.

„ქობულეთს" 90 წუთში ერთადერთი შანსი ჰქონდა, მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა კვირკველიამ საგოლე პასი კაკალაძისგან მიიღო, ბურთიც გაისწორა, მაგრამ საბოლოოდ კარს ზემოთ დაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 7 | 6 | 1 | 0 | 13:3 | 42 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 38 |
| თსუ | 7 | 4 | 0 | 3 | 7:7 | 35 |
| ქობულეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 7:6 | 33 |
| ლოკომოტივი 3 | 6 | 1 | 0 | 5 | 8:9 | 23 |
| ცხინვალი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:14 | 18 |

# კალაძე და მილანი

## ქართული ფუთები, გოლები, ბარათები



კახა კალაძემ „რომას" ბრაზილიელ კაფუს ბურთი დაუმალა

აგვისტოდან მესამე იტალიურ სეზონს დაიწყებს 23 წლის ქართველი მცველი კახა კალაძე, სექტემბრიდან კი ასევე მესამედ მოსინჯავს ძალას ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ ტურნირში. ორჯერ კიევის „დინამოსთან" ერთად, ახლა კი სახელიან და ტიტულიან „მილანთან" ერთად დააჭაშნიკებს ჩემპიონთა ლიგას.

მეორე წელია ჩვენებური იტალიაში, „მილანში" 2001 წლის იანვარში გადაბარგდა და რას მიაღწია კახა კალაძემ ამ ხნის მანძილზე? ჩახედეთ ქვემორე სტატისტიკას და თავადვე დარწმუნდებით, რამდენად ფასობს ქართველი „შავ-წითლებს" შორის. ამ სეზონში კი სულაც მესამეა სერია A-ში ჩატარებული თამაშების რაოდენობით კრისტიან აბიატის და ჯენარო გატუზოს შემდეგ.

**გიორგი მუზაშვილი**

**კახა კალაძე**

დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს სამტრედიაში
წონა: 76 კგ; სიმაღლე: 186 სმ
დებიუტი სერია A-ში 04.02.2001 მილანი 1:0 რეჯინა

**2000-2001 სეზონი**

**სერია A**

17 მატჩი, ითამაშა 1479 წუთი — გაიტანა 3 გოლი

14.04.2001 26-ე ტური — მილანი 3:0 უდინეზე
1:0 კალაძე (9); ითამაშა 90 წუთი
22.04.2001 27-ე ტური — ლეჩე 3:3 მილანი
3:3 კალაძე (90); ითამაშა 90 წუთი
17.06.2001 34-ე ტური — რეჯინა 2:1 მილანი
0:1 კალაძე (69); ითამაშა 90 წუთი

*გააფრთხილეს 2-ჯერ* (ვიჩენცა 2:0 მილანი; რომა 1:1 მილანი)
*გააძევეს ერთხელ* (რომა 1:1 მილანი)

**იტალიის თასი**

6 მატჩი, ითამაშა 540 წუთი, გოლი არ გაუტანია, არ გაუფრთხილებიათ

**2001-2002 სეზონი**

**სერია A**

30 მატჩი, ითამაშა 2443 წუთი — გაიტანა 4 გოლი

30.09.2001 მე-5 ტური — პერუჯა 3:1 მილანი
1:1 კალაძე (67); 82-ე წუთზე შეცვალა ბრაზილიელმა როკე ჟუნიორმა
24.02.2002 24-ე ტური — ვენეცია 1:4 მილანი
0:1 კალაძე (12); ითამაშა 90 წუთი
17.03.2002 27-ე ტური — მილანი 2:1 ტორინო
1:0 კალაძე (51); ითამაშა 90 წუთი
05.05.2002 34-ე ტური — მილანი 3:0 ლეჩე
1:0 კალაძე (7); ითამაშა 90 წუთი; მისი თამაში შეაფასეს 7 ბალით

*გააფრთხილეს 3-ჯერ*
(მილანი 0:0 ბოლონია; მილანი 0:0 ატალანტა; კიევო 1:1 მილანი)

**იტალიის თასი**

4 მატჩი, ითამაშა 382 წუთი, გოლი არ გაუტანია, არ გაუფრთხილებიათ

**უეფას თასი**

9 მატჩი, ითამაშა 685 წუთი, გოლი არ გაუტანია
*გააფრთხილეს ერთხელ*
ოცდამეთორმეტედფინალი. ცსკა (ბულგარეთი) 0:1 მილანი

**17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი**
დანია. 27 აპრილი-10 მაისი
uefa·european under 17 championship

**ნახევარფინალი**

შვეიცარია 3:0 ინგლისი — საფრანგეთი 1:1 (პენ. 4:3) ესპანეთი


# იყიდება



☎ (231) 7 17 63

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია



რუდი ფიოლერი

**ბუნდესლიგა** ჩამთავრდა თუ არა, გერმანიის ნაკრების დამრიგებელმა რუდი ფიოლერმა კორეა-იაპონიაში წამსვლელ ფეხბურთელთა სია გამოამზეურა. ფიფას ახალი წესის თანახმად გუნდებს 22-ის ნაცვლად 23 ფეხბურთელის წაყვანა შეუძლიათ მუნდიალზე. ფიოლერის რჩეულნი არიან:

***მეკარეები:*** *ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი), ჰანს-იორგ ბუტი (ლევერკუზენი);*

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 22 დღე

# რუდის დაისლერი განწყვეტილი თეძოთიც მოსწონს ნუ გაიტანთ გოლს, იყავით ბაიერნელი და თქვენ შეგიწყალებთ ფიოლერი

***მცველები:*** *თომას ლინკე (ბაიერნი), კრისტიან ვიორნსი, სებასტიან კელი, კრისტოფ მეცელდერი, იორგ ჰაინრიხი (ყველა დორტმუნდი), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტიან ციგე (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *მიხაელ ბალაკი, კარსტენ რამელო, ბერნდ შნაიდერი (ყველა ლევერკუზენი), სებასტიან დაისლერი (ჰერტა), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), იენს იერემისი (ბაიერნი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *ჯერალდ ასამოა (შალკე), ოლივერ ბირჰოფი (მონაკო, საფრანგეთი), ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), მარკო ბოდე (ვერდერი).*

როგორც ხედავთ, რუდი ფიოლერმა სიაში ტრავმირებული სებასტიან დაისლერიც შეიყვანა. ეს 22 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი, რომელიც თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალი სეზონიდან ბაიერნელი გახდება, ახლა ინტენსიური თერაპიის კურს გადის.

ახლახან გასრულებული სეზონი დაისლერს მუხლის ოპერაციის გამო ფაქტობრივად გაუცდა. ის ოპერაციის შემდეგ აპრილში დაუბრუნდა ბუნდესლიგას, მაგრამ ერთი ჩატარებული მატჩის შემდეგ კვლავ დაშავდა — ვარჯიშზე თეძოს კუნთი გაუწყდა.

მუნდიალი 31 მაისს იწყება და ფიოლერიც იმედიანადაა, დაისლერი იმ დროისთვის სრულიად გამოჯანმრთელდებაო.

ასე მოკლე დროში ჯანზე მოსვლა არ უწერიათ ბაიერნელ მეჰმეთ შოლსა და ლევერკუზენელ იენს ნოვოტნის, არადა, მათ ნაკრებში ადგილი შეიძლება ითქვას, რომ დაჯავშნული ჰქონდათ.

— ფაქტია, შოლი და ნოვოტნი არ გვეყოლებიან, მაგრამ ამით ჩვენი მიზანი უცვლელია, ჯგუფიდან უნდა გავიდეთ — დასძინა ფიოლერმა. გერმანული ფეხბურთის ქომაგთ, ალბათ, გულზე შემოეყრებათ ბუნდესნაკრების მწვრთნელის ეს სიტყვები, მაგრამ რა გაეწყობა. ისე, ფიოლერმა ისიც თქვა, ჩემი გუნდის მჯერა, კარგი სულისკვეთებით უფრო შორს წასვლაც შეგვიძლიაო.

ფიოლერის სამუნდიალო გუნდში უმხცოვანესი 34 წლის ოლივერ ბირჰოფია, ყველაზე ჯეელები კი 22 წლისანი არიან — დაისლერი, მეცელდერი და კელი.

ყველაზე მეტი „კეპი“ კი კრისტიან ციგეს აქვს — 64 მატჩი ეროვნულ გუნდში.

ერთი კაზუსიც. კორეა-იაპონიაში სხვათ გარდა კარსტენ იანკერიც წავა, რომელმაც ბუნდესლიგის ამ·გათამაშებაში ერთი გოლიც ვერ შეაგდო და მთელი სეზონის განმავლობაში სულ რაღაც რამდენიმე წუთი ითამაშა. სამაგიეროდ, მუნდიალის მიღმა დარჩა ბუნდესლიგის ბომბარდირი მარტინ მაქსი.

— პრაქტიკულად ეს რთული გადასაწყვეტი იყო. მაქსის სასარგებლოდ მისი გოლები ლაპარაკობენ, მაგრამ მე მჯერა, რომ იანკერს აქვს საიმისო კლასი, მუნდიალზე წასაყვანთა შორის რომ იყოს — ასე იმართლა თავი ფიოლერმა.

ბუნდესმწვრთნელმა იმ ფეხბურთელთა რვაკაციანი სიაც გამოაცხო, რომელთაგანაც შესაძლოა ვინმე მაინც მოხვდეს კორეა-იაპონიაში. ეს იმ შემთხვევაში, თუ 23-კაციანი სიიდან რომელიმე ფეხბურთელი ტრავმის ან სხვა მიზეზის გამო ამოვარდება. განაცხადის შეცვლის ბოლო ვადა 23 მაისია. რვაკაციანი, ეგრეთ წოდებული „სთენდ-ბაის“ სია კი ასეთია: ფრანკ როსტი, ფრანკ ბაუმანი (ორივე ვერდერი), ინგო ჰერჩი (ჰამბურგი), შტეფან ბაინლიხი (ჰერტა), იორგ ბიომე (შალკე), ლარს რიკენი (დორტმუნდი), თომას ბრდარიჩი (ლევერკუზენი), მარტინ მაქსი (მიუნხენი).

**დავით თავართქილაძე**



სებასტიან დაისლერი

## იტალია








# ტრაპატონიმ იტალიას ნაშყრშა

# ბაჯოს სკუადრა აძურას კარი მიუხურა

**იტალიის** ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ გუშინ სიტყვა აასრულა და დანაპირები სამუნდიალო შემადგენლობაც დაასახელა.

ტრაპატონიმ პრესისა და ქომაგების ზეწოლას გაუძლო და... 23-კაციან განაცხადში 35 წლის რობერტო ბაჯო არ შეიყვანა.

ტრაპატონიმ მისი წაუყვანლობის მიზეზად ის ტრავმა დაასახელა, რობერტომ იანვარში რომ მიიღო. ერთი, რომ ჩემთვის სასურველ ფორმაში ვერაა და მეორეც, გამთამაშებლის პოზიციაზე ფრანჩესკო ტოტი, ანაც ალესანდრო დელ პიერო მყავს შეგულებულიო — უთქვამს დონ ტრაპის. როგორ ითამაშებს უბაჯოო იტალია და მოუვიდა იალიში თუ არა ჭალარა აპენინელს, მუნდიალზე გამოჩნდება.

ვიდრე ტრაპატონის რჩეულ 23 ფეხბურთელის ვინაობას გაეცნობოდეთ, გეტყვით, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცს 22 ფეხბურთელი ადრევე ჰყავდა შეგულებული, ვაკანტურ ადგილზე კი პრეტენზიას ერთბაშად ოთხი აცხადებდა — ნახევარმცველები მასიმო ამბროზინი („მილანი“), სტეფანო ფიორე („ლაციო“), თავდამსხმელი მარკო დი ვაიო („პარმა“) და „ფიორენტინას“ განაპირა ჰავბეკი ანჯელო დი ლივიო. და ვინ ირჩია მწვრთნელმა? 36 წლის ვეტერანი დი ლივიო, მაინც გამოცდილიაო. ისე, დი ლივიო თუ არის გამოცდილი, რობერტო ბაჯო ვინღაა? გამოუცდელი, თუ 18 წლის ბიჭი?

ერთი სიტყვით, ხვალ იტალიის თასის საპასუხო მატჩიც გაიმართება, სადაც „პარმა“ უკვე 26-გზის ჩემპიონ „იუვენტუსთან“ შეეცდება პირველი მატჩის შედეგის (1:2) სათავისოდ შემობრუნებას და „სკუადრა აძურაც“ სამუნდიალო შეკრებაზე გადავა. აზიაში წასვლამდე აპენინელები „რომას“ საწვრთნელ ბაზაზე მოემზადებიან.

23 ფეხბურთელი შერჩეულია და მალე მუდმივ ნომრებსაც ჩამოირიგებენ.

***მეკარეები:*** *ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), კრისტიან აბიატი (მილანი);*

***მცველები:*** *ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო ნესტა (ლაციო), პაოლო მალდინი (მილანი), კრისტიან პანუჩი (რომა), მარკო მატერაცი (ინტერი), მარკ იულიანო (იუვენტუსი);*

***ნახევარმცველები:*** *ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), კრისტიანო დონი (ატალანტა), ჯენარო გატუზო (მილანი), დამიანო ტომაზი (რომა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი (რომა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი);*

***თავდამსხმელები:*** *კრისტიან ვიერი (ინტერი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ვინჩენცო მონტელა (რომა), მარკო დელვეკიო (რომა).*

**გიორგი გუგაძიძე**

## ესპანეთი

# ჯანმრთელობა მუნდიალზე მეტია

**რაც უფრო** ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, მით უფრო ხშირად გვესმის ცნობა ამა თუ იმ ფეხბურთელის ტრავმის შესახებ. მოგეხსენებათ, პირველი ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი რობერ პირესი იყო, მას კვალში იტალიელი ჯანლუკა პესოტო ჩაუდგა. უფრო იღბლიანი აღმოჩნდა ინგლისელი დევიდ ბექემი. გავრცელდა ცნობა, რომ იგი აუცილებლად ითამაშებს მუნდიალზე. უიღბლოთა სიას მიემატა ესპანური „ბარსელონას“ მარცხენა მცველი სერხი ბარხუანი. მან ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალში მარცხენა კოჭი სერიოზულად დაიშავა. კატალონიური კლუბის ექიმმა რიკარდო პრუნამ განაცხადა: „ჩვენ ოპერაციის გაკეთება ვურჩიეთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მის კარიერას საფრთხე შეექმნებოდა. მართალია, ფეხბურთელისთვის ძნელია მსოფლიოს პირველობის გამოტოვება, მაგრამ, ვფიქრობთ, მთავარი მოთამაშის ჯანმრთელობა“. ექიმმა ისიც დასძინა, რომ ოპერაციის შემდეგ სერხი ორ თვეში ვარჯიშს შეუდგება. რაც შეეხება ესპანეთის ნაკრების სამუნდიალო განაცხადს, კამაჩო 13 მაისს გამოაქვეყნებს. შეგახსენებთ, რომ ესპანელები პირველ შეხვედრას სლოვენიელებთან 2 ივნისს გამართავენ.

**ზურაბ რუხაძე**



სერხის ცუდად დაწყებული სეზონი ცუდადვე დაუმთავრდა

# საქმენი სამორატონი
## ქარს გატანებული 400 მილიონი და სკუდეტო





მასიმო მორატის ფულით ექტორ კუპერმა სკუდეტო ვერ იყიდა

*მასიმო მორატი ის იტალიელი ბიზნესმენია (სიტყვა ბიზნესმენის ჩვენებურისგან ძალიან განსხვავებული გაგებით), რომელმაც ბოლო შვიდი წლის მანძილზე მილანის „ინტერში" დიდძალი ფული ჩადო, მაგრამ, როგორც კვირას, 5 მაისს, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" დატრიალებულმა დრამამ აჩვენა, უკუგებას სულ მცირე, ერთი წელიწადი კიდევ უნდა ელოდოს.*

*მენავთობე მაგნატი, რომ 60-იანი წლების „ინტერს" მისტირის და მაშინდელის დარი გუნდის შექმნა უნდა, ოდითგან ცნობილი ფაქტია. ისიც ცნობილია, რომ სამოციანელებში „შავ-ლურჯებს" მამამისი, ანჯელო მორატი პრეზიდენტობდა და კლუბის დიდების დარბაზი სამი სკუდეტოთი და ორი ჩემპიონთა თასით შეივსო. შვილის დროს კი...*

**შვილი** მორატი მამამისის თანამდებობაზე 1995 წლის თებერვალში მივიდა და მას მერე 400 მილიონი დოლარი დახარჯა. შედეგი? 1998 წლის უეფას თასი და მეტი არაფერი.

„მთელი სეზონის განმავლობაში კმაყოფილი ვიყავი, ბოლო შეხვედრაში კი, სწორედ მაშინ, ცოტა მეტის გაღება რომ იყო საჭირო, გუნდმა ვერ ივარგა. არადა, ბოლო დღეს ხელის მოცარვა, ნამდვილად მტკივნეულია" — განაცხადა მორატიმ 5 მაისის დრამის შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ სეზონის შეფასებაში პრეზიდენტი მართალია. არგენტინელი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის ხელმძღვანელობით „შავ-ლურჯებმა" მართლაც მოახერხეს ის, რაც 1997-98 წლების სეზონის გარდა ერთხელაც ვერ მოეხერხებინათ — სკუდეტოს რეალურ კანდიდატებად იქცნენ. 1997-98 წლების სეზონში გუნდს ლუიჯი სიმონი ედგა სათავეში. სხვა სპეციალისტებმა კი მორატის ნაყიდ ვარსკვლავთა კრებულს ვერაფერი მოუხერხეს.

კრებული კი იცოცხლეთ, ისეთია, მხოლოდ რონალდოსა და ვიერის წყვილში პრეზიდენტმა 77 მილიონი დოლარი გაიმეტა, თუმცა ტრავმების გამო ამ ორმა ფორვარდმა ერთად თითქმის ორ წელიწადს ვერ შეძლო თამაში. ახალდამთავრებულ სეზონში კი როგორც იქნა გამოჯანმრთელებულმა ვიერიმ 22 გოლი შეაგდო, ხოლო რონალდომ ხეირიანად ბოლო ხუთ თამაშსღა მიუსწრო და ოთხჯერ გაიტანა.

რა იქნება მომავალში? ზოგადად, მორატი მწვრთნელების მომთმენი და ამტანი კაცი არასდროს ყოფილა. 1995 წელს მან ოტავიო ბიანკი მოხსნა და მის მაგივრად ინგლისელი როი ჰოჯსონი მიიყვანა, ხოლო ჰოჯსონი 1997 წლის ივლისში ზემოხსენებული სიმონით შეცვალა.

როგორც მოგახსენეთ, სიმონის ხელში „ინტერს" აშკარა პროგრესი ჰქონდა, მაგრამ მორატიმ ბოლომდე ორი სეზონიც არ აცალა და, რაგინდ ირონიულად ჟღერდეს, სწორედ იმ დღეს, იტალიის წლის საუკეთესო მწვრთნელად რომ ასახელებდნენ, თანამდებობიდან გაუშვა. სიმონი რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ შეცვალა, ოღონდ მასაც არ ეწერა ხანგრძლივი კარიერა — ჩემპიონატის დამთავრებამდევე დაითხოვეს.

შემდეგ იყო მარჩელო ლიპი, ცნობილი სპეციალისტი, რომელსაც, თითქოს სტაბილურობა უნდა მოეტანა, მაგრამ მაესტროც დიდი ბოდიში და გააპამპულეს — ჯერ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე „ჰელსინგბორგთან" წააგო, შემდეგ იტალიის ჩემპიონატის პირველსავე შეხვედრაში „რეჯინასთან" და მისი ადგილიც მყისიერად მარკო ტარდელის ერგო. ტარდელი, მოგეხსენებათ, ხელწამოსაკრავი ფიგურა არ არის, ფეხბურთელობისას 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, „ინტერში" მისვლის წინ კი იტალიის 21 წლამდელთა ნაკრებს ედგა სათავეში.

ტარდელისაც წამოჰკრეს ხელი — მილანურ დერბიში „შავ-წითლებმა" საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს, 6:0 მოუგეს...

და მასიმო მორატი ღრმად ჩაფიქრდა: თუ მიზანია გავხდე ისეთი, როგორიც მამაჩემი იყო, მაშინ მიზნისკენ სავალი გზაც იგივე უნდა მქონდეს — არგენტინელი მწვრთნელი, აი, გამოსავალი, მამას ელინიო ერერა ჰყავდა, შვილს?

და მილანში ექტორ რაულ კუპერი ჩავიდა, ერერასავით დისციპლინის მოყვარული, კონტრშეტევების იდეებით შეპყრობილი და ესპანეთში ნამუშევარი.

მივიდა კუპერი და იმ ზაფხულს „ინტერში" სენსაციური ტრანსფერი არ შემდგარა. მორატიმ მცველი მარკო მატერაცი და მეკარე ფრანჩესკო ტოლდო შეიძინა, სამაგიეროდ, მოედანზე სხვა, გაცილებით შედეგიანი ფეხბურთი გაჩაღდა, „ინტერი" სკუდეტოს რეალურ კანდიდატად იქცა და... როგორც ჩანს, დასაწყისისთვის ესეც საკმარისი იყო.

„მერე რა, მომავალ სეზონშიც კუპერი იქნება, რადგან მისმა პირველმა წელიწადმა კარგად ჩაიარა" — განაცხადა ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა.

**ბაჩუნა ძიძია**

# აქციისთვის თასი ფარსია

**„იუვენტუსმა"** წინა კვირას თავისი 26-ე სკუდეტო კი მოიგო, მაგრამ მისი აქციების გაუფასურების პროცესი ვერ შეაჩერა. იტალიური გრანდის აქციების ფასი ეცემა.

ეს ამბავი მარტო „ბებერი ქალბატონის" თავს როდია, ორივე რომაული გუნდიც ამ დღეშია. შარშანდელ ჩემპიონ „რომას" აქციები წინა წელთან შედარებით ნახევარი პროცენტით გაუფასურდა. კიდევ უფრო მძიმე დარტყმა მიიღო „ლაციომ", მისმა აქციებმა 2,9 პროცენტით დაიწია. „იუვენტუსის" ერთი აქციის ფასი ახლა 3,41 ევროა, შარშან მაისში კი 3,70 იყო.

ექსპერტები ამ მოვლენის მიზეზად საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებას ასახელებენ. აქციები ბირჟაზე გაიტანეს, კლუბების შემოსავალმა იმატა, ახლა კი უკუპროცესია დაწყებული, საკაბელო არხები ტელეკონტრაქტების პირობების გადახედვას მოითხოვენ. გაჩნდა აზრი, რომ საფეხბურთო კლუბში ფულის ჩადება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ფეხბურთელების შეძენა, ხელფასი, პრემია, მოთამაშეებისა და მათი აგენტების სულ უფრო და უფრო მზარდი მადის დაკმაყოფილება დიდძალ თანხას ითხოვს, რაც ინვესტორის ჯიბესაც გვარიანად ატყობს ხელს.

ექსპერტების აზრით, „იუვენტუსის" გამარჯვება მის საერთო ფინანსურ მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ტურინულ კლუბს სერია A-ს მოგებისთვის



„იუვენტუსის" ქომაგები ახლა აქციებზე სულაც არ ფიქრობენ

გვარიანი პრემიის გადახდა მოუწევს მოთამაშეთათვის.

განსხვავებული აზრი აქვს „იუვენტუსის" მენეჯერს, იტალიური ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავს, რობერტო ბეტეგას.

„უახლოეს ხანებში გადასახდელი პრემიალურები ბიუჯეტში რა ხანია, გათვალისწინებული გვაქვს და ეს კლუბის საერთო ფინანსურ მდგომარეობას ვერ შეარყევს" — აცხადებს ბეტეგა. მისი თქმით, წლის პირველ ნახევარში კლუბის სუფთა შემოსავალი 37 მილიონი ევრო იყო და ახლაც სოლიდურ შევსებას ელის.

**სერგი ძოწიძე**

# მილანში კანავაროს ელიან



ფაბიო კანავარო „პარმასთვის" გადაიხარდა

**„მილანმა"** წლევანდელი სეზონი კი ჩააგდო, მაგრამ მიზანი მაინც აისრულა. ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დაფაცურდა, გუნდს გაძლიერება სჭირდებაო.

თითქმის გადაწყვეტილია, „შავ-წითლებს" ყველა ის ფეხბურთელი დაუბრუნდება, რომლებიც 2001-02 წლების სეზონში სხვადასხვა გუნდებში იჯარის წესით თამაშობდნენ. მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე დღე-დღეზე დაბრუნდებიან ბარსელონელი ფრანჩესკო კოკო და ალავესელი ფაბრიციო კოლოჩინი.

„როსონერის" საკუთრებაა დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი. „ფეიენოორდის" აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა „მილანთან" ოთხწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. წუხანდელი ფინალის მერე იონ დალ ტომასონი როტერდამიდან აიბარგა.

სამშაბათს „მილანმა" კიდევ ერთ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი. ნახევარმცველი დამიანო ძენონი მარცხენაფლანგელია, ბერგამოს „ატალანტას" შემადგენლობაში 97 სერიული მატჩი ჩაატარა და 7 გოლიც მიითვალა. ცნობისთვის, ძენონი სწორედ ის კაცია, რომელმაც დეკემბერში „მილანის" უბერებელი კაპიტანი პაოლო მალდინი დაამტვრია და ნახევარი სეზონიც გამოატოვებინა.

ახლა კი მთავარი. შესაძლოა, დღესვე „მილანმა" კიდევ ერთ ფეხბურთელს გაუფორმოს ხელშეკრულება. „პარმას" და იტალიის ნაკრების მცველ ფაბიო კანავაროს „მილანის" გარდა აწ უკვე იტალიის 26-გზის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსიც" ეპატიჟება. კანავარომ თავისი აგენტის პირით ოფიციალურად განაცხადა, „პარმას" აუცილებლად დავტოვებ, რაკი ახალი სეზონიდან ტიტულიან და სახელიან კლუბში მსურს კარიერის გაგრძელებაო. პარმული კლუბის პრეზიდენტი კალისტო ტანციც თანახმაა, ფაბიოს შეელიოს... 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ.

ფეხბურთელის აგენტიც დღეს აპირებს მილანში ჩასვლას, რამეთუ ადრიანო გალიანიმ ზემოხსენებული თანხის გადახდაზე დასტური მისცა, ოღონდ ღირებულების ნაწილს ნატურით გაგისტუმრებთ, ნახევარმცველ მასიმო დონატის კი დაგითმობთო, შეუთვალა გალიანიმ ტანცის.

ერთი სიტყვით, თუ ტრანსფერი შედგა, „მილანი" ფაბიო კანავაროს სახით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ჩაიგდებს ხელში.

**გიორგი გუზაძიძე**

## ამხანაგური მატჩი

### რეალი 1:0 იაპონია

1:0 კორნგო (26)

**რეალი:** კასილიასი (ც. სანჩესი 60), ჯერემი, კამპო (პავონი 46), ა. კარანკა (რუბენი 46), რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 30), ფ. კონსეისაო (ალვარო 60), სელადესი, ფიგუ (ჯალდო 30), კორნგო (მორიენტესი 46), მუნიტისი (სოუზა 60), პორტილიო (გუტი 46)

**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე

**იაპონია:** სოგაჰატა, მატსუდა (ნაკაზავა 68), მიამოტო, კ. ნაკატა, ტოდა (ფუკუნიში 46), ინამოტო, ბოიანი (იჩიკავა 46), მორიშიმა (ოგასავარა 46), სანტოსი (მატორი 46), იანაგისავა (კუბო 46), სუზუკი (იამაშიტა 73)

**მწვრთნელი:** ფილიპ ტრუსიე

**მსაჯი:** ხოსე ესკარნას ტორესი (ესპანეთი)

5 000 მაყურებელი



ფოტოზე ჰოლანდიელ არბიტრ ალინ ქარემსს ხედავთ, სიღრმეში თეთრმაისურიანი კი ხოსე ანტონიო კამაჩო გახლავთ. „რეალის" და მსოფლიოს ვეტერანთა გუნდების საქველმოქმედო შეხვედრა იმ მატჩს უძღვოდა, რომლის ოქმსაც აქ წარმოგიდგენთ.



არიელ ორტეგამ (მარჯვნივ) „რივერ პლეიტში“ ბოლოჯერ ითამაშა

# ფედერაცია ეშმაკია არ ენდოთ ცხრილს

## არგენტინა

### კლაუსურა

80-17 ტური: ლანუსი — რივერ პლეიტი 1:0; ბოკა ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 2:1; ესტუდიანტესი — ნიუელს ოლდ ბოიზი 3:3; ურაკანი — სან ლორენსო 1:1; როსარიო სენტრალი — ხიმნასია ლა პლატა 2:0; ტალერესი — კოლონი 0:3; არგენტინოს ხუნიორსი — ჩაკარიტა ხუნიორსი 3:2; უნიონი — ბელგრანო 1:0; ნუევა ჩიკაგო — ინდეპენდიენტე 1:1; რასინგი — ბანფილდი 0:0

**კლაუსურას** გასრულებამდე სულ ორიოდ კვირა რჩება და „რივერ პლეიტი“ კვლავაც ინარჩუნებს ლიდერობას, თუმცაღა, უფრო იმის წყალობით, რომ მასთან ერთად აგებს უახლოესი მდევარი „ხიმნასია ლა პლატაც“. ამათ შორის სხვაობა ერთი ქულაა, ოღონდ არგენტინული მედია შეგვახსენებს, რომ სინამდვილეში, „რივერი“ ოთხი ქულით უსწრებს „ხიმნასიას“, რახან ამ ორთა შორის მატჩი, რომელსაც „რივერი“ იგებდა, 84-ე წუთზე გიმნაზიელ ხულიგანთა გამო შეწყდა. ამ შეხვედრის შედეგს ჯერჯერობით არ აღიარებს იქაური ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც იმას თუ იმედოვნებს, რომ „რივერი“ მაინც გახდება ჩემპიონი და თავისტკივილიც ნაკლები შეხვდება.

კვირას კი „რივერმაც“ წააგო და „ხიმნასიამაც“. ამის მიუხედავად, მედია თვლის, რომ უკვე შემდეგ ტურში, თუკი „რივერი“ მოიგებს და „ხიმნასია“ წააგებს, „რივერი“ ჩემპიონად უნდა გამოცხადდეს.

ამასობაში კი კლაუსურას ლიდერს კოშმარული კვირა ჰქონდა. გუნდმა 0:4 წააგო „გრემიოსთან“ და ლიბერტადორესის თასს გამოეთიშა. ამას მოჰყვა მარცხი „ლანუსთან“. გამარჯვებულთაგან შეხვედრის ერთადერთი გოლი შესვენების წინ გაიტანა მაურისიო რომერომ. „რივერს“ კი ჩემპიონატის დასკვნით ტურებში გამოაკლდებიან არიელ ორტეგა და ანდრეს დალესანდრო, რომლებიც სანაკრებო შეკრებაზე გაემგზავრებიან იტალიაში, იქიდან კი პირდაპირ აზიისკენ გასწევენ, მსოფლიოს თასზე სათამაშოდ.

ორტეგასთვის ეს ბოლო მატჩი გამოდგა „რივერის“ შემადგენლობაში — იტალიური „პარმასგან“ ნათხოვარი, კვლავ „პარმას“ დაუბრუნდება.

„როსარიო სენტრალმა“ კი ლუსიანო ფიგეროას წყვილი გოლით დაამარცხა „ხიმნასია“. „როსარიო“ გვარიანად გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც გუნდს ლუის სესარ მენოტი ჩაუდგა სათავეში. 422 წუთში თავისი პირველი გოლი გაიტანა „ინდეპენდიენტემ“, რომელმაც მაინც ვერ მოიგო და კვლავაც რჩება ცხრილის ბოლო ადგილზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 16 | 10 | 4 | 2 | 30:9 | 34 |
| ხიმნასია | 16 | 10 | 3 | 3 | 30:20 | 33 |
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 9 | 4 | 3 | 23:14 | 31 |
| ბანფილდი | 17 | 7 | 6 | 4 | 19:15 | 27 |
| სან ლორენსო | 17 | 6 | 8 | 3 | 23:15 | 26 |
| ურაკანი | 17 | 8 | 2 | 7 | 21:20 | 26 |
| რასინგი | 16 | 7 | 5 | 4 | 17:14 | 26 |
| ოლდ ბოიზი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:24 | 25 |
| კოლონი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:19 | 23 |
| ესტუდიანტესი | 17 | 6 | 5 | 6 | 29:26 | 23 |
| ნუევა ჩიკაგო | 17 | 5 | 6 | 6 | 14:18 | 21 |
| ველესი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:20 | 20 |
| ლანუსი | 17 | 4 | 8 | 5 | 16:18 | 20 |
| როსარიო | 17 | 5 | 5 | 7 | 18:21 | 20 |
| არგ. ხუნიორსი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:25 | 20 |
| ჩაკარიტა | 17 | 3 | 8 | 6 | 19:22 | 17 |
| ბელგრანო | 17 | 5 | 2 | 10 | 15:22 | 17 |
| უნიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:27 | 17 |
| ტალერესი | 17 | 5 | 1 | 11 | 13:29 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 17 | 3 | 5 | 9 | 12:25 | 14 |

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

**მონარკას მორელია (მექსიკა) 1:2 ამერიკა (მექსიკა)**

1:0 კ. მორალესი (2), 1:1, 1:2 ნავია (71, 75)
მონარკას მორელია: ბულოუბასიჩი, ჩავესი (ო. როდრიგესი 55), დ. ფრანკო, ე. მორალესი, კ. მორალესი, ჯ. სანჩესი, ალმირონი, გლარია (ინიგესი 50), ნორიეგა (ალარკონი 60), ა. ფერნანდესი, ჩიტივა
ამერიკა: ა. რიოსი, პარდო, რ. როხასი, დავინო, სალინასი, კასტრო (როდრიგო ლარა 79), ვეგა, კასტილიო (მ. რიოსი 57; ორტისი 80), პატინო, ნავია, მენდოსა
გაძევება: ე. მორალესი (80), ნავია (80), მენდოსა (85), ფერნანდესი (85)
მსაჯი: ედუარდო ბრიზიო (მექსიკა)
45 000 მაყურებელი

## შვეიცარია

### II ეტაპი. A/B ჯგუფი
### XIV ტური

**აარაუ 2:1 ქსამაქსი**

1:0 დოლ და სილვა (22), 2:0 ჯილსონი (80), 2:1 შასო (86)
„აარაუში“ ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

**ვილი 2:2 ლუცერნი**

1:0 ნალდო (63), 1:1 მუფი (71), 2:1 მორდეკუ (76), 2:2 ნოგეირა (81)
„ლუცერნის“ განაცხადში გოჩა ჯამარაული ვერ მოხვდა

**ლოზანა 3:2 დელემონი**

0:1 დი ზუნზო (18), 1:1 ზამბაზი (67), 1:2 დი ზუნზო (71), 2:2 მარაცი (82), 3:2 ზამბაზი (84)

**თუნი 1:0 ვინტერთური**

1:0 გ. რამა (37)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 14 | 8 | 4 | 2 | 26:12 | 28 |
| ლოზანა | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 |
| ვილი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:13 | 23 |
| თუნი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:18 | 21 |
| არაუ | 14 | 6 | 3 | 5 | 20:20 | 21 |
| დელემონი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| ლუცერნი | 14 | 2 | 5 | 7 | 26:28 | 11 |
| ვინტერთური | 14 | 1 | 4 | 9 | 11:29 | 7 |

## შვედეთი

### VI ტური

**ჰელსინგბორგი 2:3 მალმიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანდსკრონა | 6 | 3 | 3 | 0 | 16:7 | 12 |
| იურგორდენი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| იორგრიტე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 |
| მალმიო | 6 | 3 | 0 | 3 | 12:8 | 9 |
| იორებრო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ელფსბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| გიოტებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ჰამარბი | 6 | 1 | 3 | 2 | 12:13 | 6 |
| სუნდსვალი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| აიკ | 6 | 1 | 3 | 2 | 9:12 | 6 |
| კალმარი | 6 | 1 | 3 | 2 | 2:7 | 6 |
| ჰალმსტადი | 6 | 0 | 5 | 1 | 5:6 | 5 |
| ნორჩიოპინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |

## ამხანაგური მატჩი

**ვენესუელა 0:0 კოლუმბია**

# კელიმ ხელი გაუწოდა



კელების ოჯახი

**ირლანდიის** ნაკრებისა და „ლიდსის“ მცველი გარი კელი ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. ეგ კი არა, მიკ მაკარტიმ ის იაპონია-კორეაში წასაყვანთა სიაში შეიყვანა და თუ ყველაფერი კარგად იქნა (კელისთვის, ცხადია), ამ მრავალტანჯულ კაცს გაისად თბილისშიც ვიხილავთ.

უბრალოდ, ბრიტანეთში [illegible] ერთად, ერთი გადასარევი ტრადიციაც აქვთ — ფეხბურთელს ბენეფისს მაშინ უწყობენ, როცა მას სჭირდება და არა მაშინ, ბუცების სამუდამოდ გახდას რომ დააპირებს.

გარი კელის „ტესტიმონიალი“ სამშაბათს შედგა, როცა „ელანდ როუდს“ 26 440 მაყურებელი და შოტლანდიური „სელტიკი“ ესტუმრნენ. სამი დღით ადრე „ოლდ ფირმ“ დერბიში დამარცხებული კათოლიკები თავიანთ ფანს (კელი „სელტიკის“ სეზონური აბონემენტის მფლობელია და შეძლებისდაგვარად თამაშს არ აცდენს) საქველმოქმედო საქმეში კი შეეწივნენ (შემოსული მილიონამდე დოლარი კელიმ კიბოსთან მებრძოლ ორგანიზაციებს გადაურიცხა), მაგრამ უშუალოდ მინდორზე არაფერი დაუთმეს და ინგლისური კლუბი 4:1 გაანადგურეს. სტუმართაგან გოლები ალან ტომპსონმა, ჰენრიკ ლარსონმა, ჯონ ჰარტსონმა და შონ მელოუნიმ გაიტანეს, იორკშირელთა ერთი საპასუხო კი ლი ბოიერის ანგარიშზეა.

ზემოთ კელიზე, მრავალტანჯულიო, ვთქვით. რატომ? უამრავ ტრავმას რომ თავი ვანებოთ, გარის 4 წლის წინ და მენდი გარდაეცვალა სწორედ მკერდის კიბოთი.

დას ვერ უშველა. სამაგიეროდ, სხვას უშველის.

**გიგა კობახიძე**




იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით


## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატი** მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი მომავალ სეზონში ზაგრების „დინამოს“ გაწვრთნის. ბლაჟევიჩი ახლა „ოსიეკს“ უდგას სათავეში, თუმც „დინამოში“ გადასვლაზე თანხმობა უკვე განაცხადა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ის ერთხელ უკვე წვრთნიდა „დინამოს“ და 1982 წელს მაშინდელი იუგოსლავიის ჩემპიონობაც მოაპოვებინა.

**არაბეთის** გაერთიანებულ საამიროთა კლუბმა „ალ ნასრიმ“ მწვრთნელად არგენტინელი მარიო კემპესი მიიწვია. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი ამჟამად ესპანეთის მესამედივიზიონელ „სან ფერნანდოს“ წვრთნის. შეთანხმება უკვე მიღწეულია და კემპესი არაბეთში მალე გადაბარგდება.

**ესპანეთის** პოლიციამ მადრიდის „რეალის“ ოთხი ფანი დააკავა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონასთან“ მატჩის შემდეგ მომხდარ არეულობაში იმხილებოდნენ. ისინი ექსტრემისტ გულშემატკივართა ჯგუფ „ულტრა-სურის“ წევრები აღმოჩნდნენ. ასევე დაპატიმრებულნი არიან ამ ჯგუფის ერთ-ერთი მმართველი ალვარო კადენას როდრიგესი და ნეონაციონალურ ჯგუფ „ხუვენტუდეს კანილეხასის“ მესვეური ალბერტო აიალა კანტალისიანი.

**ეკვადორის** ნაკრები აშშ-ს ეწვია, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს — იუგოსლავიის ნაკრებთან (გუშინ გაიმართა) და იტალიურ „მილანთან“. 12 მაისს კი ეკვადორელები მადრიდს ესტუმრებიან და იქაურ „ატლეტიკოს“ გაეჯიბრებიან. ხუთიოდ დღეში ერნან დარიო გომესის შეგირდები იაპონიას მიაშურებენ და იქვე გააგრძელებენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას — 23 მაისს სენეგალს შეხვდებიან, 26-ში კი კლუბ „კიოტო ფარფლს“.

**ეგვიპტური** ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სალეჰ სელიმი 72 წლისა ლონდონის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სელიმი 17 წლის ასაკში გახდა „ალ აჰლის“ კაპიტანი და ამ კლუბში თამაშით გაითქვა სახელი. ის ეგვიპტის ეროვნულ გმირადაც შერაცხეს. ბოლოს იგი „ალ აჰლის“ პრეზიდენტი იყო.

**უკრაინული** „დინამოს“ ორი ფეხბურთელი — ალექსანდრ ხაცკევიჩი და ვიტალი ლისიცკი ქვეყნის პირველ ლიგაში „ჩერნომორეცსა“ და „დინამო 2“-ის შეხვედრისას მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისათვის 6-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. საქმე „დინამო 2“-ის კარში ბოლო წუთზე დანიშნულ თერთმეტმეტრიანს ეხება, რომელიც ორივე ნახევარმცველმა ზედმეტად ემოციურად გააპროტესტა.

**ინგლისური** „ლივერპულის“ გერმანელი მცველი მარკუს ბაბელი მალე შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ მას ნერვული დაავადება აქვს და უკვე კარგა ხანია, მკურნალობს. გერმანული სააგენტოების ცნობით, ბაბელი თომას ჰელმერის გამოსათხოვარ მატჩში ითამაშებს.

**იტალიის** პოლიციამ „ლაციოს“ ჩეხ ნახევარმცველ კარელ პობორსკის მართვის მოწმობა ჩამოართვა და მანქანასაც კონფისკაცია გაუკეთა. პობორსკის ცოლ-შვილი პრაღაში მიჰყავდა, თუმც ავსტრიის საზღვართან მებაჟეებმა დააკავეს. საქმე ისაა, რომ ჩეხ ფეხბურთელს ჩეხური მართვის მოწმობა იტალიურით არ შეუცვლია, რაც კანონის დარღვევად ითვლება. პობორსკის მანქანა იქვე დაატოვებინეს და ისიც ოჯახთან ერთად თვითმფრინავით გაფრინდა პრაღაში.

**დანიელ** მიქაელ ლაუდრუპს ესპანური „დეპორტივოს“ თავკაცობას უწინასწარმეტყველებენ. ლაკორუნიელებს ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, თუმც 36 წლის ლაუდრუპს ხავიერ ირურეტას ერთ-ერთ რეალურ შემცვლელად მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ ლაუდრუპი ფეხბურთელობისას „ბარსელონასა“ და „რეალში“ თამაშობდა და უამრავი ტიტულიც მოუპოვებია. თავად ლაუდრუპს „დეპორტივოში“ შესაძლო მისვლაზე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმც აღნიშნა, რომ ესპანურ, ინგლისურ ან დანიურ კლუბებში სიამოვნებით ვიმუშავებო.

**იტალიის** ჩემპიონობით გახარებულმა „იუვენტუსმა“ ერთობ სამწუხარო ამბავი შეიტყო. 79 წლისა გარდაიცვალა ამ კლუბის ყოფილი მწვრთნელი ჩესტო ვიჩპალეკი. წარმოშობით ჩეხი ვიჩპალეკი „იუვენტუსთან“ ერთად 1972 წელს გახდა სკუდეტოს მფლობელი. ის „სალერნიტანას“ მწვრთნელ ზდენეკ ზემანის ბიძა გახლდათ.

**ფრანგული** „ლილის“ ნახევარმცველი ბრუნო შეირუ კლუბს ტოვებს და „ლივერპულში“ გადასვლას აპირებს. მისით ინგლისელთა ფრანგი თავკაცი ჟერარ ულიე დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ შეირუ საფრანგეთის ნაკრების კანდიდატია და დიდი შანსია, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ვალენსიას“ არგენტინელ მცველ რობერტო ფაბიან აიალას დაადგა თვალი, ეს ინფორმაცია ინგლისურმა „ტელეგრაფმა“ გაავრცელა ფეხბურთის აგენტ გუსტავო მასკარდის განცხადების საფუძველზე. აგენტის თქმით, „მანჩესტერი“ მარჯვენა ნახევარმცველსა და ცენტრალურ მცველს ეძებს, რობერტო აიალა კი უკვე ინგლისელებს შესაძენთა სიაში ჰყავთ შეყვანილი.

**კამერუნის** ფეხბურთის ფედერაცია და ფიფა კამერუნის ნაკრების ფორმების თაობაზე შეთანხმდნენ. საქმე ისაა, რომ კამერუნელთა მაისურა უსახელოა, ფიფას ლოგო კი სწორედ მასზე უნდა განთავსდეს. შეთანხმების მიხედვით, კამერუნელებს სახელოებს გამჭვირვალე ქსოვილისგან შეუკერავენ, სადაც განთავსდება კიდეც ფიფას ლოგო.





თერიმმა შეცვალა ლუჩესკუ, ლუჩესკუ შეცვლის დაუმს?



ვერნერ ლორანტი: ღმერთო, ჩამომიგდე ბატისტუტა

# მაღაზია ღიაა

## დახლებთან წრიული მოძრაობა შეინიშნება

## გაბრიელ, შენ აქ რა გინდა?!

*თურქეთის ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ დიდი ვაჭრობა უკვე დაიწყო.*

*მთავარი ამბავი ფათიჰ თერიმის „გალათასარაიში" დაბრუნებაა. ცხადია, თერიმი რომ დაბრუნდა, მირჩა ლუჩესკუ უნდა წასულიყო. ლუჩესკუც წავიდა, ოღონდ შორს არა, იქვე „ბეშიქთაშთან" ტრიალებს. „ბეშიქთაშიდან" კი კრისტოფ დაუმი გაუშვეს, რომელიც საქვეყნოდ ცნობილ სასამართლო პროცესს ესწრებოდა*

**გეახსომებათ,** ეს სკანდალი 2000-ში დაიწყო. კრისტოფ დაუმი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს. მაშინ იგი ლევერკუზენის „ბაიერს" თავკაცობდა და უახლოეს მომავალში ბუნდესნაკრების მწვრთნელობასაც უპირებდნენ. სწორედ მისთვის იმ ბედნიერ დროს „გასკდა" თეთრი ფხვნილის საქმე და ბრალდებულმა კოკაინის 63-ჯერ ყნოსვა აღიარა. დაუმს ხუთწლიანი პატიმრობა დაემუქრა. მერე საქმე წარმოებაში გაუშვეს, დაუმმა კი ძველ ნაცნობ „ბეშიქთაშს" მიაშურა. სტამბოლში ძველი დიდების გზა ვეღარ გაიარა და გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში ვერ დაეხმარა. თურქული კლუბის მამებმა გერმანელ სპეციალისტს კარისკენ მიუთითეს. იქიდან წასული კრისტოფ დაუმი გერმანიაში თავის სასამართლო პროცესს დაესწრო და სასიხარულო ამბავიც შეიტყო — 10 ათასი ევროს სანაცვლოდ, რომელიც სოციალურ პროგრამებს მოხმარდება, მას ყველა ბრალდება მოუხსნეს.

ეს საქმე შეწყდა, ისევე როგორც დაუმის მოღვაწეობა სტამბოლის „ბეშიქთაშში". კლუბის ბოსებს ახალი მწვრთნელის რამდენიმე კანდიდატურა შეურჩევიათ. მათ შორის მოიხსენიებენ ფრანკ რაიკარდს, გრემ ტეილორს, ჯორჯ გრემს, ჟან ტიგანას და იქვე, უმუშევრად დარჩენილ მირჩა ლუჩესკუს.

რუმინელმა „გალათასარაისთან" განშორებისას თურმე სულ ლაპალუპით ღვარა ცრემლი. აქაურობა ისე შემიყვარდა, სტამბოლის გარეშე ცხოვრება არ შემიძლიაო. ჰოდა, თუ ეგრეაო, უთხრეს ბეშიქთაშელებმა (უბანია სტამბოლში), დავსხდეთ მაგიდასთან და ვიჭუკჭუკოთო. დასხდნენ, ისაუბრეს. ლუჩესკუმ ეგრევე ოთხი ახალი ფეხბურთელი და წელიწადში მილიონ ნახევარი დოლარი მოითხოვა, რაც არ უნდა იყოს, ჩემპიონის მწვრთნელი ვარო. „ბეშიქთაშის" ბოსთა ბანაკი ორად გაიყო. ნაწილმა თქვა, უკეთეს სპეციალისტს სადღა ვნახავთ, აქაურობასაც იცნობს, კონტრაქტი გავუფორმოთო, მეორე ნაწილმა იუარა, კლუბს მხოლოდ 800 ათასი დოლარის გადახდა შეუძლიაო. რუმინელმა ვაჭრობა სცადა, მილიონ ორასი ათასი და მოვრიგდეთო, მაგრამ „ბეშიქთაშის" პრეზიდენტმა სერდარ ბილგილმა ლონდონისკენ აიღო გეზი. ინგლისში მას გრემ ტეილორთან და ჯორჯ გრემთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი, თან ჟან ტიგანას, ფრანკ რაიკარდთან ერთად ლონდონში მოსალაპარაკებლად ეპატიჟება. სერდარ ბილგილმა ლუჩესკუს მოფიქრებისთვის დრო მისცა.

იმ ოთხი ფეხბურთელიდან, რუმინელმა სპეციალისტმა რომ მოითხოვა, ერთი ძველი ბეშიქთაშელი პასკალ ნუმაა. იგი შარშან კრისტოფ დაუმმა მოიშულა ვარჯიშებზე მობილური ტელეფონზე ლაქლაქისთვის. არადა, ნუმა კლუბის გულშემატკივართა კერპი იყო. მერე იგი მარსელის „ოლიმპიკში" გაანათხოვრეს, ახლა კი უკან დაბრუნებას უპირებენ. დანარჩენი სამი გალათასარაელია: სერგენ იალჩინი, სებასტიან პერესი და ანდრეს ფლურკინი. გუნდის უფროსობა ტრანსფერების გაჩარხვას არ ჩქარობს, სანამ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა გაცხადდება. სერდარ ბილგილი საქმეს სერიოზულად მიუდგა, რადგან წლეულს „ბეშიქთაში" ასწლოვან იუბილეს იზეიმებს, რასაც ღირსეულად უნდა შეხვდნენ, მოკლედ, მირჩა ლუჩესკუს სტამბოლში დარჩენა მხოლოდ ფულზეა დამოკიდებული.

რუმინელისგან განსხვავებით, „გალათასარაიში" დაბრუნებულ, „იმპერატორად" წოდებულ ფათიჰ თერიმს კლუბის მეპატრონეებმა ყველაფერზე თავი დაუქნიეს. თერიმმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, წელიწადში ორ მილიონ დოლარს მიიღებს. მთლიანი თანხიდან ერთი მილიონი ხელმოწერიდან რამდენიმე წუთში ჩაურიცხეს ანგარიშზე, დანარჩენს კი ნაწილნაწილ მიიღებს. გარდა ამისა, ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლისთვის მისთვის არც პრემია დაიშურებენ.

ახალ კურთხეულ „იმპერატორს" კარგი მადა აღმოაჩნდა. მან ბოსებს ფურცელი დაუდო, რომელზეც იმ ფეხბურთელთა გვარ-სახელებია, თერიმს რომ სურს. რამდენად გასწვდება „გალას" ჯიბე მათი ყიდვას, ძნელი სათქმელია. თერიმს „მილანში" რომ გაჰყვა დავალა უმითი, ახლა უკვე სტამბოლშია. იგი ერთი წლით იქირავეს. ფენერბაჰჩელმა ლაზმა, ქერამიანმა აბდულამ „გალათასარაის" შეთავაზება რომ შეიტყო, ისიც იქ დაერჭო. დანარჩენები კი ესენი არიან: დანიელე ადანი „ფიორენტინადან", სერჟინიო და ამბროზინი „მილანიდან", ფრანკ დე ბური „ბარსელონადან". ხოლო მეგოლეებად ნუნუ გომეში და „ადამიანი კვერცხი" კარსტენ იანკერი შეუგულებია.

„1974 წლიდან „გალათასარაიში" ვარ. ამ ხნის მანძილზე 11 წელი ფეხბურთს ვთამაშობდი, 4 კი მწვრთნელობას შევალიე. „გალას" ვგრძნობ თხემით ტერფამდის. გუნდს, რომლის შექმნასაც ამიერიდან ვაპირებ, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მოვმართავ. საამისოდ ყველანაირი წინაპირობა არსებობს" — თქვა ფათიჰ თერიმმა.

ამასობაში გულხელდაკრეფილი არც მოსისხლე „ფენერბაჰჩეა". ჩემპიონთა ლიგაში შერცხვენილი და ჩემპიონატში ხელმოცარული გუნდის პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი უსაქმოდ არ გაჩერებულა. მოკრიფა თავისი მხლებლები, მწვრთნელი ვერნერ ლორანტი და სამხრეთ ამერიკისკენ გაუტია, თან სიტყვა დატოვა, ისეთი ბიჭები უნდა წამოვიყვანო, თურქებს გავაოცებო.

ლაპარაკი იყო არიელ ორტეგაზე და ბრაზილიელ ვაშინგტონზე. პირველის ჩამოფენერბაჰჩება არ მოხერხდა, სამაგიეროდ, ტეტრაკამპეონების ფორვარდთან წინასწარი ხელშეკრულება გააფორმეს. ვაშინგტონს დღე-დღეზე სტამბოლში ელიან. მას ბოლო სამ სეზონში ჩატარებული 74 მატჩში 48 გოლი გაუტანია და ლორანტსაც ამის ეიმედება.

გერმანელმა სპეციალისტმა თურქულ პრესასთან საუბარში თქვა: „ვაშინგტონი გადმოვიყვანეთ, მაგრამ ეგ არაფერია. მსოფლიო დონის ისეთ ვარსკვლავს ვეთამაშებით, თუ ეს საქმე გაიჩარხა, მთელი თურქეთი ფეხზე დადგება. მესმის გულშემატკივართა მოუთმენლობა, თუმც ცოტაც გვაცალეთ და ყველაფერს გაიგებთ".

ვის გულისხმობს ვერნერ ლორანტი, მხოლოდ მან იცის, მაგრამ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიიდან უკანდაბრუნებული მსტოვრებიდან ერთ-ერთი რომში დარჩენილა. ეს გახლავთ „ფენერბაჰჩეს" სატრანსფერო საქმეების მომკვარახჭინებელი სადეტინ სარანი. სარანმა „რომას" ბოსებს სიტყვა გაბრიელ ომარ ბატისტუტაზე ჩამოუგდო, რაკილა ორტეგა პირველი ცდით ვერ დაითანხმა. იტალიურმა მხარემ ასე ბრძანა: „თურქების გარდა ბატისტუტას თაობაზე კიდევ რამდენიმე კლუბმა მოგვმართა. თუ მათი წინადადება სხვებზე რეალური გამოდგება, ჩვენ დავთანხმდებით, დანარჩენი კი ბატისტუტაზე იქნება დამოკიდებული".

გაბრიელ ომარისგან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის.

**მაშა ხუციშვილი**

# გული, სანამ გული გქვია...

## ვალერი ლობანოვსკის ინფარქტი გაუშინაურდა



**სამშაბათს** ზაპოროჟიას „მეტალურგისა" და კიევის „დინამოს" (1:3) მატჩის შემდეგ დედაქალაქელთა 63 წლის მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის გულის შეტევა მოუვიდა და საინფარქტო ბლოკში ჰიპერტონიული დიაგნოზით დააწვინეს.

საავადმყოფოს მთავარი ექიმის, ვლადიმირ ბურლაის განცხადებით, გუშინ შუადღისთვის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილური იყო. ახლა მას კონსერვატული თერაპიის სრულ კურსს უტარებენ და იმედოვნებენ, რომ პაციენტი რამდენიმე დღეში უკეთესობას იგრძნობს. კლუბის ვიცე-პრეზიდენტები იგორ სურკისი და იოჟეფ საბო კი თურმე მთავარ მწვრთნელს გვერდიდან არ შორდებიან.

შეგახსენებთ, რომ გულის შეტევები ლობანოვსკის ადრეც მოსვლია. ასე იყო 2000 წლის ოქტომბერში და შარშანაც.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ბარსელონას რად ჩამორჩიო



ვიქტორ ფერნანდესი

**„ჯერჯერობით** „ბეტისის" მწვრთნელი ვარ, სამომავლო გეგმებზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია და სეზონის დასრულებამდე არც მივიღებ" — განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს „რეალ ბეტისის" მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა. სეზონის დასრულებამდე რაღა დარჩა, ესპანური პრესის ცნობით კი, რამოსი „სელტას" მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატურაა. ხოლო ეს ცნობა ვიგოელთა ახლანდელი თავკაცის ვიქტორ ფერნანდესის წასვლასაც ნიშნავს.

მოგეხსენებათ, „სელტა" ვერც წლეულს აზრხებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას (საამისოდ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში თავად უნდა მოიგოს, „ბარსელონა" კი უკვე გავარდნილ „სარაგოსასთან" დამარცხდეს, რაც ძნელი წარმოსადგენია). სეზონის ამგვარმა დასასრულმა დღის წესრიგში კლუბიდან ვიქტორ ფერნანდესის წასვლის საკითხი დააყენა. გალისიური კლუბიდან გამოსული ინფორმაციით, ეს ამბავი მომავალი კვირისთვის გაირკვევა. წყალშეყენებული ფერნანდესის პრესკონფერენცია ამ დღეებშია დაგეგმილი.

მწვრთნელის პოსტზე რამოსის გარდა, „ლას პალმასის" თავკაცი ფერნანდო ვასკესის, ოსასუნელი მიგელ ანხელ ლოტინას და მერედივიზიონელი „ხერესის" გერმანელი მწვრთნელის ბერნდ შუსტერის კანდიდატურებს ასახელებენ.

**ზურაბ რუზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ინგლისი. 1-ლი დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 035 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |

ინგლისი. მე-2 დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 036 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |

ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური

10 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 047 | დეპორტივო-რეალი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 048 | სარაგოსა-ბარსელონა | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2 | 1,2 | 1,05 |
| 24.00 | 049 | სევილია-ვილარეალი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 24.00 | 050 | რაიო-სელტა | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 24.00 | 051 | ოსასუნა-ალავესი | 2,4 | 3,0 | 2,4 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 24.00 | 052 | ტენერიფე-ბილბაო | 1,7 | 3,4 | 3,4 | 1,1 | 1,1 | 1,7 |
| 24.00 | 053 | სოსიედადი-ლას პალმასი | 2,0 | 3,4 | 2,4 | 1,25 | 1,05 | 1,4 |
| 24.00 | 054 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 5,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 24.00 | 055 | ვალენსია-ბეტისი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 24.00 | 056 | ესპანიოლი-მალაგა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXX ტური

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 057 | სპორტინგი-ლევანტე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 21.30 | 058 | კორდობა-ხაენი | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 21.30 | 059 | ხიმნასტიკი-სერესი | 2,5 | 2,9 | 1,8 | 1,3 | 1 | 1,1 |
| 24.00 | 060 | ატლეტიკო-ესტრემადურა | 1,6 | 3,1 | 3,4 | 1,05 | 1,05 | 1,6 |

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 061 | ალბასეტე-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 21.00 | 062 | ელჩე-ბურგოსი | 1,85 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 22.00 | 063 | უელვა-სალამანკა | 1,4 | 3,1 | 5,3 | 1 | 1,1 | 1,95 |
| 22.00 | 064 | ნუმანსია-ფეროლი | 1,9 | 2,0 | 3,6 | 1 | 1,2 | 1,25 |
| 22.00 | 065 | პოლი ეხიდო-ოვიედო | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 |
| 23.00 | 066 | ბადახოსი-ლეგანესი | 2,0 | 2,0 | 3,4 | 1 | 1,25 | 1,25 |
| 23.00 | 067 | მურსია-რასინგი | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 |

ჩეხეთი. XXX ტური

10 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 083 | ჰ. კრალოვე-ბლშანი | 2,0 | 4,0 | 1,3 | 1,3 | 1 | 1 |
| 19.30 | 084 | სინოტი-სპარტა | 5,0 | 4,0 | 1,4 | 2,2 | 1,05 | 1 |
| 19.30 | 085 | ბოჰემიანსი-ლიბერეცი | 4,0 | 4,0 | 1,35 | 2 | 1 | 1 |
| 19.30 | 086 | ბრნო-ოპავა | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.30 | 087 | ტეპლიცე-პრჟიბრამი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 19.30 | 088 | ბანიკი-სიგმა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 19.30 | 089 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,95 | 3,4 | 2,1 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 19.30 | 090 | იაბლონეცი-დრნოვიცე | 1,5 | 4,0 | 1,8 | 1,05 | 1 | 1,2 |

შოტლანდია. პრემიერლიგა

XXXVIII ტური

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 091 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,2 | 1,15 | 1,05 |
| 19.00 | 092 | აბერდინი-სელტიკი | 3,6 | 3,4 | 1,75 | 1,7 | 1,15 | 1,15 |
| 19.00 | 093 | ჰარტსი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 094 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 19.00 | 095 | მაზერველი-დანდი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 096 | სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |

ავსტრია. XXXVI ტური

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 097 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,2 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 19.30 | 098 | გრაცერი-ადმირა | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.30 | 099 | რაპიდი-შტურმი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 19.30 | 100 | რიდი-ავსტრია | 3,0 | 2,5 | 2,0 | 1,35 | 1,2 | 1,1 |
| 19.30 | 101 | ტიროლი-კერნტენი | 1,5 | 3,8 | 4,2 | 1,05 | 1,1 | 1,95 |

ნორვეგია. VI ტური

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 145 | ბრანი-სტაბეკი | 2,2 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 21.00 | 146 | ლილესტრიომი-მოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 23.00 | 147 | როზენბორგი-მოლდე | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |

გერმანია. თასი. ფინალი (ბერლინში).

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 167 | ლევერკუზენი-შალკე | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |

საფრანგეთი. თასი. ფინალი (პარიზში).

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 168 | ბასტია-ლორიანი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |

იტალია. თასი. ფინალი. II წრე.

10 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 169 | პარმა-იუვენტუსი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |

პორტუგალია. თასი. ფინალი

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 170 | სპორტინგი-ლეიშოეში | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |

ჰოლანდია. თასი. ფინალი (როტერდამში).

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 171 | უტრეხტი-აიაქსი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,9 | 1,2 | 1,1 |

ბელგია. თასი. ფინალი (ბრიუსელში).

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 172 | ბრიუგე-მუსკრონი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |

ავსტრია. თასი. ფინალი (გრაცში).

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.25 | 176 | შტურმი-გრაცერი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |

შვეიცარია. თასი. ფინალი (ბაზელში).

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 177 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |

დანია. თასი. ფინალი (კოპენჰაგენში).

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 178 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

რუსეთი. თასი. ფინალი (მოსკოვში).

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 179 | ცსკა-ზენიტი | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |

ლიბერტადორესის თასი

მეოთხედფინალი. I წრე.

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10 | 405 | პენიაროლი-სან კაეტანო | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |

ამხანაგური მატჩები

9 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 410 | ესტონეთი-მაკედონია | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.30 | 411 | გერმანია-კუვეიტი | 1,02 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,3 |
| 06.00 | 412 | კოსტა რიკა-კოლუმბია | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |

11 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 413 | ჩინეთი-ნიგერია | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 17.00 | 414 | სენეგალი-გვინეა | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

12 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 415 | ს.აფრიკა-მადაგასკარი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 20.00 | 416 | საბერძნეთი-რუმინეთი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 417 | აშშ-ურუგვაი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 06.00 | 418 | მექსიკა-კოლუმბია | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |

შემდეგ ეტაპზე გასვლა

თასი აღება.

9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.00 | 805 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,3 | 2,8 |
| 19.00 | 806 | ბრიუგე-მუსკრონი | 1,35 | 2,5 |

11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.30 | 807 | ბრენტფორდი-სტოკი | 1,7 | 1,7 |
| 22.45 | 808 | ლევერკუზენი-შალკე | 1,5 | 2,0 |
| 23.45 | 809 | ბასტია-ლორიანი | 1,45 | 2,1 |

12 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.00 | 810 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1,5 | 2,0 |
| 19.30 | 811 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2,0 | 1,5 |
| 20.25 | 812 | შტურმი-გრაცერი | 1,6 | 1,8 |
| 21.00 | 813 | უტრეხტი-აიაქსი | 3,5 | 1,15 |


## ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო თბილისი, ხუდადოვის ქ. №4

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. 2001-02. XXXVIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.05.02 | 24.00 | 047 | 3:0ბეტისი; მალაგა2:2; 0:1ვალენსია **დეპორტივო** V **რეალი** მალიორკა0:0; 0:3სოსიედადი; ტენერიფე4:1 | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 | 1:3 | 0:3 2:2 | 1:1 5:2 | 4:0 1:3 |
| 11.05.02 | 24.00 | 048 | 1:2ვილიარეალი; სელტა0:1; 1:2ალავესი **სარაგოსა** V **ბარსელონა** ესპანიოლი2:0; ვილიარეალი4:1; 1:2სელტა | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2 | 1,2 | 1,05 | 0:2 | 3:1 4:4 | 0:2 0:0 | 1:3 2:0 |
| 11.05.02 | 24.00 | 049 | 2:1სელტა; ალავესი2:0; 1:0ბილბაო **სევილია** V **ვილიარეალი** სარაგოსა2:1; 1:4ბარსელონა; 1:3ესპანიოლი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 | 2:0 | - | - | - |
| 11.05.02 | 24.00 | 050 | 1:0ალავესი; ბილბაო4:2; 2:0ლას პალმასი **რაიო** V **სელტა** სევილია1:2; 1:0სარაგოსა; ბარსელონა2:1 | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 | 2:2 | 3:0 1:1 | 1:1 1:0 | |
| 11.05.02 | 24.00 | 051 | 1:1ბილბაო; ლას პალმასი3:2; 0:1ვალიადოლიდი **ოსასუნა** V **ალავესი** რაიო0:1; 0:2სევილია; სარაგოსა2:1 | 2,4 | 3,0 | 2,4 | 1,3 | 1,2 | 1,3 | 2:0 | 0:2 0:1 | | |
| 11.05.02 | 24.00 | 052 | 1:0ლას პალმასი; ვალიადოლიდი1:5; 1:4რეალი **ტენერიფე** V **ბილბაო** ოსასუნა1:1; 2:4რაიო; სევილია0:1 | 1,7 | 3,4 | 3,4 | 1,1 | 1,1 | 1,7 | 2:1 | - | - | 0:1 0:2 |
| 11.05.02 | 24.00 | 053 | 3:1ვალიადოლიდი; რეალი3:0; 0:3ბეტისი **სოსიედადი** V **ლას პალმასი** ტენერიფე0:1; 2:3ოსასუნა; რაიო0:2 | 2,0 | 3,4 | 2,4 | 1,25 | 1,05 | 1,4 | 0:0 | 1:1 1:2 | - | - |
| 11.05.02 | 24.00 | 054 | 0:0რეალი; ბეტისი1:3; 0:0მალაგა **მალიორკა** V **ვალიადოლიდი** სოსიედადი1:3; 5:1ტენერიფე; ოსასუნა1:0 | 1,3 | 4,0 | 5,0 | 1 | 1 | 2,2 | 1:2 | 1:1 0:2 | 0:0 1:2 | 0:1 1:0 |
| 11.05.02 | 24.00 | 055 | 2:0მალაგა; ესპანიოლი2:1; დეპორტივო1:0 **ვალენსია** V **ბეტისი** დეპორტივო0:3; 3:1მალიორკა; სოსიედადი3:0 | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 | 3:1 | - | 0:1 3:1 | 5:1 1:0 |
| 11.05.02 | 24.00 | 056 | 0:2ბარსელონა; 1:2ვალენსია; ვილიარეალი3:1 **ესპანიოლი** V **მალაგა** ვალენსია0:2; 2:2დეპორტივო; მალიორკა0:0 | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 | 0:2 | 0:0 1:2 | 0:1 0:2 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია ვალენსია (5) | | 1:0 | 1:0 | 2:0 | 0:0 | : | 0:0 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 4:0 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 37 | 20 | 12 | 5 | 49:27 | 72 | 13 | 4 | 1 | 26:8 | 43 | 7 | 8 | 4 | 23:19 | 29 |
| 2 | რეალი მადრიდი (1) | 1:0 | | 3:1 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:2 | 5:1 | 3:1 | 3:1 | 3:0 | 2:1 | 0:0 | 7:0 | 4:1 | 3:1 | 37 | 19 | 9 | 9 | 69:41 | 66 | 14 | 5 | 0 | 48:14 | 47 | 5 | 4 | 9 | 21:27 | 19 |
| 3 | დეპორტივო ლა კორუნია (2) | 1:0 | : | | 2:1 | 2:2 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 1:2 | 4:0 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 5:1 | 5:0 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 37 | 19 | 8 | 10 | 62:41 | 65 | 12 | 4 | 2 | 37:13 | 40 | 7 | 4 | 8 | 25:28 | 25 |
| 4 | ბარსელონა ბარსელონა (4) | 2:2 | 1:1 | 3:2 | | 2:2 | 3:0 | 3:2 | 3:1 | 5:1 | 1:2 | 4:0 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 4:1 | 0:1 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 37 | 18 | 9 | 10 | 64:36 | 63 | 12 | 5 | 2 | 44:17 | 41 | 6 | 4 | 8 | 20:19 | 22 |
| 5 | სელტა ვიგო (6) | 1:1 | 0:1 | 0:2 | 2:1 | | 3:1 | 3:1 | 1:2 | 0:0 | 2:3 | 1:1 | 4:1 | 3:1 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 3:2 | 3:0 | 2:0 | 37 | 16 | 12 | 9 | 64:45 | 60 | 10 | 5 | 4 | 36:21 | 35 | 6 | 7 | 5 | 28:24 | 25 |
| 6 | ბეტისი სევილია (დ) | 1:3 | 3:1 | 0:3 | 2:1 | 4:1 | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 37 | 15 | 14 | 8 | 42:32 | 59 | 11 | 5 | 3 | 26:13 | 38 | 4 | 9 | 5 | 16:19 | 21 |
| 7 | ალავესი ვიტორია (10) | 1:2 | 0:0 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 0:1 | | 0:1 | 1:0 | 2:3 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 2:1 | 0:2 | 0:4 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 37 | 16 | 3 | 18 | 40:44 | 51 | 10 | 1 | 8 | 22:21 | 31 | 6 | 2 | 10 | 18:23 | 20 |
| 8 | სევილია სევილია (დ) | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 2:0 | | 0:2 | 3:3 | 4:0 | 3:0 | 0:1 | 2:1 | : | 0:0 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 4:2 | 37 | 13 | 11 | 13 | 50:40 | 50 | 6 | 6 | 6 | 25:18 | 24 | 7 | 5 | 7 | 25:22 | 26 |
| 9 | მალაგა მალაგა (8) | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 3:2 | 1:0 | 1:3 | | 1:2 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 37 | 12 | 14 | 11 | 42:43 | 50 | 8 | 7 | 4 | 24:20 | 31 | 4 | 7 | 7 | 18:23 | 19 |
| 10 | ბილბაო ბილბაო (14) | 2:2 | 2:1 | 1:1 | 0:2 | 1:6 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 3:2 | | 1:4 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:2 | 2:1 | 37 | 13 | 11 | 13 | 51:64 | 50 | 6 | 7 | 6 | 23:29 | 25 | 7 | 4 | 7 | 28:35 | 25 |
| 11 | ვალიადოლიდი ვალიადოლიდი (16) | 1:1 | 2:1 | 3:0 | 1:2 | 2:4 | 0:2 | 1:3 | 1:1 | 0:0 | 2:0 | | 0:1 | 1:3 | 3:1 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 37 | 13 | 9 | 15 | 44:56 | 48 | 9 | 4 | 6 | 24:20 | 31 | 4 | 5 | 9 | 20:36 | 17 |
| 12 | ესპანიოლი ბარსელონა (9) | 2:3 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:2 | 2:3 | : | 2:0 | 1:0 | | 1:2 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 2:1 | 3:1 | 2:0 | 2:1 | 37 | 13 | 8 | 16 | 46:54 | 47 | 12 | 2 | 4 | 33:18 | 38 | 1 | 6 | 12 | 13:36 | 9 |
| 13 | სოსიედადი სან სებასტიანი (13) | 2:0 | 3:0 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 0:0 | 1:2 | 3:3 | 2:1 | 1:3 | 6:0 | 1:0 | | 2:2 | 2:1 | 2:1 | 1:2 | : | 0:2 | 3:1 | 37 | 13 | 7 | 17 | 47:53 | 46 | 8 | 5 | 5 | 30:21 | 29 | 5 | 2 | 12 | 17:32 | 17 |
| 14 | რაიო მადრიდი (12) | 2:1 | 0:3 | 2:1 | 2:1 | : | 0:0 | : 2:0 | 2:1 | 3:0 | 4:2 | 1:0 | 2:2 | 2:1 | | 1:2 | 0:1 | 0:2 | 0:0 | 2:0 | 1:2 | 37 | 12 | 10 | 15 | 45:52 | 46 | 10 | 3 | 5 | 26:19 | 33 | 2 | 7 | 10 | 19:33 | 13 |
| 15 | ვილიარეალი ვილიარეალი (7) | 1:1 | 2:3 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 5:2 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | | 3:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 37 | 11 | 10 | 16 | 46:54 | 43 | 9 | 6 | 4 | 30:21 | 33 | 2 | 4 | 12 | 16:33 | 10 |
| 16 | ოსასუნა პამპლონა (17) | 0:0 | 3:1 | 1:3 | 0:0 | 0:3 | 1:2 | : | 1:0 | 0:2 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:2 | | 4:0 | 3:2 | 0:2 | 0:0 | 37 | 10 | 12 | 15 | 36:48 | 42 | 6 | 6 | 6 | 19:20 | 24 | 4 | 6 | 9 | 17:28 | 18 |
| 17 | მალიორკა პალმა (3) | 1:1 | 1:1 | 4:1 | 0:0 | 0:1 | 1:3 | 0:0 | 0:4 | 1:1 | 3:0 | : | 2:1 | 0:2 | 3:0 | 0:1 | 4:2 | | 0:3 | 2:0 | 0:1 | 37 | 10 | 10 | 17 | 38:51 | 40 | 6 | 5 | 7 | 22:22 | 23 | 4 | 5 | 10 | 16:29 | 17 |
| 18 | ლას პალმასი ლას პალმასი (11) | 0:1 | 4:2 | 0:1 | 0:0 | 4:2 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 0:2 | 3:2 | 1:1 | 3:1 | | 0:1 | 1:1 | 37 | 9 | 12 | 16 | 39:49 | 39 | 7 | 8 | 4 | 23:17 | 29 | 2 | 4 | 12 | 16:32 | 10 |
| 19 | ტენერიფე ტენერიფე (დ) | 0:1 | 0:2 | 3:1 | 0:6 | 1:1 | 2:1 | 0:2 | 1:1 | 1:0 | : | 1:5 | 1:1 | 0:1 | 3:1 | 2:0 | 3:1 | 0:0 | 1:3 | | 0:0 | 37 | 10 | 8 | 19 | 30:55 | 38 | 6 | 5 | 7 | 19:27 | 23 | 4 | 3 | 12 | 11:28 | 15 |
| 20 | სარაგოსა სარაგოსა (15) | 0:1 | 2:1 | 1:2 | : | 0:1 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 | 2:2 | 0:0 | 0:0 | 3:2 | 3:2 | 3:2 | 0:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | | 37 | 9 | 9 | 19 | 34:53 | 36 | 6 | 6 | 6 | 20:22 | 24 | 3 | 3 | 13 | 14:31 | 12 |

## ესპანეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. XXXX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11.05.02 | 21.30 | 057 | 2:0ლეგანესი; ფეროლი5:3; 0:2ეიბარი **სპორტინგი** V **ლევანტე** უელვა0:1; 1:0სალამანკა; 1:0ხერესი | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 | 3:4 | 1:1 1:2 | 4:0 2:0 | - |
| 11.05.02 | 21.30 | 058 | 1:0ბურგოსი; რასინგი0:4; 2:3ესტრემადურა **კორდობა** V **ხაენი** ალბასეტე1:0; 0:1ნუმანსია; ბადახოსი0:1 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 | 2:1 | 1:0 0:0 | - | - |
| 11.05.02 | 21.30 | 059 | ეხიდო2:2; 3:3ატლეტიკო; მურსია1:1 **ხიმნასტიკი** V **ხერესი** სალამანკა0:2; 1:1ეხიდო; ლევანტე0:1 | 2,5 | 2,9 | 1,8 | 1,3 | 1 | 1,1 | 1:2 | - | - | - |
| 11.05.02 | 24.00 | 060 | 3:2ოვიედო; ხიმნასტიკი3:3; 2:1ეხიდო **ატლეტიკო** V **ესტრემადურა** მურსია0:2; 0:0ელჩე; კორდობა3:2 | 1,6 | 3,1 | 3,4 | 1,05 | 1,05 | 1,6 | 0:2 | 1:0 2:0 | - | - |
| 12.05.02 | 15.00 | 061 | 0:1ხაენი; ბურგოსი2:1; 1:3რასინგი **ალბასეტე** V **ეიბარი** ნუმანსია2:0; 1:0ბადახოსი; სპორტინგი2:0 | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,7 | 0:1 | 1:3 0:0 | 3:1 1:0 | 1:0 0:1 |
| 12.05.02 | 21.00 | 062 | 0:0რასინგი; ესტრემადურა0:0; 6:3ოვიედო **ელჩე** V **ბურგოსი** კორდობა0:1; 1:2ალბასეტე; ნუმანსია1:1 | 1,85 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 | 0:0 | - | - | - |
| 12.05.02 | 22.00 | 063 | 1:0ლევანტე; ლეგანესი1:2; 1:1ფეროლი **უელვა** V **სალამანკა** 2:0ხერესი; ლევანტე0:1; 1:3ლეგანესი | 1,4 | 3,1 | 5,3 | 1 | 1,1 | 1,95 | 3:2 | 0:0 1:0 | 0:1 1:0 | - |
| 12.05.02 | 22.00 | 064 | 0:2ეიბარი; ხაენი1:0; 1:1ბურგოსი **ნუმანსია** V **ფეროლი** ბადახოსი1:0; 3:5სპორტინგი; უელვა1:1 | 1,9 | 2,0 | 3,6 | 1 | 1,2 | 1,25 | 1:2 | - | - | - |
| 12.05.02 | 22.00 | 065 | 2:2ხიმნასტიკი; ხერესი1:1; ატლეტიკო1:2 **ეხიდო** V **ოვიედო** ატლეტიკო2:3; 1:1მურსია; ელჩე3:6 | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 | 1:1 | - | - | - |
| 12.05.02 | 23.00 | 066 | 0:1ფეროლი; ეიბარი0:1; 1:0ხაენი **ბადახოსი** V **ლეგანესი** სპორტინგი0:2; 2:1უელვა; სალამანკა3:1 | 2,0 | 2,0 | 3,4 | 1 | 1,25 | 1,25 | 0:1 | 1:0 0:0 | 0:1 1:1 | 0:1 1:0 |
| 12.05.02 | 23.00 | 067 | 2:0ესტრემადურა; ოვიედო1:1; 1:1ხიმნასტიკი **მურსია** V **რასინგი** ელჩე0:0; 4:0კორდობა; ალბასეტე3:1 | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 | 0:1 | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატლეტიკო მადრიდი (4) | | 2:0 | 1:1 | 0:0 | 4:0 | 0:1 | 0:0 | 3:2 | 1:0 | 2:1 | 1:1 | | 0:2 | 0:0 | 1:0 | 4:2 | 2:2 | 2:1 | 1:0 | : | 2:0 | 3:3 | 39 | 22 | 9 | 8 | 64:40 | 75 | 10 | 7 | 2 | 29:16 | 37 | 12 | 2 | 6 | 35:24 | 38 |
| 2 | რასინგი სანტანდერი (დ) | | | 1:5 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 0:2 | 3:1 | 2:0 | 3:0 | 1:0 | 4:0 | 4:2 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 3:0 | 39 | 18 | 13 | 8 | 57:36 | 67 | 13 | 4 | 3 | 36:17 | 43 | 5 | 9 | 5 | 21:19 | 24 |
| 3 | უელვა (6) | 1:3 | 1:1 | | | 1:0 | 0:0 | 0:2 | 3:1 | 1:0 | : | 1:0 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 3:2 | 0:3 | 1:0 | 39 | 16 | 15 | 8 | 42:31 | 63 | 10 | 3 | 6 | 19:17 | 33 | 6 | 12 | 2 | 23:14 | 30 |
| 4 | ხერესი (დ) | 0:1 | 2:1 | 0:0 | | 2:0 | 1:0 | | 0:2 | 1:0 | 0:2 | 2:1 | 1:0 | 3:3 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 2:1 | 39 | 18 | 9 | 12 | 38:37 | 63 | 13 | 2 | 5 | 26:17 | 41 | 5 | 7 | 7 | 12:20 | 22 |
| 5 | ელჩე (18) | 5:1 | 1:1 | 1:1 | 4:0 | | 1:0 | 2:0 | 1:0 | | 4:1 | 0:0 | : | 1:0 | 2:3 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 2:0 | 0:0 | 1:3 | 1:0 | 39 | 15 | 13 | 11 | 49:39 | 58 | 10 | 7 | 2 | 31:14 | 37 | 5 | 6 | 9 | 18:25 | 21 |
| 6 | სპორტინგი ხიხონი (7) | 2:1 | 1:1 | | 0:1 | 0:1 | | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 5:3 | 0:1 | 1:1 | 3:0 | 3:0 | 0:1 | 2:1 | : | 1:1 | 1:1 | 3:2 | 1:1 | 39 | 15 | 13 | 11 | 52:44 | 58 | 7 | 8 | 4 | 25:17 | 29 | 8 | 5 | 7 | 27:27 | 29 |
| 7 | რეალი ოვიედო (დ) | 2:3 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 3:6 | 0:2 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 39 | 13 | 19 | 7 | 40:33 | 58 | 7 | 10 | 3 | 21:17 | 31 | 6 | 9 | 4 | 19:16 | 27 |
| 8 | ალბასეტე (5) | 2:1 | 0:1 | 0:0 | 3:0 | 0:2 | 1:2 | 1:1 | | : | 0:1 | 2:1 | 2:1 | | 0:0 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 2:1 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 39 | 15 | 10 | 14 | 42:37 | 55 | 11 | 4 | 4 | 28:13 | 37 | 4 | 6 | 10 | 14:24 | 18 |
| 9 | ეიბარი (15) | 0:3 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 3:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | | 0:1 | 0:1 | 2:0 | 7:0 | 4:2 | 0:0 | 1:1 | 3:1 | 39 | 13 | 14 | 12 | 39:26 | 53 | 10 | 6 | 4 | 32:15 | 36 | 3 | 8 | 8 | 7:11 | 17 |
| 10 | სალამანკა (9) | 0:0 | 1:2 | 2:3 | 1:1 | 1:0 | | 3:0 | 2:0 | 1:0 | | 3:1 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 2:2 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 3:3 | 39 | 13 | 14 | 12 | 48:47 | 53 | 7 | 7 | 6 | 22:17 | 28 | 6 | 7 | 6 | 26:30 | 25 |
| 11 | ფეროლი (16) | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:2 | 1:0 | 1:2 | 0:2 | | 1:1 | 3:1 | | 3:0 | 3:0 | 1:3 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 1:2 | 39 | 15 | 7 | 17 | 55:55 | 52 | 10 | 4 | 6 | 30:20 | 34 | 5 | 3 | 11 | 25:35 | 18 |
| 12 | ბურგოსი (დ) | 0:4 | 0:0 | 1:3 | 3:1 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 2:4 | | 0:0 | 0:1 | 0:1 | | 1:1 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 39 | 12 | 15 | 12 | 30:33 | 51 | 4 | 10 | 6 | 12:17 | 22 | 8 | 5 | 6 | 18:16 | 29 |
| 13 | ლეგანესი (17) | 0:3 | 1:4 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 1:3 | 1:2 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 0:0 | | 1:1 | 1:0 | 0:0 | | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 39 | 12 | 14 | 13 | 36:41 | 50 | 8 | 6 | 6 | 21:21 | 30 | 4 | 8 | 7 | 15:20 | 20 |
| 14 | კორდობა (12) | 0:2 | 0:4 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 1:2 | 0:1 | 3:1 | 0:2 | 4:2 | | 1:1 | 1:1 | | 1:2 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 0:1 | 2:0 | : | 1:1 | 39 | 13 | 10 | 16 | 42:47 | 49 | 7 | 5 | 7 | 23:22 | 26 | 6 | 5 | 9 | 19:25 | 23 |
| 15 | ბადახოსი (14) | 0:1 | 3:2 | 1:0 | 1:0 | 1:3 | 1:2 | 1:0 | 2:3 | 0:1 | | 2:1 | 2:3 | : | 0:1 | | 1:1 | 0:0 | 2:2 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:1 | 39 | 13 | 7 | 19 | 37:48 | 46 | 7 | 4 | 8 | 22:24 | 25 | 6 | 3 | 11 | 15:24 | 21 |
| 16 | მურსია (13) | 3:1 | : | 2:0 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 3:3 | 1:2 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 1:2 | 0:1 | 0:1 | 2:1 | | 0:2 | 39 | 10 | 15 | 14 | 33:38 | 45 | 6 | 7 | 6 | 21:19 | 25 | 4 | 8 | 8 | 12:19 | 20 |
| 17 | ნუმანსია (დ) | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | : | 1:5 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 1:0 | | | 3:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 39 | 11 | 12 | 16 | 39:51 | 45 | 6 | 7 | 6 | 19:20 | 25 | 5 | 5 | 10 | 20:31 | 20 |
| 18 | ლევანტე (8) | 2:4 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 4:3 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 2:2 | 3:1 | 0:0 | 1:2 | 3:1 | | 0:0 | 0:1 | | 0:0 | 1:0 | 0:1 | 2:2 | 39 | 10 | 14 | 15 | 38:52 | 44 | 4 | 10 | 6 | 21:22 | 22 | 6 | 4 | 9 | 17:30 | 22 |
| 19 | პოლიდეპორტივო ეხიდო ეხიდო (დ) | 1:2 | | 0:0 | 1:1 | 0:0 | 2:2 | : | 2:0 | 0:0 | 2:4 | 3:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 3:4 | 1:0 | | 0:0 | 1:0 | 1:0 | 39 | 10 | 13 | 16 | 36:46 | 43 | 6 | 9 | 4 | 20:16 | 27 | 4 | 4 | 12 | 16:30 | 16 |
| 20 | ესტრემადურა (11) | 2:0 | 2:0 | 0:3 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 2:0 | 2:1 | 3:2 | 0:4 | 0:2 | 0:2 | 1:0 | | | 5:0 | 1:0 | 39 | 10 | 12 | 17 | 33:43 | 42 | 9 | 2 | 9 | 22:22 | 29 | 1 | 10 | 8 | 11:21 | 13 |
| 21 | ხაენი (10) | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:2 | | 3:3 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 1:4 | 0:0 | 1:0 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 0:1 | 3:1 | 1:0 | | 0:1 | 39 | 11 | 9 | 19 | 29:46 | 42 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 | 6 | 3 | 10 | 14:24 | 21 |
| 22 | ხიმნასტიკი ტარაგონა (დ) | 1:2 | 0:0 | 1:2 | : | 1:2 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 2:2 | | 0:2 | | 39 | 9 | 13 | 17 | 38:47 | 40 | 6 | 7 | 6 | 19:18 | 25 | 3 | 6 | 11 | 19:29 | 15 |

## ჩეხეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. XXX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.05.02 | 19.30 | 083 | 0:1დრნოვიცე; სინოტი2:1; 0:0ჟიჟკოვი **ჰრადეც კრალოვე** V **ბლშანი** სინოტი2:1; 1:0ბოჰემიანსი; ბრნო2:2 | 2,0 | 4,0 | 1,3 | 1,3 | 1 | 1 | 2:0 | - | 0:1 1:1 | 0:3 0:4 |
| 10.05.02 | 19.30 | 084 | 1:2ბლშანი; 1:2ჰრადეც კრალოვე; ბოჰემიანსი3:1 **სინოტი** V **სპარტა** ბოჰემიანსი2:0; 1:0ბრნო; ტეპლიცე2:3 | 5,0 | 4,0 | 1,4 | 2,2 | 1,05 | 1 | 1:3 | 2:1 0:2 | - | - |
| 10.05.02 | 19.30 | 085 | 0:2სპარტა; ბლშანი0:1; 1:3სინოტი **ბოჰემიანსი** V **ლიბერეცი** ბრნო3:3; 0:2ტეპლიცე; ბანიკი1:0 | 4,0 | 4,0 | 1,35 | 2 | 1 | 1 | 2:3 | 0:0 0:3 | 2:0 0:2 | - |
| 10.05.02 | 19.30 | 086 | 3:3ლიბერეცი; სპარტა0:1; 2:2ბლშანი **ბრნო** V **ოპავა** ტეპლიცე0:2; 2:1ბანიკი; სლავია1:2 | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 | 1:2 | - | 1:4 1:0 | 1:2 4:1 |
| 10.05.02 | 19.30 | 087 | 2:0ოპავა; ლიბერეცი2:0; 3:2სპარტა **ტეპლიცე** V **პრჟიბრამი** ბანიკი2:5; 0:0სლავია; იაბლონეცი2:3 | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 | 0:1 | 1:0 1:2 | 2:0 0:3 | 3:2 1:1 |
| 10.05.02 | 19.30 | 088 | 5:2პრჟიბრამი; ოპავა1:2; 0:1ლიბერეცი **ბანიკი** V **სიგმა** სლავია0:0; 1:0იაბლონეცი; დრნოვიცე3:1 | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 | 1:2 | 1:1 0:0 | 2:2 1:4 | 2:3 1:1 |
| 10.05.02 | 19.30 | 089 | 0:0სიგმა; პრჟიბრამი0:0; 2:1ოპავა **სლავია** V **ჟიჟკოვი** იაბლონეცი2:1; 2:1დრნოვიცე; ჰრადეც კრალოვე0:0 | 1,95 | 3,4 | 2,1 | 1,2 | 1 | 1,2 | 0:1 | 2:1 1:0 | 3:1 1:3 | 1:2 4:1 |
| 10.05.02 | 19.30 | 090 | 1:2ჟიჟკოვი; სიგმა0:1; 3:2პრჟიბრამი **იაბლონეცი** V **დრნოვიცე** ჰრადეც კრალოვე1:0; ჟიჟკოვი1:2; 1:3სიგმა | 1,5 | 4,0 | 1,8 | 1,05 | 1 | 1,2 | 1:1 | 0:0 1:2 | 0:3 1:0 | 1:2 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სლოვანი ლიბერეცი (6) | | 1:0 | 1:0 | 3:2 | 2:0 | 1:0 | 3:3 | 4:1 | 3:0 | 4:1 | 3:3 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 29 | 19 | 7 | 3 | 54:24 | 64 | 11 | 4 | 0 | 33:12 | 37 | 8 | 3 | 3 | 21:12 | 27 |
| 2 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა (5) | 2:0 | | 1:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 2:2 | 3:2 | 2:0 | 29 | 19 | 6 | 4 | 42:19 | 63 | 12 | 3 | 0 | 25:7 | 39 | 7 | 3 | 4 | 17:12 | 24 |
| 3 | სპარტა პრაღა (1) | 1:2 | 2:0 | | 2:0 | 1:1 | 4:0 | 6:0 | 2:3 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 4:0 | 3:0 | 4:1 | 29 | 19 | 3 | 7 | 54:19 | 60 | 12 | 1 | 2 | 37:8 | 37 | 7 | 2 | 5 | 17:11 | 23 |
| 4 | ბოჰემიანსი პრაღა (10) | : | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 0:4 | 1:0 | 1:0 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 29 | 13 | 6 | 10 | 38:34 | 45 | 9 | 2 | 3 | 18:12 | 29 | 4 | 4 | 7 | 20:22 | 16 |
| 5 | სლავია პრაღა (3) | 1:3 | : | 0:1 | 2:2 | | 3:2 | 1:1 | 3:0 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 4:0 | 3:1 | 4:3 | 5:2 | 29 | 11 | 11 | 7 | 44:34 | 44 | 6 | 5 | 3 | 28:18 | 23 | 5 | 6 | 4 | 16:16 | 21 |
| 6 | ბანიკი ოსტრავა (14) | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 0:2 | 3:0 | 1:1 | : | 1:1 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 1:2 | 29 | 12 | 8 | 9 | 43:35 | 44 | 6 | 6 | 2 | 16:10 | 24 | 6 | 2 | 7 | 27:25 | 20 |
| 7 | ბობი ბრნო (13) | 0:3 | 1:3 | 0:1 | 0:3 | 0:0 | 1:1 | | 2:1 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | : | 29 | 10 | 10 | 9 | 33:40 | 40 | 7 | 3 | 4 | 16:17 | 24 | 3 | 7 | 5 | 17:23 | 16 |
| 8 | ტეპლიცე (8) | 2:0 | 1:3 | 0:1 | 3:2 | 1:2 | 4:0 | 2:2 | | : 0:0 | 1:1 | 0:1 | : | 4:3 | 2:1 | 0:2 | 1:0 | 29 | 11 | 5 | 13 | 36:41 | 38 | 6 | 3 | 5 | 21:18 | 21 | 5 | 2 | 8 | 15:23 | 17 |
| 9 | ნისოუს იაბლონეცი (12) | 0:3 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 2:2 | 0:2 | 0:0 | | 1:2 | 0:1 | 1:0 | 5:1 | 1:0 | : | 5:0 | 29 | 9 | 10 | 10 | 33:33 | 37 | 7 | 3 | 4 | 21:12 | 24 | 2 | 7 | 6 | 12:21 | 13 |
| 10 | სინოტი სტარე მესტო (11) | 0:2 | 0:1 | : | 3:1 | 1:3 | 0:4 | 1:2 | 2:0 | 0:0 | | 2:1 | 2:0 | 2:0 | 0:1 | 3:1 | 1:0 | 29 | 10 | 6 | 13 | 31:37 | 36 | 7 | 1 | 6 | 17:16 | 22 | 3 | 5 | 7 | 14:21 | 14 |
| 11 | სიგმა ოლომოუცი (2) | 0:0 | 0:2 | 0:3 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 0:0 | 1:1 | | 1:2 | 3:0 | 3:1 | 3:1 | 3:1 | 29 | 8 | 10 | 11 | 28:32 | 34 | 5 | 6 | 4 | 17:15 | 21 | 3 | 4 | 7 | 11:17 | 13 |
| 12 | დუკლა პრჟიბრამი (4) | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:5 | 2:3 | 2:5 | 1:2 | 1:0 | 2:3 | 1:0 | 1:1 | | 0:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 29 | 9 | 7 | 13 | 27:38 | 34 | 5 | 5 | 5 | 19:22 | 20 | 4 | 2 | 8 | 8:16 | 14 |
| 13 | ჰრადეც კრალოვე (დ) | 2:0 | 1:2 | 0:5 | 2:0 | 0:0 | 1:3 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 2:1 | 1:0 | 1:0 | | : | 1:0 | 2:0 | 29 | 9 | 7 | 13 | 27:41 | 34 | 8 | 3 | 3 | 18:13 | 27 | 1 | 4 | 10 | 9:28 | 7 |
| 14 | ხმელი ბლშანი (9) | 1:2 | 0:0 | 3:0 | 0:2 | 1:2 | 3:1 | 2:2 | 1:3 | 1:1 | 2:1 | 3:1 | 0:1 | 0:2 | | 1:3 | 4:2 | 29 | 8 | 4 | 17 | 34:50 | 28 | 5 | 3 | 7 | 22:23 | 18 | 3 | 1 | 10 | 12:27 | 10 |
| 15 | პეტრა დრნოვიცე (7) | 1:3 | 1:2 | 0:2 | 2:0 | 2:2 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | | 3:0 | 29 | 7 | 5 | 17 | 32:43 | 26 | 5 | 4 | 6 | 17:16 | 19 | 2 | 1 | 11 | 15:27 | 7 |
| 16 | კაუჩუკი ოპავა (დ) | 1:2 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 0:2 | 2:1 | 0:2 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 0:0 | 0:2 | 3:1 | | 29 | 4 | 3 | 22 | 21:57 | 15 | 3 | 2 | 10 | 12:21 | 11 | 1 | 1 | 12 | 9:36 | 4 |

შესტორცნეთ ცაში დაფები და ფიგურები

# ჯანყი დასრულდა

## ისე, მშვიდობის მაინც გეშინოდეთ

**სანამ** მთავარზე გადავიდოდეთ, მაინც ყურადღებით აღვნიშნოთ, რომ ჭადრაკი პირველ რიგში 64 უჯრა და 32 ფიგურაა, მერე კი პოლიტიკა, ფულის კეთების საშუალება, რეკლამა და მისთანები. ამდენად, წერილს „ევროტელ ტროფის" სპორტული მხარით დავიწყებთ. ეს ტურნირი პრაღაში იმით დასრულდა, რომ დედამიწის 32 უძლიერესი მოჭადრაკიდან დარჩენილმა ორმა ფინალი გაითამაშა.

„ნოკაუტ სისტემით" მიმდინარე ტურნირზე სწრაფი ჭადრაკი დომინირებდა, მხოლოდ ფინალი დაეთმო კლასიკურ ჭადრაკს და მოსვენებულად, წამდაუწუმ საათისკენ ჭვრეტის გარეშე ორი პარტია ანატოლი კარპოვმა და ვიშვანათან ანანდმა ითამაშეს. ანატოლი ევგენიჩი, ფინალის შედეგის მიუხედავად, მაინც ტურნირის პირველ ფიგურად ჩაითვლებოდა, რადგან პრაღაში 70-80-იანი წლები შემობრუნა, როცა დაუნდობლად მუსრავდა დიდს და პატარას. 51 წლის კარპოვმა „ევროტელ ტროფიდან" ზედიზედ დაიფრინა ნაიჯელ შორტი, ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ალექსეი შიროვი — სახელთა ხმამაღლობას რომ შევეშვათ, ამ ხალხის საშუალო ასაკი 29 წელი გახლავთ. კარპოვს ფინალში ვიში ელოდა, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრით ნაკლებ მოთამაშეებს როდი ამოაძუებინა კუდი და საერთოდ, ჩანდა, რომ მისმა ტვინმა ძველი მოქნილობა და გამჭრიახობა დაიბრუნა მოზრდილი პაუზის შემდეგ — ანანდის ბოლო წარმატება წლინახევრის წინ ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონობა გახლდათ.

კარპოვი პირველ პარტიაზე „მერსედესით" გამოცხადდა, მხნე სახე ჰქონდა, მისალმებანი და ავტოგრაფები დაარიგა და შეუდგა იმ მძიმე საქმეს, რასაც ანანდის წინააღმდეგ შავებით თამაში ჰქვია. მალე სიმხნევე უხასიათობამ შეცვალა — ვიში მედგრად უტევდა და 31-ე სვლაზე ელემენტარულად პაიკი შეუყლაპა მეტოქეს. კარპოვმა განაგრძო რესურსების ძიება პარტიის გადასარჩენად, სკამიდან თითქმის არ წამომდგარა, ხოლო ანანდმა ჩაის გადაყლურწვა მოასწრო და ფინჯნის სცენიდან გარიდებაც. როცა ინდუსი შემობრუნდა, კარპოვის მეგობრულად გამოშვერილი ხელი იხილა, რუსი კაპიტულაციას უცხადებდა. 59 სვლა გაკეთებულიყო და თეთრი გამსვლელი პაიკის შემჩერებელი დაფაზე არა ფიგურა არ იყო.

მეორე პარტიაში კარპოვმა იჯაჯგურა, მაგრამ საბოლოო ღიმილი არუნა ანანდმა აისახა ინდოელის სიმპათიურ სახეზე — მისი ქმრის კოლექცია ახალი პრიზით შეივსო, ოჯახის ბიუჯეტი — 120 ათასი დოლარით და საერთოდ, ამ ფონზე პრაღაში სეირნობასაც ერთგვარი მუღამი ექნებოდა.

სანამ ქალბატონი ანანდისა ჩეხეთის დედაქალაქის მაღაზიებს მოივლიდა, ბატონმა ანანდმა იმ სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ჭადრაკის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება გაფორმდა. ვგულისხმობთ 6 მაისის სამიტს, რომელზეც ანანდი მთავარ ფიგურათაგანი არ იყო სადღეისო უტიტულობის გამოისობით. მთავარნი მოქმედნი იყვნენ: ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი, ექსჩემპიონი გარი კასპაროვი, მეცენატი ბესელ კოკი და კომპანია „აინშტაინ თი-ვი". თათბირის გამართვა ამერიკელ იასერ სეირავანის მეცადინეობით მოხერხდა და როგორც გაირკვა, არა უშედეგოდ.

ბევრი რომ არ გავჭიმოთ, პრალაში გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება, რომლის ძალითაც 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პლანეტის აბსოლუტური ჩემპიონი გაცხადდება.

რით იქცევს ხელშეკრულება ყურადღებას? პირველ რიგში ფიდე-ს მოწინავეობით. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ილუმჟინოვის უტეხობამ და ფულებმა ეს ორგანიზაცია ჭაობიდან ამოათრია და აი, სტრიქონიც ხელშეკრულებიდან: „მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე უფლებების ერთადერთ მფლობელად აღიარებულია ფიდე და იგია ასევე ერთადერთი საჭადრაკო ორგანიზაცია, რომელსაც ოფიციალურად აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, სპორტული და საჭადრაკო საზოგადოებრიობა".

ამ პოსტულატის შემდეგ საუბარი პროფესიული ჭადრაკის მმართველ ორგანიზაციაზე, რომელიც ლიცენზიას მიიღებს ფიდე-სგან და წარმართავს საქმეებს პროფესიული ჭადრაკის სამყაროში. აქ ჩანს ანალოგი კასპაროვისეულ დიდოსტატთა ასოციაციასთან, მაგრამ უკვე ისევ და ისევ ფიდეს ეგიდით, ყოველგვარ მოჯანყე განწყობილებათა გარეშე.

პასუხად ფიდე-მ დათმო მხოლოდ ერთი საჭადრაკო ციკლი, რომლის შედეგიც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის დადგენა იქნება. კომპანია „აინშტაინ თი-ვიმ" მიიღო ფიდე-ს კურთხევა დორტმუნდის სუპერტურნირის 8 მონაწილიდან ვლადიმირ კრამნიკის მეტოქის შესარჩევად, ხოლო თვით ფიდე დროებით ხელს იღებს მორიგი „ნოკაუტ-ჩემპიონატის" გამართვაზე და თანხმაა, თავისი ჩემპიონი, რუსლან პონომარიოვი შეახვედროს გარი კასპაროვს და მათ შორის გამარჯვებულმა ითამაშოს „აინშტაინ თი-ვის" ჩემპიონთან, რათა პლანეტის ერთადერთი ჩემპიონი გაირკვეს.

გარი კასპაროვმა, კირსან ილუმჟინოვმა, ვლადიმირ კრამნიკმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ალბათ, მოაწერს რუსლან პონომარიოვიც ყოველ შემთხვევაში, ფიდე ამ საქმეს თავის თავზე იღებს.

ვითომ „გენს უნა სუმუს"?

**დავით გულუა**



კასპაროვი, ილუმჟინოვი, კრამნიკი — მათ ახალი ერის დაწყება დააფიქსირეს. ზურაბ აზმაიფარაშვილიც (დგას მარცხნიდან პირველი) ამ პროცესის მონაწილეა



NBA PLAYOFFS პლეი ოფი მეორე წრე, ოთხ მოგებამდე



REUTERS

შაკილ ონილი დევივით კია, მაგრამ რობოტი არაა. გუშინწინ მან გამარჯვება ტიმ დანკანს და მის „სან ანტონიოს" დაუთმო

# ვმარცხდებით, ესე იგი, ადამიანი ვარ

## სან ანტონიომ დიდი ლეიკერსი დაამიწა

7 მაისი

**ალმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 2 |
| შარლოტი | 0 |

**ნიუ ჯერსი 102:88 შარლოტი**

**ნიუ ჯერსი:** პარისი (24), ვან ჰორნი (20 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (15), კიდი (11)

**შარლოტი:** დევისი (27), ვესლი (17), კემბელი (15), მაღუა (13)

70-80-იანი წლების ლეგენდა ბილ უოლტონი იხსენებს, „პორტლენდთან" ან „ბოსტონთან" ერთად ნიუ ჯერსიში რომ ჩავდიოდით, თავი დაკრძალვაზე გვეგონა. ყოველ თამაშზე მივასვენებდით „ნეტსს" და თან მათი „ქირისუფალიც" მშვიდად, ყოველგვარი ვაებაგოდების გარეშე მოგვყვებოდაო. ახლა უოლტონმა როგორღაც თავი შეყო „ნეტსის" შინაურ საპლეიოფო თამაშზე და იქაურმა ღრიანცელმა ყურთასმენა წარკვეთა, თურმე საზიზღარ გარეუბან ნიუ ჯერსიშიც ჩქეფს სიცოცხლე და მისი მშვენება კალათბურთი და „ნეტსის" თამაშებს ერთი-ორი ათასი უსაქმური კი არა, საზოგადოების აქტიური ფენა ესწრება. თვით დედა ნიუ იორკიდანაც მოდის ხალხი, იქაურებმა თავიანთი ჯილა „ნიუ იორკ ნიქსის" არყოფნაში „ნეტსის" ტრიბუნებზე გადმოინაცვლეს. 10-20, ან თუნდაც ხუთი წლის წინ ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ნიუ იორკის" გერი „ნეტსი" ნებიერა „ნიქსს" დაჩრდილავდა.

დრო იცვლება და ახლა ასეა. „ნიუ ჯერსი" არა მარტო თავის უფროს „ნახევარძმას" ალემატება, აგერ, „ბადეები" ცხოვრებაში სულ მეორედ არ გაიხლართნენ პლეი ოფის პირველივე წრეში, საწყისი ეტაპი დაძლიეს და მერეც ისეთი რიხით მიიბრძვიან, ლიდი შანსია, პირველად გავიდნენ აღმოსავლეთის ფინალში. „შარლოტ ჰორნეთსის" მეორედ დამარცხების შემდეგ მათ ჰორიზონტზე ნათლად დალანდეს მანამდე არნახული სიმაღლის მწვერვალი.

ხალხიც ხალისით აჰყოლია „ბადეთა" ფეხის ხმას. ეს ორი თვეა, ტრიბუნები გაჰყვირიან თავიანთი ახალი ჯილას, „ნიუ ჯერსის" წინ წამწევ ჯეისონ კიდის სახელს და მის სეზონის უძვირფასესად აღიარებას მოითხოვენ. გუშინწინდელ მატჩში ნიუჯერსელებმა კიდზე მეტად ვინმე ლუციუს პარისი ადიდეს. განა იმიტომ, რომ ხმა გავარდა, კიდმა უძვირფასესის გამოსავლენ გამოკითხვაში პირველობა სანანტონიოელ ტიმ დანკანს დაუთმოო, არამედ ჯეისონის ინერტული თამაშის გამო. წინა საპლეიოფო მატჩები კიდმა სტაბილურად მძლავრად მოითამაშა, „შარლოტთან" მეორე შეხვედრა კი ჩააგდო, თამაშში 18 სროლიდან 13 გააფუჭა და თავისიანებს ბევრიც ვერაფერი შეაშველა. არც არავის გაუმტყუნებია, რკინისა ხომ არაა, ყველა შეხვედრაში იფრინოს, თან მისმა ინერტულმა ბურთაობამ „ნეთსს" არა ავნო და აუგიც არავის დასცდენია.

მასპინძელთა გულის მოსაქონად გმირობა სხვამ გასწია. ლუციუს პარისი „ნეთსის" მეორე მსროლელი, ესე იგი, სათადარიგოა და, მაშასადამე, მეორეხარისხოვანი მოთამაშე, მაგრამ ერთი დღით ის გარეუბნელებისთვის გმირი გახდა. მაშინ, როცა მისგან ბევრი-ბევრი ამის ნახევარს ელოდნენ, პარისმა 24 ქულა გაშანსა (11 სროლიდან 10 ჩააგდო), ამასთან ივაჟკაცა სწორედ საჭირო დროს. ბოლო მეოთხედის შუაწელს მან ზედიზედ ექვსი ქულა უთავაზა „შარლოტელ კრაზანებს" და სამი ქულით ჩამორჩენილი თავისიანები აშლენითვე დააწინაურა. შემდეგაც ხელფეხი და მეტოქე არ მოუსვენებია და ქომაგებიც ნამატჩევს მეტად აწრიალა.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| სან ანტონიო | 1 |

**ლეიკერსი 85:88 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (26), ონილი (19), ფიშერი (12)

**სან ანტონიო:** დანკანი (27 ქულა, 17 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), დანიელსი (14), ბოუენი (13).

სრულყოფილი და დაუმარცხებელი არავინაა. 60-იანი წლების „ბოსტონი" და 90-იანების „ჩიკაგო" — ნბა-ს ისტორიაში საუკეთესო გუნდები თავიანთ თანამედროვეებზე მაღლა იდგნენ, მაგრამ ვერც ისინი აზერხებდნენ ყველა თამაშის მოგებას. მანქანები ხომ არ იყვნენ, მხოლოდ მეტოქეებზე უკეთესი ბიჭები ჰყავდათ. და არც 2000-იანებში უძლიერესი „ლეიკერსია" წაუქცეველი. დევშაკის და მისი დამქაშების შემხედვარეთ კი გაგვჩენია ეჭვი, ყვითელ-იისფერ მაისურამოცმულ ამ შავ სხეულებს გულ-კუნთების ნაცვლად მოტორი და ქანჩები ხომ არ ამუშავებსო. „სან ანტონიოსთან" მარცხმა ფილ ჯექსონის შეგირდებს ადამიანების სახე დაუბრუნა, თურმე მათი გაჩერებაც შესაძლებელი ყოფილა. ცოტა ხნის წინ კი სხვაგვარად ჩანდა.

„ლეიკერსის" უძლეველობის შთაბეჭდილებას აძლიერებს შარშანდელი პლეი ოფი, რომელიც ლოსანჯელესელებმა ერთი ამოსუნთქვით, 15 მოგებით და ერთადერთი, თითქმის შემთხვევითი მარცხით გაიარეს. თითქოს შეუძლებელია, ნბა-ს ოთხ უგამორჩეულეს გუნდს ზედიზედ სამი-ოთხი უდაბაბულესი თამაში მიყოლებით მოუგო, „ლეიკერსმა" კი შეძლო. თან მეტ-ნაკლებად ყველაზე ტოლძალოვანი მეტოქე „სან ანტონიო" ოთხ თამაშში საშუალოდ 22 ქულის სხვაობით გაანადგურა.

„ლეიკერსი" წაუბორძიკებლად მიაბოტებდა წლევანდელ პლეი ოფშიც ზედიზედ ოთხი გამარჯვებით, ესე იგი, ბოლო ოც საპლეიოფო თამაშში ერთადერთი მარცხით და ამ შედეგის გააზრებით კიდევ უფრო თავდაჯერებული.

სანანტონიოელთა ზეობა სპორტული გმირობაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც „სფურზი" ჩემპიონს 216-სანტიმეტრიან ცენტრ დევიდ რობინსონის ფართო მხარბეჭის დაუხმარებლად გადაელობა. სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ტიმ დანკანი ამჯერად ეყო შაკილ ონილს და საერთოდ ტეხასელთა დაცვამ ერთობლივად ივარგა.

ცხადია, სტუმრებმა მიზნად შაკის გათიშვა დაისახეს და მიაღწიეს კიდეც, ძირითადად შაკილის სიახლოვეს, შეტევაში აქტიურობის წყალობით. ონილმა თავიდანვე აკრიფა პერსონალურები და დანკანმაც მეტი თავისუფლება იგრძნო. სტუმართა ლიდერმაც ბევრი იბორგა და მისიანებმა პირველ ტაიმში შორს გაქცევა, 16 ქულით დაწინაურება მოახერხეს.

ყოვლისშემძლე „ლეიკერსს" წინ 24 წუთი ჰქონდა და ბეჯითად შეუდგა საქმეს. კობი ბრაიანტმა კარგად გააწვალა სხვაობის როგორმე შენარჩუნების ამაოდ მსურველი სტუმრები და „ლეიკერსი" ბოლო წუთებზე მაინც დაუახლოვა „სან ანტონიოს". ჩემპიონებმა თითქმის გაიტანეს თავისი, მატჩის დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე 85:88 ანგარიშზე შაკილმა მაინც აჯობა დანკანს, ბურთი ააწაპნა და ფეხმარდი თანაგუნდელები კონტრშეტევაზე გააქცუნა, მაგრამ სტუმრებს ბედმაც გაუღიმათ. ჩემპიონებმა ვერ შეასრულეს გადამწყვეტი სროლა. კობი ბრაიანტმა, რომელიც ასევე არაა რობოტი, სირენამდე 1,3 წამით ადრე გარბენი გააკეთა და ჩემპიონთა პირველი საპლეიოფო მარცხიც შედგა.

„უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვიგეთ. უძლიერესი მეტოქე გვყავს, მაგრამ ახლა თითქმის თანაბარ მდგომარეობაში ვართ, ჩვენ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც კი ვფლობთ, ახლა შინ ორი თამაში გვიწევს, რომლებშიც ვეცდებით, „ლეიკერსს" ყოველმხრივ წავუხდინოთ გუნება" — ამ თითქმის ისტორიული მატჩის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე ტიმ დანკანი წინ გაცისკროვნებული თვალებით იმზირება.

**ირაკლი ფირცხვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

ბლეი ოფი პირველი წრე, სამ მოგებამდე

# ბასკომ შიში გაიცნო



ნიკ დილონი (თეთრ ფორმაში) და მისი „ბასკო“ „აზოტმა“ საფუძვლიანად, მაგრამ ამაოდ აწვალა

ირაკლი პირტაია ბათუმიდან

| | |
|---|---|
| ბასკო | 1 |
| აზოტი | 0 |

**ბასკო 82:70 აზოტი**

ძირითადი დრო 57:57
11:22, 18:10, 14:19, 14:6, 25:13

**ბასკო:** თორთლაძე (18), გ. მარკოიშვილი (19), ბეჟანიშვილი (13), დილონი (12), როდუნსტა; ტუჯანი (7), არხიპოვი (6), ორმოცაძე (4), საყვარელიძე (3)

**აზოტი:** გაბისონია (3), ბოისა (4), გოგობერიშვილი (19), შპუნტი (21), მაჭარაძე; კოკოლიშვილი (10), ლიპარტელიანი (6), ბერუაშვილი (5), დანელიანი (2), ჯიმშელეიშვილი, არწივიძე

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

გუშინ ბათუმმა ჯერ არნახულს შეხედა თვალებში. მშობლიურ კედლებში აქამდე უძლეველი „ბასკო“ ბეწვზე გადაურჩა პირველ შინაურ მარცხს.

ამ გუნდების ძალთა თანაფარდობაზე ლაპარაკს აქ არ მოვყვებით, ამის გასაგებად წლევანდელი სეზონის გახსენებაც კმარა, სადაც აჭარელებმა შანსი არ დაუტოვეს რუსთაველებს, თუმც ბათუმში „აზოტი“ ჯერაც ახსოვთ, რის დასტურადაც გადაჭედილ დარბაზს და ერთ ამბავს დავიმოწმებთ: გუშინ ბათუმის მორაგბეთა გუნდ „დათვების“ ვარჯიშს შევესწარი და მორაგბეებმა რომ გაიგეს, „ბასკო“ თამაშობსო, მატჩის ნახვის სურვილი გამოთქვეს. მწვრთნელმა ლევან მგელაძემ, ცხადია, უარი უთხრა მთხოვნელებს, მაგრამ რუსთაველთა ხსენებამ გაჭრა. მწვრთნელი დაყაბულდა, ვარჯიში გადაედო.

ეს შეხვედრა, ჩვენი ჩემპიონატის სხვა მატჩთაგან განსხვავებით, დაცვითი თამაშის ზეიმი იყო. ანგარიშმა არ შეგაცდინოთ, ბურთებმა კალათში პანტაპუნტით ცვენა მხოლოდ ოვერტაიმში იწყო, თორემ ოთხი ათწუთეულის შემდეგ ტაბლომ საოცრად მცირე ანგარიში 57:57 დააფიქსირა. მატჩს მწვრთნელთა დუელი შეიძლება ეწოდოს. სტუმართა დამრიგებელმა ზურაბ ტომარაძემ ყველაფერი გააკეთა, შეცვლები მაქსიმალურად რაციონალურად გამოიყენა და ღირსი იყო, ბოლოს გამარჯვება რგებოდა, მაგრამ შემსრულებლებს ბოლო წუთზე სიზუსტემ უმტყუნა. ტომარაძე მთელი შეხვედრის განმავლობაში მონაცვლეობით ასვენებდა გოგობერიშვილს, შპუნტს, გაბისონიასა და სხვა წამყვანთ, მათ მაგივრად კი აქამდე სათადარიგოთა ღრმა ბინადართ ათამაშებდა. შედეგად მატჩის ბოლოსთვის მოედანზე შეინარჩუნა ოპტიმალური შემადგენლობა და სტუმართა გამარჯვებისთვის ყველა პირობა შეიქმნა, მაგრამ მიხეილ ბერუაშვილმა სირენამდე ორი წუთით ადრე 52:57 ანგარიშზე ორი საჯარიმო გააცუდა. „ბასკომ“ ამის შემდეგ წამოიწია: დავით თორთლაძემ, რომელიც მანამდე ჩრდილში იმყოფებოდა, ჯერ ორქულიანი, შემდეგ სამიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა.

ცხადია, მატჩი აქ არ დამთავრებულა. დიდი ამბები დატრიალდა ძირითადი დროის ბოლო წუთზე. დარბაზმა, სადაც გადამწვარი პროჟექტორიც კი „ბასკოს“ გულშემატკივრობდა, ორჯერ ამოიგმინა და ამდენჯერვე სიხარულით ჰაერში აიწია. პირველის მიზეზი ბეჟანიშვილის გაცუდებული სამიანები იყო. მეორედ კი გოგობერიშვილის დაკარგული ბურთები...

„აზოტის“ სათამაშო ტაქტიკა თავიდანვე გამოიკვეთა. რუსთაველებმა გაუვალი ზონა დააყენეს, თან ისე, რომ ბათუმელთ პერიმეტრზეც საფუძვლიანად ზღუდავდნენ, შედეგად აჭარლებმა საწყის შვიდ წუთში მხოლოდ ექვსი ქულით იხეირეს. რამაზ გოგობერიშვილი გარღვევებით ერჩოდა დამხვდურთ, ოლეგ შპუნტი კი ფართან ჩასაფრებულიყო და ძირითადად ამ ორის მეცადინეობით პირველი მეოთხედი სტუმრებს დარჩათ — 22:11. მეორე ათწუთეულიდან პაველ გოოგემ რა არ ილონა — ხან არხიპოვი გამოიყვანა, ხან ორმოცაძე, უკანა ხაზიც ხშირად ცვალა, მაგრამ ამით მასპინძელთა შეტევა არ გამოცოცხლებულა. ბოლოს „ბასკომ“ მეტოქის ხერხს მიმართა და თავადაც დაცვაში ჩაჯდა. ამან გაამართლა და „აზოტმა“ პირველი ტაიმის ბოლო ექვს წუთში მხოლოდ ორი ქულა შეიმატა, ანგარიშში სხვაობაც სამ ქულამდე შემცირდა.

მეორე ნახევარი პირველის ანალოგიური გამოდგა. „აზოტი“ გოგობერიშვილისა და შპუნტის ჩაუქრობით წინ გაიჭრა და გააზრებული თამაშით მატჩი სასურველი ბოლოსკენ წაიწყვანა, თუმც შემდგომ იმ ამბების ჯერი დადგა, თავიდან რომ მოგითხრეთ.

...ოვერტაიმში უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი გაიტანა და 2 წუთში ყველაფერი გაირკვა. „ბასკომ“ 12 ქულა მიითვალა და „აზოტს“ განაჩენი გამოუტანა.

გუშინ ბათუმელებმა ტრავმამოსაშუშებელი გამთამაშებელი ჯეფრი როჯერსი დაასვენეს, ბოლომდე მომჯობინდეს, მომავლისთვის გამოგვადგებაო. ამერიკელი მოედანზე თუ დღესაც არ გავა, შესაძლოა, გოგობერიშვილმა კვლავაც გაილაღოს, ეს კი რასაც ნიშნავს ბათუმში, გუშინ კარგად ნახეს.



მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი ნახევარმარათონში ბრიუსელი

# პოლ-მარათონელი: სირბილიც ცხოვრებაა, აქეთ ღარიბი მოგდევს, იქით იუდა



წინ პოლ კოსგეია, უკან ჯაუად ღარიბი

REUTERS

**უჩაუქესმა** ხვადებმა ლამის ზედ ფინიშამდე გვერდი-გვერდ ირბინეს და კენიელმა პოლ კოსგეიმ მაროკოელ ჯაუად ღარიბს მსოფლიოს მე-11 ნახევარმარათონის უკანასკნელ მონაკვეთზე გადაუსწრო. ღარიბის მომდევნოდ ფინიშის ხაზს ჯონ იუდა გასცდა.

კენიელ ჩემპიონს მსოფლიო საძმოში აქამდე სწორუპოვარ მესტიპლჩეიზედ და მეკროსედ უფრო იცნობდნენ. ბრიუსელის გადარბენამდე კი ნახევარმარათონი მას მხოლოდ ტელეეკრანზე ენახა. ამიტომაც იყო, როცა 15-კილომეტრიანი ნიშნულიდან ის იუდასა და ღარიბთან ერთად ლიანგს გაექცა, მცოდნე ხალხმა იფიქრა, ამას მალე გამოასვენებენო.

„პოლა, არც გაემტყუნებოდათ — ამბობდა მარათონის მერე კოსგეი — მართლაც არ ვიცოდი, როდის რა უნდა მექნა, სად აჩქარებულიყავი და სად შენელებულიყავი. ერთი ეგ იყო, ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე უკვე უჭველში მივხვდი, მოვიგებ-მეთქი. შევამჩნიე იუდა უკვე მაგრად იღლებოდა, მაროკოელს კიდევ მეთქი, ბოლოს გადავუერბენ“.

ეგრე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც პოლ კოსგეის ნაფიქრალი ახდა. უკანასკნელ კილომეტრებზე ღარიბმა და კოსგეიმ იუდაც ჩამოიტოვეს და ფინიშისკენ მარტოკაცებად გაუტიეს.

„როცა ღარიბმა აუჩქარა, ველარ ავყევი — იგონებდა იუდა — ბოლო კვირებში ბევრგან ვირბინე და, ეტყობა, გადავიღალე. არა, ამინდი არაფერ შუაშია. წვიმის და ჭყაპის მეტი ტანზანიაში რა მინახავს. რაღა ბევრი გავაგრძელო, კმაყოფილი ვარ — ბრინჯაოც ჰყრია!“.

დანარჩენი კი თქვენ უკვე იცით. სულ ბოლოსკენ კოსგეიმ უეცრად დანაგემარს ხორცი შეასხა და თავის სადებიუტო ნახევარმარათონს ოქროს ბრჭყვიალება შესძინა.

„თუმცა ეგ იმას არ ნიშნავს, თითქოს ხვალვე ნაღდი მემარათონე გავხდე — თავმდაბლობდა ნაკვარცხლბეკევს — ჩემი ბოლო სიტყვა ჯერ არც ტრეკზე მითქვამს და არც საკროსეთში. მარათონში მთლიანად გადასვლას კი, ჰა-ჰა, 2-3 წლის მერე თუ დავაპირებ, ხოლო მანამდე — ტრეკი და მისი ჯანი!“

სხვათა შორის, კოსგეის ხეირმა კენიას კაცგუნდური გამარჯვებაც მოუტანა — კენიელთა შემდეგ იაპონელები და ეთიოპელები დადგნენ.

კაცებისა არ იყოს, ქალთა ნავარდის ბედიც უკანასკნელ მეტრებზე გადაწყდა. 28 წლის ბერანე ადერემ უეშურ ამინდსაც სძლია, აქოშინებულ მეტოქეებსაც და რბოლაში მავანი გამოშტერებულის შემოჭრაც იოლად აიტანა. ეს პირველად მოხდა, რაც რომ ეთიოპელმა მდედრმა ნახევარმარათონის მოგება მოახერხა.

მეორე ადგილი კვლავაც კენიელ სუსან ჩეპკემეის ერგო. კვლავაც იმიტომ, რომ აქამომდელ ორ ნახევარმარათონზე ფინიშის ხაზს სუსანი დიდბრიტანელი პოლა რადკლიფის მერე კვეთდა. ამჯერად კი პოლა ბრიუსელში არ ჩასულიყო და სუსანსაც იმედი მოსძალებოდა, იქნებ ახლა მაინცო, მაგრამ ვერც ამას მიერთვა...

„თითქოს კარგად ვირბინე და ყველაფერი, მაგრამ რომ მომეგო, უკეთესი იქნებოდა — ჰყვებოდა ჩეპკემეი — აწყვეტას თავიდანვე ვაპირებდი, რომ არ გამომივიდა, ვიფიქრე, ფინიშზე მაინც გავჩქარდები-მეთქი. თავადაც ნახეთ, არც ეს გამომივიდა“.

გამარჯვებული კი ნარბოლევს ყველაზე მეტად იმ ამბავს იხსენებდა, მაყურებლებიდან ერთი შმაგი კაცი რომ გამოუხტა: „შემეშინდა, არ დავეცე-მეთქი“ — ამბობდა ადერე.

ამათგან განსხვავებით ღიმილი არ სცილდებოდა ლატვიელ ელენა პროკოპჩუკს — ეს მედალი ჩემთვისაც დიდი ამბავია, ჩემი სახლობლოსთვისაც და ჩვენი ქვეყნის მძლეოსნობის განვითარებისთვისაცო, აი, ეგრე რომ ხალისობდა.

სხვაფრივ — კვლავაც უილაჯოდ ირბინა და მხოლოდ 43-ე ადგილს დაჰყაბულდა სამგზის ჩემპიონი ტეგლა ლორუპე, ვისაც აგერ უკვე მესამე წელია, ზურგის მოუშუშებელი ტრავმა აწუხებს.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, პირველები და მესამეები აქაც კენიელები და ეთიოპელები იყვნენ, ოღონდ მეორე ადგილზე აქ იაპონელთა ნაცვლად რუსული მდედრიონი დამკვიდრდა.

**ლევან ძელაურაძე**

| კაცები |
|---|
| 1. პოლ კოსგეი (კენია) 1.00.39 საათი |
| 2. ჯაუად ღარიბი(მაროკო)1.00.42 |
| 3. ჯონ იუდა (ტანზანია) 1.00.57 |
| **ქალები** |
| 1. ბერანე ადერე(ეთიოპია) 1.09.06 |
| 2. სუსან ჩეპკემეი(კენია) 1.09.13 |
| 3. ელენა პროკოპჩუკი (ლატვია) 1.09.15 |



ბერანე ადერეს ვიღაც კაცი კი გადაუხტა, მაგრამ ამას რა შეაბრკოლებდა

REUTERS

# კონკურსი

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დიზაინერებსა და მხატვარ-მოდელიორებს იწვევს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში 2004 წლის ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებზე (ათენი 13-29 აგვისტო) საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სპორტული და საალლუმო აღკაზმულობის ესკიზების შესაქმნელად.*

კონკურსის დებულებით:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მოქალაქეს;
2. სეოკ-ში ესკიზების წარდგენის ვადა 2002 წლის 1 დეკემბერია;
3. კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს როგორც სპორტული, ისე საალლუმო აღკაზმულობის ერთი ან რამდენიმე ესკიზი მის მიერვე შერჩეული დევიზით;
4. საალლუმო ჩაცმულობის ესკიზი წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ვარიანტში — ქალის და მამაკაცის;
5. სპორტული აღკაზმულობის კომპლექტის ყველა შემადგენელ ნივთზე აუცილებელია განთავსდეს სეოკ-ის ემბლემა და წარწერა GEORGIA;
6. შემუშავებულ ნამუშევრებზე სასურველია საქართველოს ეროვნული დროშის ფერების წარმოჩენა. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ოლიმპიური თამაშების ჩატარების ქვეყნის კლიმატური პირობები;
7. კონკურსში მონაწილე ცალკე წარმოადგენს მონაცემებს მასზე (ბიოგრაფია, შემოქმედებითი წარმატებები, ფოტოსურათი და სხვა);

გამარჯვებული დაჯილდოვდება;

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით სეოკ-ის ოფისში შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი № 65; ტელ: 95-30-79

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა კურნიკოვას სილამაზეს „პენტჰაუზი" აცდუნა და იქნებ დაღუპა კიდეც

# პენტჰაუზი იხდის

## ჯერ ბოდიშს, მერე კი, შეიძლება, საცვალიც გააძრონ

**ჟურნალმა** „პენტჰაუზმა" გუშინ საჯაროდ აღიარა, რომ საივნისო ნომერში ანა კურნიკოვას ფოტოების ნაცვლად ჯუდით სოლტეშ-ბენეტონის ფოტოები გამოაქვეყნა და ორივე ბანოვანს „დიდი ბოდიში" მოუხადა.

„ჩვენ ძალიან განვიცდით, რომ ყოველგვარი განზრახვის გარეშე ასეთი შეცდომა დავუშვით და ორ ქალბატონს უდიდეს ბოდიშს ვუხდით" — წერს ჟურნალი გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ანა კურნიკოვას წარმომადგენლებმა ლოს ანჯელესის ფედერალურ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს „პენტჰაუზის" მფლობელის „ჯენერალ მედია კომუნიკეიშენს ინკ."-ის წინააღმდეგ. იმის შესახებ, თუ რამდენს ითხოვენ ისინი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, არაფერი თქმულა.

„ჟურნალმა ანა კურნიკოვას აურაცხელი უფლებები დაარღვია, ამიტომაც მისი ბოსები მზად უნდა იყვნენ საიმისოდ, რათა ჩადენილი თაღლითობა აურაცხელივე თანხებით გამოისყიდონ" — განაცხადა რუსი სექსმეჩოგნის წარმომადგენელი ფირმის, „ოქტაგონის" ადვოკატმა დევიდ შვაბმა.

თუკი „ოქტაგონი" ჯერ არ აკონკრეტებს, თუ რა თანხის სანაცვლოდ მიიღებს „პენტჰაუზი" კურნიკოვას პატიებას, ჯუდით სოლტეშ-ბენეტონის სარჩელის ფინანსური მხარე უკვე გარკვეულია — მისი ქალური ბარაქის მისდა დაუკითხავად და საქვეყნოდ გამოფენის სანაცვლოდ მშვენიერი ჯუდითი ჟურნალისგან 10 მილიონ დოლარს მოითხოვს...

საბოლოო განცხადებაში „პენტჰაუზის" ბოსები წერენ, რომ შეცდომაში ისინი ფოტოგრაფმა შეიყვანა: „ის ყველანაირად ეცადა დავერწმუნებინეთ, რომ ფოტოებზე სწორედ კურნიკოვა იყო აღბეჭდილი. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოწვლილვითმა ანალიზმაც თითქოს მისი სისწორე დაადასტურა... ვწუხვართ, რომ შევცდით. იმ 30 წლის განმავლობაში, რაც „პენტჰაუზი" არსებობს, ჩვენ ასეთი მასშტაბის იაღლიში ჯერ არ მოგვსვლია" — ამბობენ ისინი.

ამასობაში — ვარშავაში მიმდინარე 170 ათასდოლარიან ტურნირზე ჩასული ანა უეცრად გაუწყლოვნებულა და თვისტომ სვეტლანა კუზნეცოვასთან მოსაგებ მატჩში კრუნჩხვებს დაუთრგუნავს. საწყალი გოგო კაი ხანი უზელიათ, მაგრამ საკორტე პირი მაინც ვერ მოუბრუნეს. ანა იძულებული გამხდარა, ტურნირიდან დროზე ადრე აბარგებულიყო.



ჯუდით სოლტეში და მისი ბენეტონი მეუღლე

# თიხა მღერის, პიტ!

## სამპრასი საბუდარელი ჭაბუკი ვერ გახდა

**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 2,58 მილიონი $**

**პირველი წრე**

**გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:5, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 4:3 (შუტლერს საზარდულის ტრავმამ შეაწყვეტინა); ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 2:0 (სკილარიმ შეწყვიტა); ფელის მანტია (ესპანეთი) — პიტ სამპრასი (12, აშშ) 6:4, 6:7 (3:7), 6:3; ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:0; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) 6:4, 6:4; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — როჯერ ფედერერი (11, შვეიცარია) 6:4, 6:4; ტომი რობრედო (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 7:5, 6:4; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 7:6 (7:4); უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:3, 6:3; ტომი ჰაასი (გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:2, 6:2; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 7:6 (7:4); ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 4:6, 6:0, 6:3; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 2:6, 1:2 (ნორმანმა კუნთი დაიჭიმა); ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 2:6, 6:1; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 6:4**

ულრუბლო პირველ დღეს რომაულ თიხნარზე რამდენიმე მეხის, უფრო სწორად კი, ბობოლა განთესილის გავარდნა მოჰყვა. სვიანი ჩოგნები დროზე ადრე ერთბაშად ისეთ სახელიან ხალხს დაამშვიდობეს, როგორებიც პიტ სამპრასი (12), ტიმ ჰენმანი (5), ტომას იოჰანსონი (8) და როჯერ ფედერერი (11) არიან.

13-გზის მესლემტიტულე სამპრასს, ვისაც რომში 1994-ში გაუმარჯვია, პირველი წრიდანვე აბარგება ზედიზედ მეორე წელს მოუხდა. ამჯერად ჩოგანი მას ვეტერანმა ესპანელმა ფელიქს მანტიამ შეუბრუნა.

„ფორო იტალიკოზე" თავმოყრილი მილეთი პიტს ომახიანად ქომაგობდა და იმდენი უყიჟინა, რომ წაგებული პირველი სეტის შემდეგ მეორე ტაიბრეიკზე უკუაგებინა. მაგრამ ეგ იყო და ეგ — ჯიშად მეთიხნარე მანტიამ მესამე სეტში უფრო ჯიქურ იჩოგნავა და დიად მეტოქეს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ თიხა ამ უკანასკნელისთვის კვლავაც არასასურველი სარბიელია.

„იმედგაცრუებული ვარ, გამარჯვება რომ ვერ შევძელი — პიტის ნამატჩევ სიტყვებს კაეშნიანი ტონალობა დაჰყოლოდა — ის მძლავრი მოთამაშეა და დღეს ისე ღრმად, მძლავრად და უშეცდომოდ ითამაშა, რომ ერთი-ორი შანსი რომ მქონდა, ისიც კი გამიპუსტიაკა".

მსოფლიოს ოდინდელი მეპირველის კაეშანი გასაგებია — ყველაფრის მომგებს დარჩენილი კარიერის ლამის ერთადერთ მიზნად როლან გაროსის მოგებაღა დაურჩა, მაგრამ თიხაზე მისი ბოლოდროინდელი თამაშის შემხედვარეს, ვინძლო, თავადაც არ სჯეროდეს, რომ ფრანგულ სეფეთიხნარზე გამარჯვება ჩოგანეწიფება.

ახლა დანარჩენებს რაც შეეხებათ.

ბრიტანელ ტიმ ჰენმანს ნაკვალიფიკაციევ ჩილელ ფერნანდო გონსალესთან ჩვეული ჯომარდი მუცლის გვრემამ და ფალარათმა დაუშალა. შიგანი ისე ამემღვრა, დღენახევარი პირში არაფერი ჩამიდია და ამიტომაც იყო, უკვე პირველი გეიმის მერე ხელის განძრევა რომ არ შემეძლოო, ხსნიდა მერე.

შვეიცარიელ როჯერ ფედერერს საჭმლის მომნელებელი სისტემა წესრიგში კი ჰქონდა, მაგრამ მაგიერში ადგილობრივი ანდრეა გაუდენცის შმაგი მიძალება ვერ მოინელა. იტალიელს რომაელთა ხმაურიანი მხარდაჭერა აგულიანებდა და ეგებ მაგიტომაც იყო, საქმე ორ სეტშივე რომ მოიგვარა.

თუმცა შინაური კედლები ვერაფერში წაადგა ნატიფად მეჩოგნავე დავიდე სანგვინეტის, ვინაც წილისყრამ თავის მეორე საამსეზონო ტურნირზე გამრჯე გუსტავო კუერტენს შეჰყარა.

ოღონდ საკუთრივ გუგას ოსტატობის გარდა იტალიელს უცაბედად ატკივებულ ჭვინტთან ჭიდილიც მოუხდა. სამგზის ფინალისტსა და 1999 წლის გამარჯვებულთან პაექრობა კი ისე ჭირს და რამეტკივან კაცს კი აბა, რაღა იმედი უნდა ჰქონოდა!

სამეორწრეო გზები იოლად გაიკაფეს მესამე და მეოთხე ნომრებად განთესილებმა — ხუან კარლოს ფერერომ და ევგენი კაფელნიკოვმა. პირველის მეტოქეს მეორე სეტში საზარდული დაეჭიმა, მეორისას კი სააგენტოთა მიერ მოუხსენებელი რამ სენი დარევია და თამაშიც ამიტომ არ დაუსრულებია.

და კიდევ — ტურნირს ეგრევე გამოაკლდნენ წინა კვირას ნაზეირალნი — მალიორკის დამრბევი გასტონ გაუდიო და მიუნხენის ამტუტებელი იუნეს ელ აინაუი. როგორც ჩანს, გადაიღალნენ და რამე.

**ბერლინი. თიხნარი**
**საპრიზო 1,224 მილიონი $**

**პირველი წრე**

**5 მაისი**

**ანჟელიკა როში (გერმანია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 6:4, 1:6, 7:5; იროდა ტულიაგანოვა (14, უზბეკეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:4, 6:0; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ტატიანა პანოვა (17, რუსეთი) 7:5, 3:6, 7:6 (7:3); ნატალი დეში (საფრანგეთი) — ჯანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:2, 7:5; ანა სმაშნოვა (ისრაელი) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:3, 6:3; კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:7 (5:7), 6:3, 6:2; ანკა ბარნა (გერმანია) — რიტა გრანდე (იტალია) 4:6, 6:2, 7:6 (12:10); მეილენ ტუ (აშშ) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 6:2**

რუს ელენა დემენტიევას აღრეაპრილში ამელია აილენდში მცირედ განავარდების შემდეგ ზედიზედ ორი მატჩის მოგება ველარ მოუხერხებია. იმდენად აჭრილია, რომ ბერლინში დაწყებულ გერმანიის ღია პირველობაზე ნაკვალიფიკაციევ ანჯელიკა როშსაც კი შემოემარცხა.

განთესილთაგან მეორე რუსგოგო, ტატიანა პანოვაც (17) დაიჯაბნა, თუმცა ამას თვისტომმა ლიხოვცევამ უგანა.

წარმატებულად აკრიფა ეშხიანმა უზბეკმა იროდა ტულიაგანოვამ, რომელსაც წლეულს ამა თუ იმ პირველ წრეში უკვე ოთხჯერ წაეფორხილა.

ტურნირს ბოლო მომენტში გამოაკლდა მარტინა ჰინგისი. მართას მთელი წინა კვირა მარცხენა ფეხი ნატკიება და საროლანგაროსოდ ცოტა უნდა წავუაქიმოო, უთქვამს.

**პირველი წრე**

**6 მაისი**

**სილვია ფარინა ელია (10, იტალია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 3:6, 6:4, 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 7:5, 3:6, 6:1; არანჩა სანჩეს ვიკარიო (13, ესპანეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:4, 6:1; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — ამანდა კუტცერი (15, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 1:0 (კუტცერმა ლაჯი იტკინა); ტამარინე ტანასუგარნი (16, ტაილანდი) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:0, 4:6, 6:4; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5, 6:1; ჩანდა რუბინი (აშშ) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:4, 5:7, 6:4;**



REUTERS

პიტ სამპრასი სიმწრითღა იცინის

**ბარბარა შეტი (ავსტრია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:2, 6:2; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:1, 1:6, 7:6 (7:5); მარი პირსი (საფრანგეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:1, 7:5; კარა ბლეკი (ზიმბაბვე) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:0, 6:3**

ყოფილი მეროლანგაროსენი — არანჩა სანჩეს ვიკარიო და მარი პირსი ბერლინში საწლევანდელო როლან გაროსისთვის მოსათელად ჩასულან. მოთელვის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა — 30 წლის არანჩამ, ვისაც საფრანგეთის ღია პირველობა სამჯერ მოუგია, შინ სლოვენი ტინა პისნიკი გაისტუმრა, ტანადი ფრანგი კი არგენტინელ მარიანა დიას-ოლივას გასცდა.

ბერლინში 7 წლის წინ ნატიტულევი ესპანელი ნამატჩევს ამჟამინდელი კარგი ფორმით ამაყობდა, ამბობდა, იმდენი ჯანი კიდევ მაქვს, ჩემზე ნორჩები უყოყმანოდ გავხედნოო. ჩაუქ ფორმასა და სისალეს მატჩის მერე პირსიც უქმევდა: „იმას რა სჯობს, როცა არაფერი გაწუხებს და იმას აკეთებ, რაც ყველაფერს გირჩევნია. მჯერა, რომ კვლავაც შემიძლია, ზეპურ მეჩოგნეთა გუნდში დავბრუნდე. მხოლოდ მოთმინება და მეტი დისციპლინა მჭირდება".

სხვათა შორის, 2000-ში როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ პირსს ევროპულ წითელ თიხნარზე ერთხელაც არ უთამაშია — გაუთავებელი ტრავმების გამო მას მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სხვათა გარეჯით ტკბობა შეეძლო. უსახელო არგენტინელთან მისმა თამაშმა ქომაგებს ოდინდელი მარი პირსი გაახსენა. შეძლებს იგი თავისი ეშხიანი სხეულის მსოფლიოს სეფეკორტებზე გარონიებას? კიდევ ერთი საკითხავი, აი, ეგეც არის...

სხვაფრივ — მეათე ნომრად განთესილი სილვია ფარინა ელია კატარინა სრებოტნიკთან ორშაბათს ერთ სეტს აგებდა, მაგრამ შემოღამების გამო შეხვედრა გადაიდო, სამშაბათს კი ყველაფერი მაინც იტალიელის სასარგებლოდ გადაწყდა.

მარჯვენა ბარძაყი დაიშავა და გზა ჩეხ ბედანოვას დაუთმო მე-15 ნომრად განთესილმა ამანდა კუტცერმა, რომელსაც ბერლინის ფინალში ორი წლის წინ უთამაშია და იქ კონჩიტა მარტინესისაგან ძლეულა. კონჩიტამ თავის მხრივ ბერძენ დანილიდუს აჯობა და ახლა თვისტომ სანჩეს ვიკარიოს შეეხლება.



REUTERS

თამაშმოწყურებული გუსტავო კუერტენი ძალიან მოწადინებულია

NHL სტენლის თასი მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

# დრო იყო, კოივუს ეტყოდნენ: რაო?!

7 მაისი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| კაროლინა | 1 |
| მონრეალი | 2 |

**მონრეალი 2:1 კაროლინა 0:0 1:0 0:1 1:0**
1:0 კოივუ (30), 1:1 ბატალია (44), 2:1 ოდეტი (63)

სანამ მონრეალს ყოზე თეოდორი და საკუ კოივუ ჰყავს, ამ ლეგენდარული კლუბის ძლევა ძალიან გაჭირდება. კაროლინასთან სერიის მესამე მატჩშიც მათ დაიდეს ლომის წილი გამარჯვებაში.

„თეოდორი ყველა მატჩში შეუდარებელია. მისი თავდაჯერება თანაგუნდელებსაც ამხნევებს" — თქვა ბოლოს მატჩის ერთმა გმირმა მეორეზე და ცამდე მართალია. თეოდორი მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს. კაროლინამ დარტყმების რაოდენობით ზედიზედ მესამედ აჯობა მეტოქეს, (ამჯერად 34-20), თან ეს სულაც არ იყო იოლად მოსაგერიებელი დარტყმები, მაგრამ მონრეალის მეკარემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლეულს „ჰარტ ტროფის" ფინალისტთა შორის დამსახურებულად მოხვდა. თავად თეოდორისთვის რომ ეკითხათ, ალბათ, კოივუზე იგივეს იტყოდა და საქმე მარტო მის მიერ ოსტატურად გატანილ გოლში როდია. საოცარია, რომ უმძიმესი ავადმყოფობის შემდეგ იგი ოდნავაც არ ფრთხილობს, პირიქით, ფიზიკურად არცთუ ძლიერი ჰოკეისტი გიჟური შემართებით იბრძოდა. ისე, რა დრო დადგა! კანადური კლუბის სული და გული ფინელია.

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| სენტ ლუისი | 1 |

**სენტ ლუისი 6:1 დეტროიტი 2:1 1:0 3:0**
1:0 ტკაჩუკი (6), 1:1 დაციუკი (7), 2:1 მელანბი (20), 3:1 ტკაჩუკი (38), 4:1 ტკაჩუკი (42), 5:1 დემიტრა (50), 6:1 მაიერსი (56)

დომინიკ ჰაშეკის ცოდვების გამოსყიდვის სერია შეწყდა, რადგან სამშაბათს არ არსებობდა ძალა, რომელიც სენტ ლუისს შეაჩერებდა. ადრეც ვთქვით, რომ „ბლუზმენები" იმ ორ წაგებულ თამაშშიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. უბრალოდ, ჰაშეკი იყო შეუდარებელი და იღბალიც სწყალობდა. ამჯერად კი ბედმა სენტლუისელებს გაუღიმა — მასპინძლებმა შექმნილი მომენტების უმეტესობა გოლით დაასრულეს. თან ანგარიშის გახსნა შეძლეს, რაც დეტროიტთან მატჩში ძალიან მნიშვნელოვანია. საინტერესოა, რომ ამ მატჩში სენტლუისელთა თავკაცმა ჟოელ კენევილმა ყველა რგოლში გადაადგილება მოახდინა, მაგრამ დემიტრას წამყვანი სამეული ხელუხლებელი დატოვა, კიდევ ერთი შანსი მისცა და არც შემცდარა. ტკაჩუკმა, მელანბიმ და თვით სლოვაკმა ცენტრფორვარდმა ერთად 5 გოლი გამოჭედეს. თან ტკაჩუკმა ჰეთ თრიქი შეასრულა. ჰაშეკი კი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა მე-5 გოლის შემდეგ, თუმც არც მის შემცვლელ მენი ლეგას დაადგა კარგი დღე.



დეტროიტის ნაჭები მეკარე დომინიკ ჰაშეკი „ბლუზმენებმა" გააბითურეს

REUTERS

ICE HOCKEY SWEDEN — მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი მეოთხედფინალი

# დრამატული და როდინამატული

7 მაისი

**ჩეხეთი 1:3 რუსეთი 0:1 1:1 0:1**
0:1 კოზნევი (16), 1:1 პრდინა (24), 1:2 კარპოვი (29), 1:3 კარპოვი (41)

იარომირ იაგრს წლეულს მართლაც არ გაუმართლა. თანამედროვეობის ყველაზე კაშკაშა ვარსკლავს მთელი სეზონი ჩამწარდა. ნჰლ-ში და ოლიმპიადაზე ფიასკოს შემდეგ ჩეხმა იმედის თვალი მსოფლიოს ჩემპიონატს მიაპყრო და... მის გუნდს მეოთხედფინალში კვლავ რუსეთი გადაეღობა. ოღონდ სოლტ ლეიკ სიტის მარცხისგან განსხვავებით, ეს უფრო მწარე და მოულოდნელი იყო.



იარომირ იაგრი დარდიანობს: არც ოლიმპიადა, არც პლეი ოფი, აღარც მსოფლიო

ალბათ, აღარავინ ელოდა რუსებისგან ასეთ თამაშს. წინა ეტაპებზე ეს გუნდი იმდენად უმწეოდ გამოიყურებოდა, თვით მრავლისმნახველ თავკაც ბორის მიხაილოვსაც კი ლამის ცრემლი მოერია, როცა სლოვაკებთან მატჩის შემდეგ შეგირდებს ტუქსავდა: „როგორ შეიძლება ასე უნებისყოფოდ თამაში. არ მეგონა, თუ სიბერეში ასე შევრცხვებოდი. თუ ნაკრებში თამაში არ გინდათ, თქვით, რატომ არცხვენთ სამშობლოს".

ჩეხების პირისპირ მართლაც რომ სულ სხვა გუნდი წარდგა. რაკი რუსებმა იცოდნენ, რომ ჩეხებს ოსტატობაში ვერ შეეჯიბრებოდნენ, აქცენტი დაცვასა და კონტრშეტევებზე გააკეთეს. სოლტ ლეიკ სიტიშიც ხომ ოდესღაც ამ წმინდა ჩეხური ტაქტიკით იხეირეს და ამჯერადაც ამით დააბნიეს მეტოქე. ბედიც სწყალობდათ: პირველი ორი გოლი ფაქტობრივად არაფრისგან შექმნეს.

მატჩის შემდეგ რუსთა მეკარე მაქსიმ სოკოლოვმა აღიარა, ჩეხების პირველმა ხაზმა ძალიან გამაწამა, კინაღამ კისერი მომტყდა აქეთ-იქით ყურებით, მაგრამ მაინც გავუძელით, რადგან გამარჯვება გულით გვსურდაო.

**კანადა 2:3 სლოვაკეთი 1:0 1:1 0:2**
1:0 პიტლი (13), 2:0 სმიტი (24), 2:1 ბონდრა (40), 2:2 შატანი (44), 2:3 ბონდრა (45)

სლოვაკებმაც, რუსების დარად, მეტოქისთვის ჩვეული სტილით იმარჯვეს. ბოლო წამებამდე ბრძოლა ხომ კანადელთ სჩვევიათ. თუმც ახლა ჭკუა ყველამ ისწავლა. ორი პერიოდი თამაში კანადელთა კარნახით წარიმართა, ისინი კიდეც იგებდნენ 2:0-ს, მაგრამ მეორე პერიოდის ბოლოს პატარა სასწაული მოხდა. სლოვაკების მეკარე იან ლასაკმა ყინულზე ყვანჯის დარტყმით შეახსენა პარტნიორებს, რომ სათამაშო დრო იწურებოდა. გუნდის ლიდერმა პეტერ ბონდრამაც ყოველი შემთხვევისთვის გაისროლა და...

შაიბამ კარის სიახლოვეს მყოფ ყველა ჰოკეისტს აუარა გვერდი და გაოგნებულ ჟან სებასტიან ჟიგერის კარში აღმოჩნდა. სლოვაკებმა ბოლო მესამედი აღმაფრენით დაიწყეს და ჯერ მილოსლავ შატანმა გამოიყენა რიცხვმრავლობა, მერე კი ბონდრამ კიდევ ერთი საფირმო დარტყმით დუბლი გაიფორმა.

**ფინეთი 3:1 აშშ 0:0 2:0 1:1**
1:0 რინტანენი (34), 2:0 იოკინენი (36), 2:1 ლაკუტიური (51), 3:1 ვიიტაკოსკი (52)

პლეი ოფი ძლიერ გუნდებს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და შესაბამისად მეტად ზემოქმედებს მოთამაშეებზე. აშშ-ს მეოთხედფინალის წაგებაში ვერავინ დაადანაშაულებდა, რადგან შემადგენლობით დიდად ვერ დაიკვეხნის. კარსაც კი ფარმკლუბელი რაიან მილერი იცავდა. აი, ფინელებს კი მეოთხედფინალში მარცხს არავინ აპატიებდა. ამიტომაც ნახევარი თამაში ისე გაილია, ამერიკელები უფრო სახიფათოდ უტევდნენ, ფინელებს კი ნერვიულობა ეტყობოდათ და როცა 33-ე წუთზე კიმო რინტანენმა ბულიტი გააცუდა, ბევრმა, ალბათ, სასწაული იწამა, თუმც ამ შეცდომამ ფინელები გამოაფხიზლა და ერთ წუთში რინტანენმა ცოდვა გამოისყიდა. გოლმა „სუომი" გაამხნევა და ოლი იოკინენმა გააორმაგა კიდეც სხვაობა. ამერიკელები ფარხმალს არ ჰყრიდნენ, მაგრამ როცა მათი ერთადერთი საპასუხო გოლის შემდეგ ვესა ვიიტაკოსკიმ ძველი უპირატესობა აღადგინა, ყურები ჩამოყარეს.

**შვედეთი 6:2 გერმანია 1:2 2:0 3:0**
1:0 აქსელსონი (10), 1:1 ერჰოფი (18), 1:2 სოკიო (20), 2:2 რ. სუნდინი (32), 3:2 მუდინი (37), 4:2 ჰუსელიუსი (50), 5:2 რ. სუნდინი (53), 6:2 ნესლუნდი (56)

32 წუთის განმავლობაში აქაც სენსაციის სუნი ტრიალებდა. მასპინძლები მხოლოდ მაშინ დამშვიდნენ, როცა მცველმა რონი სუნდინმა მიქაელ ნიულანდერის სამეულის ცეკვისებური კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაასრულა. აი აქ კი გატყდნენ ურჩი გერმანელები.

**სამველ ლარიბიანი**

| ნახევარფინალი 9 მაისი |
|---|
| ფინეთი — რუსეთი |
| შვედეთი — სლოვაკეთი |

კრივი

# მე მაგის ტვინს დავღვრი



რკინის მაიკი კომშარებს ხატავს

**მაიკ ტაისონ — ლენოქს ლუისის** მოახლოებული საჩემპიონო ორთაბრძოლის ცქერა მსოფლიოს 50 მილიონ ოჯახში იქნება შესაძლებელი, რაღა თქმა უნდა, წინასწარ გადახდით. ბრძოლის ტელებილეთი 54,95 დოლარი ეღირება და აქვე უნდა ითქვას, რომ მაცქერალ ოჯახთა ოდენობაც და ხსენებული ფასიც, სარეკორდოა. ორმა დიდმა ტელეკომპანიამ „ეიჩბიოუმ" და „შოუთაიმმა" უკვე გააფორმეს გასაყიდი ხელშეკრულებები სატელიტურ და საკაბელო სისტემებთან.

8 ივნისის მემფისური შერკინება ისტორიაში პირველი ბრძოლა იქნება, ორი ტელეკომპანია ერთდროულად რომ გადასცემს.

ეს იმიტომ მოხდა, რომ ტაისონს „შოუთაიმთან" ჰქონდა თავისი ბრძოლების ტელეგადაცემების კონტრაქტი, ლუისს „ეიჩბიოუსთან".

ახლა ორივე ტელეკომპანია ხელებს იფშვნეტს და დიდ მოგებას ელის.

ტელეარხების ათი ყველაზე შემოსავლიანი ბრძოლიდან ექვსი ტაისონის მონაწილეობით ჩატარდა. ამათში გამორჩეული იყო 1997 წლის ტაისონ — ჰოლიფილდი, რომლის ტელებილეთიც 44,95 დოლარი ღირდა და რომელმაც 100 მილიონზე მეტი შემოსავალი მოიტანა.

ტაისონ — ლუისის გადამცემნი ელიან, რომ ბრძოლის საცქერლად ფულს გადაიხდის 32 მილიონი ტელეკაბელის მფლობელი და 18 მილიონი სატელიტური ანტენის პატრონი.

ამასობაში კი ნიუ იორკში პრესკონფერენცია გამართა ტაისონმა, რომელმაც მოიბოდიშა 22 იანვარს, ასევე პრესკონფერენციაზე, ლუისთან ატეხილი ჩხუბის გამო, მაგრამ იქვე დაურთო:

„მაშინ ვთქვი, რომ ლუისს გავლახავდი. ამის მოსმენა ყველას უნდოდა. ლუისი უნდა გამებრაზებინა. ახლა ბრძოლა მოახლოვდა და ვიცი, რომ მარტო ლაპარაკით არაფერი გამოვა. მე წავართმევ ლენოქსს ტიტულებს, მის სულს და სიამაყეს მოვსპობ, რინგი კი მისი ტვინით იქნება მოთხვრილი".

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

ავტორბოლა

# მონა ლიზა შუმახერი უცხოპლანეტელია

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**მიხაელ შუმახერის** მიერ წლევანდელ ხუთ რბოლაში მოპოვებული დამთრგუნველი უპირატესობის შემდეგ ეტყობა, უკვე ყველას გადაეწურა იმედი, რომ „წითელ ბარონს" ვინმე სათანადო მეტოქეობას გაუწევს.

„უილიამს BMW"-ს სპორტული დირექტორი, ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი: „მეც თავიდანვე უპირატესობას ჩვენს უპირველეს მტერს, მიხაელს ვანიჭებდი და, ცხადია, ხუთი ეტაპის შემდეგ აზრი არ შემიცვლია — მის ფანტასტიკურ „ფერარისთან" ახლოსაც ვერავინ მივა. ამის მორიგი დასტური კი ის გახდება, რომ შუმი მომავალ კვირას ბოლოს და ბოლოს დაისაკუთრებს ჩემი ქვეყნის დიდ პრიზს, ერთადერთს, რომელიც ჯერ კიდევ არ აქვს თავის უმდიდრეს კოლექციაში. „სკუდერია" — შუმახერის თანამშრომლობა იმდენად სრულყოფილი და შედეგიანია, რომ ამ სუპერტანდემისთვის პირად-გუნდური პირველობის მოპოვებაში ხელისშემშლელი არავინ მეგულება. მიხაელი უცხო პლანეტის პილოტია".

ავსტრიულ ექსმეფორმულეს მიხაელის შეფასებაში კვერს უკრავს მისი ბრიტანელი კოლეგა ჯონ უოტსონი: „ყოველთვის, როცა მიხაელი „ფერარის" კოკპიტში ჯდება, სამეფო რბოლების მოყვარულთ საშუალება ეძლევათ, თვალნათლივ იხილონ დიდოსტატის განუმეორებელი ხელოვნება. მსგავსი ტალანტი თაობაში ერთხელ იბადება. ადრე მე ბრაზილიელ აირტონ სენას ვეთაყვანებოდი, მიხაელი მისგანაც კი განსხვავდება. შუმახერის დონის პილოტი არასოდეს მინახავს. დიდი უპირატესობით მისი ლიდერობა სულაც არ ნიშნავს, რომ რბოლები მოსაწყენი და უინტერესოა. მიხაელის მართვის ელეგანტური, სრულყოფილი მანერისგან მიღებული სიამოვნება თითქმის ისეთივეა, როგორც ჯოკონდას პორტრეტის ცქერისას."



ავსტრია მიხაელ შუმახერის ერთადერთი საფიქრალია

ალვნიშნავთ, რომ მიხაელ შუმახერს ავსტრიულ „A1-რინგზე" დღემდე ვერ გაუმარჯვია ოთხჯერ გაჯირითების მიუხედავად — ერთხელ მეორე იყო, ერთხელაც — მესამე. ვერც ბერგერის „უილიამსი" დაიკვეხნის შედეგიანობით. ავსტრიის არაოფიციალურ ჩემპიონად შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი („მაკლარენი") უნდა ჩაითვალოს — შარშან მან ყველას აჯობა, ხოლო მანამდე ოთხი რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა.

ამასობაში კი „პროსტი" გაიყიდა. გაკოტრებული ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტის გუნდის უძრავ-მოძრავი ქონება პარიზის აუქციონზე გასაღდა. მოძრავში, ბუნებრივია, ბოლიდები იგულისხმება — თორმეტივეს ახალი პატრონი გამოუჩნდა. ყველაზე ძვირად, 240 ათას ევროდ გაიყიდა „AP03", რომლითაც შარშანწინ ჟან ალეზი ასპარეზობდა. ცნობისთვის, „პროსტისნაირი" საშუალო დონის ახალთახალი მანქანა მილიონი ღირს.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

# უეფას თასი. ფინალი

# ფეიენოორდი 3:2 დორტმუნდი

როტერდამი. „დე კუიპი". 61 400 მაყურებელი. მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

ზუტებირი, გიანი, ვან ვონდერენი, რჟასა, პაუვე, ბოსველტი, ვან პერსი (ლეონარდუ 63), ონო (დე ჰაანი 85), კალუ (ელმანდერი 76), ვან ჰოიდონკი, ტომასონი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (33პ, 40), 2:1 ამოროზო (47პ), 3:1 ტომასონი (50), 3:2 იან კოლერი (58)
გაფრთხილება: რჟასა, პაუვე, ამოროზო, დედე, ვან პერსი, როსიცკი, დე ჰაანი
გაძევება: იურგენ კოლერი (31)

ლემანი, ვიორნსი, ევანილსონი, იურგენ კოლერი, როიტერი, დედე, რიკენი (ჰაინრიხი 70), როსიცკი, ევერტონი (ადო 61), ამოროზო, იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი

## დარწმუნდი!

### დორტმუნდი და ქართველები: ფეიენოორდი, პო, ლანდია ქველის

**გუშინ** საღამომდე ევროპაში მხოლოდ სამი კლუბი იყო სამივე ევროთასი რომ ჰქონდა მოგებული — „აიაქსი", „იუვენტუსი", „ბარსელონა" — გუშინ საღამოს ამ სამეულს მეოთხე წევრი არ შემატებია, არადა, „დორტმუნდს" მეოთხეობა შეეძლო, აკი, ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასები უკვე მოუგია.

მაგრამ არსებობს სხვა სტატისტიკაც. გუნდები, რომლებიც ევროფინალს საკუთარ მოედანზე თამაშობენ, თითქმის არ აგებენ. ეს თითქმის კი ერთადერთ შემთხვევას ნიშნავს, როცა 18 წლის წინ „რომამ" „სტადიო ოლიმპიკოზე" ჩემპიონთა თასი დათმო.

თვად თამაში ისეთი გამოდგა, უეჭველად გაგახსენდებოდათ უეფას თასის შარშანდელი, „ლივერპული" — „ალავესის" ფინალი და თუ არ გაგახსენდათ, ვინძლო ის მატჩი არ გინახავთ. აქ იყო ყველაფერი, რამაც ფეხბურთი უპირველეს სახეობად აქცია მსოფლიო სპორტში: ზღვარს გადაცილებული დაძაბულობა, უბრწყინვალესი მომენტები, ულამაზესი გოლები, არაადამიანური ნებისყოფა, ბედის ბორბლის უცნაური ტრიალი...

„ეგებ ოთხშაბათს უეფას თასიც მოვიგოთ და მერე ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება" — ეს სიტყვები კვირას, ბუნდესსასალათის ალმართვის შემდეგ „ბორუსიას" 37 წლის ვეტერანმა, ოდინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა იურგენ კოლერმა თქვა ვისთვისაც ეს კარიერის უკანასკნელი მატჩი იყო. და რა? იურგენ კოლერმა პირველ ტაიმშივე წითელი ბარათი და საბედისწერო პენალტი აიკიდა...

ხოლო როცა მატჩის დასრულებამდე შვიდი-რვა წუთით ადრე გერმანელთა მეკარე იენს ლემანიც მეტოქის საჯარიმოში გადაბარგდა, ეს უკვე სასოწარკვეთილება იყო...

ან ვინ უწყის, რა მოხდებოდა ბოლო წუთებზე კრისტიან ვიორნსი, კარიდან სამიოდ მეტრში მყოფი, ჩაწოლებულ ბურთს რაღაც სანტიმეტრებით რომ არ აიცდენოდა. ფეხბურთში ხომ ზოგჯერ სანტიმეტრები წყვეტენ ყველაფერს, თუმცა ფეხბურთი სანტიმეტრებით არ იზომება.

მოკლედ, დორტმუნდის „ბორუსია" იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ გამარჯვებას იმსახურებდა როტერდამის „ფეიენოორდიც" და ამაში პარადოქსი არაფერია — ასეთ მატჩებში ორივე მეტოქე თანაბრად იმსახურებს თასს და ორივეს დამარცხება თანაბრად დასანანია. თუმცა ერთიცაა, გერმანელები თავიდანვე არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ და წმინდა ადამიანურად, სიმპათია, ალბათ, მათკენ უფრო იყო.

„ფეიენოორდმა" კი ფინალამდე გაიარა იმ გზით, რა გზაზედაც 21 წლის წინ, მაშინ ქართულ „დინამოსთან" კისერი წაიტეხა. წლეულს: გასცდა კობიაშვილ-იაშვილ-ცქიტიშვილიან „ფრაიბურგს", როცა ჩვენებურებს თითქოს არ უნდა წაეგოთ; გასცდა უარველაძეო „რეინჯერსს"; გასცდა პსვ-ს ბოლო წამებზე გათანაბრებული ანგარიშით და ეინდჰოვენელი გიორგი გახოკიძის გაფუჭებული პენალტის წყალობით და ეს ყველაფერი ნამუსიანი თამაშით გააკეთა, 21 წლის წინანდელი უნამუსობის მერე.

ხოლო ნახევარფინალში „ფეიენოორდს" ინტერელი ივან კორდობას ავტოგოლმა გაამარჯვებინა. ფინალიც — საკუთარ მოედანზე. თითქოს მეტისმეტად იღბლიანი გუნდი ყოფილა, მაგრამ იღბალი ხომ ძლიერებს სწყალობთ...

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

პიერ ვან ჰოიდონკის პენალტს იენს ლემანი ვერ მისწვდა

## არსენმა ორივე ლულიდან ისროლა



REUTERS

მანჩესტერი — არსენალი. რაიან გიგზი და „მანჩესტერი" „არსენალს" ვერ გადაახტნენ

ვისაც „მანჩესტერ იუნაიტედის" საბრძოლო შემართება უნახავს, მით უფრო, მისსავე „ოლდ ტრეფორდზე", ვინაც იცის, თუ რას ნიშნავს „მანჩესტერისთვის" უტიტულოდ დარჩენა და „არსენალთან" შეხვედრა, ამათი გუშინდელი მატჩის უნახავადაც მიხვდება, რაც ხდებოდა გუშინ მანჩესტერში. და ლონდონელ მეთოფეთა მიერ სწორედ ასეთ ბრძოლაში მოპოვებული საჩემპიონო გამარჯვებაც ერთი-ორად ფასობს.

რაც ინგლისური პრემიერლიგა არსებობს, მეორედ მოხდა, რომ ალექს ფერგიუსონის ნარჩევმა ბიჭებმა სეზონში ერთი ჯილდოც ვერ მოიგეს და მეორედვე ინგლისური ტიტულები მათ არსენ ვენგერის ბიჭებმა წაართვეს. „არსენალმა" ოთხი წლის წინაც და ახლაც დუბლი შეასრულა.

და ერთი უნიკალური შედეგიც — „არსენალს" სტუმრად ერთი მატჩიც არ წაუგია! შინ დაუმარცხებელი ბარე ორი გვინახავს, სტუმრად წაუგებელი კი... ყოველ შემთხვევაში, დამტვერილ ცნობარებში ჩაუხედავად ვერც გაიხსენებს კაცი.

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

მანჩესტერი 0:1 არსენალი
ლივერპული 4:3 ბლეკბერნი

### საბერძნეთი

XXVII ტური

ირაკლისი 1:1 პანიონიოსი
ითნიკოსი 1:2 პანათინაიკოსი
არისი 1:5 ოლიმპიაკოსი
აეკ 6:2 პაოკ
ეგალეო 2:1 აკრატიტოსი
იონიკოსი 0:2 პანაჰაიკი
ქსანთი 2:1 ოფი

### ფინეთი

III ტური

ალიანსი 4:2 კუოპიო
ჰაკა 0:1 ლაჰტი
ინტერი 0:1 ტამპერე
იარო 1:1 ჰააპინლინა
ჯაზი 2:0 მაასა
მიუპა 3:0 ჰიკ

### ნორვეგია

VI ტური

ლინი 1:0 სტარტი
ოდ გრენლანდი 2:3 ბოდიო გლიმტი
ვიკინგი 4:1 ვოლერენგა

### ამხანაგური მატჩი

უნგრეთი 0:2 ხორვატია
0:1 ზ. კოვაჩი (12პ.), 0:2 ნ. კოვაჩი (26)

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

რეგენსბურგი 0:3 ბაიერნი (მ)
მანჰაიმი 4:3 ანსბახი

### ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

დენ ჰააგი 3:3 სპარტა
დენ ბოსხი 3:1 ემენი

### შვეიცარია

II ეტაპი. A ჯგუფი
XIV ტური

ბაზელი 4:3 ლუგანო
გრასჰოპერი 3:3 სენტ გალენი
სიონი 3:1 იანგ ბოისი
სერვეტი 0:1 ციურიხი

### შვედეთი

VI ტური

იორგრიტე 2:1 გიოტებორგი

### რუსეთი

პრემიერლიგა. XI ტური

შინიკი 1:1 როსტსელმაში
კრილია სოვეტოვი 1:0 ლოკომოტივი
ტორპედო 2:3 ცსკა
როტორი 0:0 ანჟი
ალანია 2:3 ურალანი
სატურნი 1:2 სპარტაკი
ტორპედო ზილ 1:2 ზენიტი
სოკოლი 0:1 დინამო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge